97.5
1999.

№3-4
1999

# ბურჯი ეროვნებისა



ბესარიონ
ჟორჟანაძის
საზოგადოების
ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
და გამომცემელი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

პასუხისმგებელი მდივანი
კახა გაბუნია

რედაქტორები:
ციცინო (ნინო)
კვანტალიანი,
მარინე კოკონიშვილი,
ნანა ლოლაძე
რამაზ ქურდაძე
ნინო ჭუმბურიძე

მხატვრული რედაქტორი
ირაკლი ავალიანი

მხატვარი
გია ლაშხი

რედაქციის გამგე
მაია კობიაშვილი

სარედაქციო საბჭო
მარინე ბერიძე
გენადი ბურჯულაძე
ლეილა გვგუნაძე
ქეთევან დათუკიშვილი,
რუსუდან ლანდია,
ნანა ურთაშვილი,
ჭაბუკა ქორია,
მიხეილ ქურდიანი,
ლევან ღვინჯილია,
ინგა ლუტიძე
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე
ნინო ჯღორბენაძე

მორიგე რედაქტორი
მაია კობიაშვილი

„ბურჯი ეროვნებისა"
რეგისტრირებულია საქართველოს
იუსტიციის სამინისტროში, 1686.
მისამართი:
ვ. ინგოროყვას ქ. №8,
ტ. 99-80-46

ინდექსი 76016

# 11 აპრილი (29 მარტი) - ბრწყინვალე აღდგომა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

# 14 აპრილი - ქართული ენის დღე.

## გილოცავთ!

# ბურჯი ეროვნებისა

**BURJI EROVNEBISA**

№ 3–4 (16)

1999



*უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა გახლავთ სამშობლო ენა.*

**იაკობი**

გამოდის თვეში ერთხელ

ფასი 1 ლარი

## შინაარსი

**სახელმწიფო ენა**

ენა, ერი და ხელისუფლება. საუბარი I ........ 2

საუბარი II ........ 5

**ენა და მწერალი**

ჯ. ქარჩხაძე – მიახლება ხელმწიფე-ენასთან ........ 7

**მეცნიერის არქივიდან**

იოსებ იმედაშვილის უცნობი წერილები ........ 9

**ახალი წიგნები** ........ 13

**განათლება**

ნ. ქავთარია, „უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა" ........ 11

**თავანკარა ქართული**

გალაკტიონი, ლურჯა ცხენები ........ 14

**აბიტურიენტის ფურცელი**

ბ. წიფურია, გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების" გააზრებისათვის ........ 15

**მწერალი და დრო**

ო. გამსახურდია, ლიტერატურული გაერთიანება „აკადემიური ასოციაცია" და დამოუკიდებელი საქართველოს პრესა ........ 18

**მწერლის ენა**

ა. ჭინჭარაული, ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან ........ 21

**ფრთხილად, „დედაენაა"!**

რ. ლიპარტელიანი, „დედაენისადმი" მეტი სიფრთხილე და მოკრძალება გვმართებს ........ 22

**დედაენა ქართული**

გააჩნია თუ არ გააჩნია ........ 25

**ჩვენი სკოლა**

მირბის, მიგვაფრეს უგზო-უკვლოდ სკოლის რეფორმა ........ 26

დედაენის სიყვარულით... ........ 27

„მოზარდს რომ ენა უყვარდეს" ........ 27

**მოვუსმინოთ პატარებს** ........ 27

**ეტლთათჳს**

ვერძი ........ 28

კუროი ........ 29

**იუბილე**

თ. ღონღაძე, „კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა" ........ 30

**ინფორმაცია** ........ 31

**გამოთხოვება**

ნინო ვაჩნაძე ........ 32

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩ**ვენი მკითხველისათვის და, საერთოდ, ქართველი მსმენელისათვის კარგად არის ცნობილი საქართველოს მთავარი რადიოს ყოველკვირეული ლიტერატურული რადიო-პროგრამა „ენაჲ შემკული და კურთხეული", რომლის ავტორი და რედაქტორია მწერალი თამაზ ხმალაძე. ჩვენს მკითხველს ვთავაზობთ ამ რადიოჟურნალში გადაცემულ ორ სიუჟეტს. შემოკლებულ საჟურნალე ვარიანტს. გადაცემის ავტორის, თამაზ ხმალაძის, წინასიტყვაობითურთ.

# ენა, ერი და ხელისუფლება

## საუბარი I

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲮᲛᲐᲚᲐᲫᲔ – მოგეხსენებათ, ქართული სალიტერატურო ენის წინაშე მრავალი პრობლემა დაგროვდა. ადვილი შესამჩნევი გახდა ის წყლულები, რომლებიც წინათ რუსული თუ საბჭოური ჩვრებით გვქონდა შეხვეული და ვერ ვამჩნევდით, ანდა არ გვინდოდა დაგვენახა. ამ პრობლემებმა განსაკუთრებით იჩინა თავი ბოლო ხანებში. მათი გადაწყვეტისას ზოგჯერ დიამეტრულად საპირისპირო თვალსაზრისი იჩენს ხოლმე თავს და ხშირად მოგვაქვს მაგალითები უცხო სახელმწიფოებისა, მივმართავთ უცხოეთის გამოცდილებას. გადავწყვიტეთ, თქვენთან ერთად გავეცნოთ სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას და გავაცნოთ მათ, ვინც უნდა ზრუნავდეს, ვისაც ევალება იღვაწოს ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობისთვის, მისი სიწმიდისათვის.

ამჯერად ჩვენი სტუმარია ინგლისური ენისა და კულტურის ცნობილი სპეციალისტი თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ᲚᲘᲚᲘ ᲒᲝᲪᲘᲐᲫᲔ. მას ესაუბრება ჟურნალის „ბურჯი ეროვნებისა" მთავარი რედაქტორი, პროფესორი ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲝᲒᲝᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ – ქალბატონო ლილი, ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა თავისუფლება. ჩვენ ვსაუბრობთ განათლებისა (თუ სხვა) სისტემის დამოუკიდებლად განვითარებაზე: ეს სისტემა აღარ არის დამოკიდებული, ვთქვათ, მოსკოვზე და აღარ გვაწვდიან დირექტივებს იქიდან, მაგრამ, სამაგიეროდ ხშირად ვიღებთ მზამზარეულ რეცეპტებს დასავლეთიდან.

ᲚᲘᲚᲘ ᲒᲝᲪᲘᲐᲫᲔ – ბატონო გოგი, მზამზარეული რეცეპტების აღება არ შეიძლება. დასავლეთი არ გვაძლევს ჩვენ ამ რეცეპტებს, დასავლეთის სტილში არ არის ამგვარი რამ.

გ.გ. – სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვატარებთ რეფორმას სხვა ქვეყნების თარგზე.

ლ.გ. – რა თქმა უნდა, არც ეს შეიძლება, ჩვენ უდავოდ ჩვენი უნდა გვქონდეს. ჩვენ უნდა ვიცნობდეთ აქაურსაც და იქაურსაც, გავითვალისწინოთ უპირველესად ჩვენი მოსწავლეების ფსიქოლოგია და ამის მიხედვით უნდა შევქმნათ ახალი...

გ.გ. – უფრო კონკრეტული რომ ვიყო, ასეთი საკითხი მინდა დავსვათ: ჩვენთვის ერთ-ერთი მტკივნეული და პრობლემური საკითხია უმაღლესი სასწავლებლის მისაღები გამოცდები. მოგეხსენებათ, აზრთა სხვადასხვაობაა: არის თუ არა საერთოდ საჭირო ეს გამოცდები, თუ ჩავატარებთ, როგორ, რა სახით. უმეტეს შემთხვევაში უცხოურ მაგალითებს მივმართავთ. რა ვითარებაა ამ მხრივ დიდ ბრიტანეთში?

გ.გ. – იქ მისაღები გამოცდები არის მხოლოდ კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტებში. სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები არაა. მაგრამ ძალზე საინტერესოა წინასაუნივერსიტეტო ეტაპზე სწავლების სისტემა. მოსწავლეები სწავლობენ საშუალო სკოლაში. 16 წლამდე სწავლობს ის, ვისაც სურს, დაამთავროს საშუალო სკოლა და წავიდეს, სწავლა თუ საქმიანობა განაგრძოს ტექნიკური ან სხვა ხაზით, ე.ი. ვისაც არ სურს მიიღოს საუნივერსიტეტო განათლება. ვინც აპირებს უნივერსიტეტში სწავლას, ის სკოლაშივე რჩება ორი წელი და სწავლობს იმ საგნებს, რომლებიც ბარდება უნივერსიტეტში. იქვე, სკოლაში, აბარებს გამოცდებს ამ საგნებში და ამ შეფასებით ხდება უნივერსიტეტის სტუდენტი.

გ.გ.– ასე რომ, წინასაუნივერსიტეტო ეტაპზე არის ძალიან სერიოზულად დაყენებული სწავლების საკითხი.

ლ.გ.– დიახ. არსებითი განსხვავება ჩვენსა და ინგლისის სასწავლებლებს შორის ის არის, რომ ისინი აზროვნებას აჩვევენ მოზარდს, მხოლოდ გადასაყლაპად არ აწვდიან დაღეჭილ ლუკმას. გარდა ამისა, ცდილობენ, ის საგნები ასწავლონ, რაც მოსწავლეს ცხოვრებაში გამოადგება... ჩვენთანაც ნორმალური

სკოლის საკითხი უნდა დადგეს უპირველესად, მასწავლებელთათვის შრომის ნორმალური ანაზღაურებით.

**გგ.**– მხოლოდ ენთუზიაზმის დონეზე დიდი საქმე ვერ გაკეთდება...

**ლგ.** – არადა, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ საქართველო არის სანიმუშო ქვეყანა მხოლოდ ენთუზიაზმის დონეზე მომუშავე ადამიანთა რაოდენობით...

**გგ.** – აქ კი ნამდვილად გვიჭირავს ალბათ პირველი ადგილი... ისევ პირველსავე სიტყვაზე რომ მოვიდეთ, რა დღეშია დღეს ჩვენი სკოლა. ფაქტია, რომ ჩვენთან დღეს სკოლა ვეღარ აძლევს მოსწავლეს იმ ცოდნას, რომელსაც უნდა დაემყაროს საუნივერსიტეტო განათლება. სკოლის ცოდნით მოდის დღეს ვინმე უნივერსიტეტში?

ინგლისური მსოფლიოში 322 მილიონი ადამიანისათვის მშობლიური ენაა. ამათგან 55 მილიონი დიდ ბრიტანეთში ცხოვრობს;

ინგლისურს, როგორც მეორე ენას, 400 მილიონი ადამიანი იყენებს;

ინგლისურს, როგორც უცხო ენას, 800 მილიონი ადამიანი სწავლობს.

**ლგ.**– თუ მოდის, უეცი. მხოლოდ ტესტური გამოცდები რომ ჩააბარებინეს და ისე მიიღეს ფასიან განყოფილებაზე, წერა-კითხვა არ იციან... რამდენადაც ვიცი, ეს თითქმის ყველა საგანს ეხება...

**გგ.** – მე ამჯერად უფრო მშობლიური ენა მაინტერესებს. ქართული ენის პრობლემები მაფიქრებს. მშობლიური ენის თვალსაზრისით, ქალბატონო ლილი, რა ხდება ინგლისში. თქვენთვის ინგლისური სამყარო ძალზედ მახლობელი სამყაროა. ახლახან კიდევ ერთხელ ბრძანდებოდით იქ. როგორია დიდ ბრიტანეთში დამოკიდებულება მშობლიური ენისადმი, როგორ ასწავლიან სკოლებში და სჭირდება თუ არა ახალგაზრდას სკოლის დამთავრების შემდეგ დამატებითი ზრუნვა დედაენის შესწავლისათვის.

**ლგ.**– ინგლისში იმ დონეზე ასწავლიან ინგლისურს სკოლაში, რომ შემდეგ ახალგაზრდამ ინგლისური სპეციალობად თუ არ აირჩია, მისი ცალკე საგნად სწავლა აღარ სჭირდება.

**გგ.** – ჩვენ რომ ვცდილობთ, სწავლების ყველა ეტაპზე ვასწავლოთ ქართული, ეს პრობლემა არ გვექნება, თუ სკოლა იდგება თავის სიმაღლეზე-

**ლგ.** – ეს ეხება არა მხოლოდ ქართულს...

**გგ.** – რა თქმა უნდა. ჩვენთან სახელმძღვანელოების საკითხიც პრობლემურია. თქვენთვის ეს ძალზედ ნაცნობი სამყაროა: მარტო გასულ წელს ხუთი სახელმძღვანელო გამოქვეყნდა თქვენი ავტორობით... რა ტიპის სახელმძღვანელოებით სწავლობენ ინგლისურ ენას სკოლებში; პრაქტიკულ გრამატიკას სწავლობენ თუ თეორიულს?

**ლგ.** – ბატონო გოგი, იქ გრამატიკის საკითხი ძალიან რთულად იდგა და დგას. მათ ჰქონდათ პერიოდი, როდესაც უარი თქვეს გრამატიკის სწავლებაზე – მოსაწყენი და რთული საგანიაო, მაგრამ შედეგი მიიღეს უარყოფითი: ბიზნესმენები იმდენად უწიგნურნი აღმოჩნდნენ, რომ აზრის სწორად გადმოცემა გაუჭირდათ, რის გამოც გრამატიკის სწავლება კვლავ დადგა დღის წესრიგში. რა თქმა უნდა, საქმე პრაქტიკულ გრამატიკას ეხება, მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხებზეა ძირითადი ყურადღება გამახვილებული.

**გგ.** – საერთოდ ინგლისში მართლწერისა და მართლმეტყველების საკითხი როგორ დგას, როგორ ზრუნავენ ამ საქმისათვის?

**ლგ.** – ეს საკითხი, რა თქმა უნდა, ძალიან სერიოზულად დგას. მართალია, ინგლისელები ძალიან თავშეკავებულები არიან, ძნელად თუ მიხვდები, რა მოსწონთ და რა – არა, მაგრამ არასწორ ლიტერატურულ ენაზე მოსაუბრის მიმართ რომ სიმპათიები არა აქვთ, ამის შემჩნევა ძნელი არ არის. როგორც ქალბატონმა ვივიენ ლომ მითხრა, „პიგმალიონის პრობლემა დღესაც დგას". არალიტერატურულ ინგლისურზე მეტყველ ადამიანს ნაკლები შანსი აქვს კარგ სამსახურში მოხვედრისა.

**გგ.** – ქალბატონო ლილი, სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხი თუ დგას სახელმწიფოებრივ დონეზე?

**ლგ.** ისევ ქალბატონი ვივიენი რომ დავიმოწმო, „საფრანგეთის აკადემიის მსგავსი რამ იქ არ არის", ნორმები თითქოს არ კონტროლდება, მაგრამ უამრავი ნაშრომი იწერება ამის თაობაზე, გამოკვლევა, სტატია... მერე ოჯახს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ინგლისში პრესტიჟულად არ ითვლება არალიტერა-

ტურული მეტყველება. ადრე იყო, მაგალითად ასე: ლიტერატურული ენა უნდა გცოდნოდა, სალიტერატურო წარმოთქმა უნდა გქონოდა, ვთქვათ, რადიოში რომ გემუშავა: ახლა რადიოში ყველანაირ წარმოთქმას მოისმენ, ერთი დოგმა თითქოს მოიხსნა, მაგრამ ეს არის მხოლოდ თითქოს. უბრალოდ, საზღვრები გაფართოვდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოფიციალურ დონეზე არალიტერატურულ ლაპარაკს გაპატიებს ვინმე. კარგი ინგლისურის ცოდნა მოქმედებს მის კარიერაზეც და მის შესახებ საზოგადოებრივ აზრზეც.

**გ.გ.**– ინგლისური ენა დღეს ფაქტობრივ პირველი ენაა მსოფლიოში. არსებობს უზარმაზარი ინგლისურენოვანი სამყარო და არსებობს ასევე არანაკლებ უზარმაზარი სამყარო, სადაც ინგლისური მეორე ენაა. ეს ხომ არ უქმნის თვითონ ინგლისურს რაიმე პრობლემას.

**ლ.გ.** – არავითარ პრობლემას ეს არ ქმნის.

**გ.გ.** – ყოველ შემთხვევაში, ინგლისურმა სხვებს შეუქმნა პრობლემები. მაგალითად, ამბობენ, რომ იაპონიაში მთელი სისტემა შეიმუშავეს, როგორ დაიცვან იაპონური ენა ინგლისურის შემოტევისაგან... ასეთივე პრობლემები ესპანელებსაც უდგათ...

**ლ.გ.** – იაპონელებს და სხვებსაც ეს პრობლემა დაუდგათ იმიტომ, რომ ინგლისური ტექნიკის ენაა, ბიზნესის, კომპიუტერიზაციისა და იურისპრუდენციისაც. მართალია, დიპლომატიის ენად ფრანგული მიიჩნევა, მაგრამ ინგლისური მას ტოლს არ უდებს ამ მხრივაც. ძალიან პოლიფუნქციურია ინგლისური ენა... იგი ძალზედ კარგად დამუშავებული ენაა. არის, ერთი მხრივ, ინგლისური მშობლიურ ენაზე მოლაპარაკეთათვის, მისი ნორმები დამუშავებულია და აღნუსხული და, ასევე, დამუშავებულია ინგლისური, როგორც მეორე და უცხოური ენა; ე.ი. იმისთვის, ვისთვისაც ინგლისური არამშობლიური ენაა... მიღებულია ინგლისური ლიტერატურული ენის ნორმები და ინგლისური არალიტერატურული ენის ნორმები, როგორც სინტაქსის, ისე მორფოლოგიისა და ფონეტიკის დონეებზე.

**გ.გ.** – ნორმათა დაცვას რა ან ვინ უწყობს ხელს, რა მექანიზმი არსებობს საამისოდ?

**ლ.გ.** – მე მგონი, ეს რეგულირდება თავისთავად, ოჯახისა და საზოგადოების მოთხოვნით; არავითარი ენის კანონი არ არსებობს. ღირსების, შეგნების ამბავია ეს ინგლისელებისათვის.

**გ.გ.** – ქალბატონო ლილი, მინდა ეს გავხაზო: როგორც ჩანს, **მშობლიური ენისადმი სერიოზული დამოკიდებულება უპირველესად ოჯახიდან იწყება. მერე ყველა ეტაპზე ყველა სფეროში – სკოლაში, ქუჩაში, რადიო–ტელევიზიაში – ერთი შეგნებით უდგებიან ამ საკითხს: მშობლიური ენისადმი პატივისცემა, მისი ნორმების დაცვა მათ პიროვნული ღირსების საქმედ მიაჩნიათ...**

**ლ.გ.** – 1976 წელს მე და ჯანიკო სირია მოსკოვში ვიყავით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე. არაჩვეულებრივი ინგლისური ენის მასწავლებელი გვყავდა – დევიდ ბესეტი. ამ კაცს თქვენ აღელვებულს ვერ ნახავდით. ერთხელ ასეთი შემთხვევა იყო: ერთმა მსმენელმა წინადადება წაიკითხა სხვადასხვა აქცენტით; ოთხი სიტყვა წაიკითხა ამერიკული აქცენტით, სამი – ბრიტანულით (მოგეხსენებათ, ძირითადი განსხვავება ამერიკულ და ბრიტანულ ინგლისურს შორის წარმოთქმაშია.), მასწავლებელმა გაჯავრებულმა უთხრა: „ან ერთი წარმოთქმით წაიკითხე, ან – მეორეთიო", მაგრამ ეს ისე გაღიზიანებულმა თქვა, რომ ჩვენთვის უჩვეულო იყო და ნიშანდობლივიც.

**გ.გ.** – წინა პარლამენტიდან ასეთი შემთხვევა მახსოვს: პროფესორმა თენგიზ ბუაჩიძემ პარლამენტის ტრიბუნიდან თქვა: ხალხო, რა ქართულით ლაპარაკობთ, მთელი საქართველო გვისმენსო და დარბაზიდან ასეთი რეპლიკა გაისმა – რა დროს ქართული ენააო. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ფაქტს?

**ლ.გ.** – ბრიტანეთის პარლამენტში ამგვარი რამ აბსოლუტურად დაუშვებელია, გამორიცხულია. იქ პარლამენტის წევრებს სპეციალურ სკოლაში ასწავლევიან: მან დახვეწილი ინგლისური უნდა იცოდეს. მას პარლამენტშიც ასწავლიან ინგლისურს...

**გ.გ.** – ქალბატონო ლილი, მე რომ ვხედავ, არსებითი ისაა, რომ **ბრიტანეთში მშობლიური ენა გააზრებულია ინგლისელი კაცის ეროვნული ღირსების შემადგენელ აუცილებელ, ერთ–ერთ უპირველეს, კომპონენტად. მისი ბრიტანელობა უპირველესად მშობლიური ენის ღირსეული ცოდნით გამოვლინდება. ამაზე ფიქრობს და ზრუნავს ყველა – ოჯახიდან დაწყებული, პარლამენტით დამთავრებული.** ჩვენ თუ მაგალითის აღება გვინდა ვინმესგან, აი, ასეთი მაგალითები უნდა ავიღოთ; ამგვარ დამოკიდებულებებზე უნდა ავაგოთ ჩვენი დამოკიდებულებები...

**ლ.გ.**– ბატონო გოგი, იმდენია კარგი, მისაღები და მისაბაძი, რომ იმის გადმოღება ნამდვილად ღირს...

**...ჩვენი საუბარი მრავალ სხვა საინტერესო საკითხსაც შეეხო. დღეს მკითხველის სამსჯავროზე მხოლოდ ამ ნაწილის გამოტანა გადავწყვიტეთ...**

# ენა, ერი და ხელისუფლება

## საუბარი II

**თამაზ ხმალაძე:** ლატვია ევროპის ერთ-ერთი პატარა სახელმწიფოა, ლატვიელები – მცირერიცხოვანი ერი. საბჭოეთის ენობრივი პოლიტიკა მათზეც ისევე ვრცელდებოდა, როგორც სხვებზე. დღეს სხვა ვითარებაა. გვაინტერესებს, როგორია ლატვიური გამოცდილება. რა შეიძლება ჩვენთვის სამაგალითო იყოს და რა – არა. სწორედ ამ საკითხებზე სასაუბროდ მოვიწვიეთ ლატვიური ენის კარგი მცოდნე და სპეციალისტი, რიგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მთარგმნელი და მეცნიერი დოცენტი **უშანგ სახლთხუციშვილი**, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ მივლინებით იმყოფებოდა რიგაში. მას ესაუბრება პროფესორი **გიორგი გოგოლაშვილი.**

**გიორგი გოგოლაშვილი** – ბატონო უშანგ, ლატვიური სამყარო თქვენთვის ძალზედ მახლობელი, ნაცნობი და, შეიძლება ითქვას, მეორე მშობლიური სამყაროა. ბევრი რამ არის ჩვენთვის საინტერესო, მაგრამ ამჯერად სახელმწიფო ენის საკითხებზე ვისაუბროთ. როგორია ლატვიურის, როგორც სახელმწიფო ენის მდგომარეობა; როგორ იცავენ მის სიწმინდეს, როგორ პატრონობენ მას. როგორია ლატვიელი თუ არალატვიელი მოსახლეობის დამოკიდებულება ლატვიური ენისადმი.

როგორც ვიცი, 8 წელია არ ყოფილხართ ლატვიაში. თუ შეიძლება შეადარეთ თქვენი სტუდენტობის დროინდელი, რვა წლის წინანდელი და დღევანდელი რიგა.

**უშანგ სახლთხუციშვილი** – მე და ჩემი მეგობრები სასწავლებლად რომ ჩავედით, მაშინ რიგა პატარა ქალაქი იყო. გარშემო სოფლებში უფრო იგრძნობოდა ლატვიური ენა. მერე ეს სოფლები ქალაქს შემოუერთდა. ახალ მასივებში თქვენ ვერ მოისმენდით ლატვიურს, იქ რუსულენოვანი მოსახლეობა დასახლდა, რასაც იმჟამად ძალიან განიცდიდნენ ლატვიელები. ახლა კი რიგა ნამდვილად არის ლატვიური ქალაქი. მართალია, რიგაში მრავლად არიან არალატვიელებიც, მაგრამ ყველა ლაპარაკობს ლატვიურად. ფაქტობრივად, გარკვეული მოთხოვნებიც არის: კაცი რომ სახელმწიფო სამსახურში შევიდეს და იმსახუროს, უნდა იცოდეს ლატვიური ენა. ლატვიაში მოქალაქეობა მისცეს ყველას, ვინც 1940 წლამდე ლატვიის ოკუპაციამდე, არის დაბადებული. არსებითად რუსულენოვანმა მოსახლეობამ ბრწყინვალედ იცის ლატვიური ენა, ისტორია და კულტურაც. არის მეორე მცირე ნაწილი რუსულენოვანი მოსახლეობისა, რომელსაც არ სურდა, რომ სცოდნოდა ლატვიური და ძალიან გაუჭირდათ, მათ არ მისცეს მოქალაქეობა. ასეთი პასპორტებიც ვნახე: არალატვიელს უწერია. ლატვიის მოქალაქე და ლატვიის არამოქალაქე პასპორტები ფერითაც განსხვავებულია.

**გ.გ.** – ბატონო უშანგ, როგორც ჩანს, რუსულისადმი დამოკიდებულება შეიცვალა. აღარ არის ეს მოძალადის ენა. დღევანდელმა ყოფამ ევროპული ენების მოძალება ხომ არ გამოიწვია და ხომ არ მოხდა ისე, რომ რუსულს ჩაენაცვლა რომელიმე ევროპული ენა, ვთქვათ ინგლისური.

**უ.ს.** – ბიზნესის ენა და ბიზნესი ზეგავლენას ახდენს ლატვიურ კულტურაზეც და ენაზეც. ლათინური ანბანით დაწერილ წარწერებში შეიძლება ერთი სიტყვაც არ იყოს ლატვიური. ამას ძალიან განიცდიან ლატვიელები.

**გ.გ.** – იქ რეკლამისა და ფირნიშნების პრობლემა თუ დგას, თუ არის თვალშისაცემი ეს მოვლენა.

**უ.ს.** – თვალშისაცემი ჩვენთან არის, რადგან ბევრი უგემოვნო და უამრავი რეკლამაა. იქ კი არ არის ამდენი და, რაც არის, იმასაც ებრძვიან.

**გ.გ.** – როგორც ითქვა, სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. როგორ მოწმდება, როგორ კონტროლდება ეს!

**უ.ს.** – ლატვიაში ასეა: ვისაც სურს სამუშაო იშოვოს, უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას. სამი საფეხური არსებობს, ლატვიური ენის ცოდნისა, საამისოდ გამოცდები ეწყობა...

**გ.გ.** – ვთქვათ, მე არ ვარ ლატვიელი. რომ ჩავიდე ლატვიაში, იქ რომ ვიცხოვრო და ვიმუშაო, ამისათვის უნდა ჩავაბარო გამოცდები და, იმისდა მიხედვით, რა საფეხურის ცოდნას გამოვამჟღავნებ, შესაბამის სამსახურს მომცემენ. სწორად გავიგე?

**უ.ს.** – დიახ, მოგეთხოვებათ გარკვეული ნორმატივის ჩაბარება... მე შევესწარი ასეთ ფაქტს: შევედი მაღაზიაში. გამყიდველი რუსი იყო, ხოლო მყიდველი – ლატვიელი. გამყიდველი ვერ ლაპარაკობდა ლატვიურად ისე, როგორი სერთიფიკატიც ჰქონდა (სერთიფიკატი თვალსაჩინო ადგილზეა გამოკრული). მომხმარებელმა მოითხოვა საჩივრის წიგნი და ჩაწერა: „ამა და ამ გამყიდველმა არ იცის ლატვიური ენა, შეამოწმეთ, ვინ გასცა სერთიფიკატი."

**გ.გ.** – ფაქტობრივად, იქ კონტროლს თვითონ ლატვიელი უწევს თავის ენას, თვითონ ზრუნავს ამისათვის და ვალდებულად თვლის თავს, რომ მან ეს გააკეთოს. ბატონო უშანგ, ჩვენ აქ სწავლება ვახსენეთ. საერთოდ, განათლების ენის საკითხი, სწავლების ენის პრობლემა თუ დგას იქ.

**უ.ს.** – ჩემი რიგაში ყოფნის დროს ლატვიის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განათლების კანონს, რომელიც ძალაში შევა 1999 წლის ივნისში.

**გ.გ.** როგორც ჩანს, ნახევარი წელი აქვთ იმისათვის, რომ ამ კანონის მოთხოვნების შესაბამისად მოეწყოს ის სისტემა.

**უ.ს.** – დიახ. კანონის მიხედვით ოთხი საფეხურის სასწავლებლებია დაშვებული ლატვიაში: სკოლამდელი, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი. არის

სახელმწიფო სასწავლებლები, მუნიციპალური და კერძო, კომერციული თუ საოჯახო სასწავლებლები. სახელმწიფო და მუნიციპალურ სასწავლებელში სწავლების ენა არის ლატვიური, მას აფინანსებს სახელმწიფო. კომერციულ, კერძო და საოჯახო სასწავლებლებს სახელმწიფო არ აფინანსებს. აქ სწავლება შეიძლება ნებისმიერ ენაზე, მაგრამ ოთხი საგანი აქაც არის სავალდებულო: ატესტატი თუ დიპლომი რომ მიიღო, უნდა ჩააბარო გამოცდები ლატვიურ ენაში, ლატვიურ ლიტერატურაში, ლატვიის ისტორიასა და ლატვიის სამართალში. ეროვნულმა უმცირესობებმა უნდა შეადგინონ თავიანთი პროგრამები. ეროვნულ უმცირესობათა სკოლები შეიძლება დააფინანსოს ბიუჯეტიდან სახელმწიფომ, თუ ეს კერძო სკოლა შეასრულებს სახელმწიფო დაკვეთას; ამ შემთხვევაში გეგმაში უნდა შეიტანოს ის საგნები, რომელსაც სახელმწიფო მოითხოვს.

**გ.გ.** – ეს რაც შეეხება სწავლების ენას...

**უ.ს.** – შედგენილია ხუთწლიანი პროგრამა. ამ პროგრამის საფუძველზე უნდა მოხდეს განათლების სისტემის გადაწყობა. ახლახან ჩატარდა ატესტაცია.

**გ.გ.** – ატესტაციას უტარებენ სპეციალობაში თუ...

**უ.ს.** – ატესტაციას უტარებენ სპეციალობაში და ლატვიური ენის ცოდნაში. ბევრმა სკოლამ ეს ძალიან უმტკივნეულოდ მიიღო. იყო გარკვეული ჯგუფი, რომელიც ამბობდა, რომ ეს ნაადრევია და ჩვენ მას ვერ შევძლებთო; საუბარი იყო ატესტაციის გადავადებაზე მათთვის.

**გ.გ.** – ახლა ამას რომ ვისმენ და მახსენდება ჩვენთან როგორ ჩატარდა ატესტაციები, გული მწყდება ჩვენში მიმდინარე პროცესებზე... ჩვენს სკოლებში შედის ქართულის მასწავლებელი, საუბრობს ქართულად და ასწავლის ბავშვებს, ვთქვათ, რომ ეს არის მცდარი და ეს არის სწორი. შემდეგ შედის დანარჩენი 10 საგნის მასწავლებელი და უმეტეს შემთხვევაში ისე საუბრობს, როგორც ქართულის მასწავლებელმა უთხრა, რომ არ არისო სწორი... რას ვიზამთ, იქნებ ჩვენთანაც გამოიდაროს...

**უ.ს.** – ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენს სკოლებში ასე არის, ბატონო გოგი. მე ერთ რამეს მინდა კიდევ გავუსვა ხაზი: მე თვითონ შევხედი რუსებს (მშობლებს) და ვესაუბრე მათ. ასე მსჯელობენ, რადგან ლატვია არის სახელმწიფო და ამ სახელმწიფოში ვცხოვრობ მე, მისი ენა უნდა ვიცოდე; ძველად რუსულით ძალიან იოლად გავდიოდით, ახლა სხვა დროა, ამიტომ ჩემი შვილები ლატვიურ სკოლაში სწავლობენ. ძალიან კარგადაც ეუფლებიანო.

**გ.გ.** – ე.ი. ეს იმისათვის საამაყო ფაქტი იყო: სიამაყით გიხრა – რომ მისი შვილები ცხოვრობენ ლატვიაში და სწავლობენ ლატვიურ სკოლაში. მათი სახელმწიფოებრივი ცნობიერება რომ ასეთია, ესაა საინტერესო. ბატონო უშანგ, მაინტერესებს, თვითონ ლატვიური ენის სწავლების საკითხები: როგორ ასწავლიან ლატვიურ ენას სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებში.

**უ.ს.** – ბატონო გოგი, ჯერ კიდევ კომუნისტების ეპოქაში ლატვიაში შემოიღეს მე–12 კლასი, ალადგინეს ისევ ისე, როგორც იყო 1940 წლამდე. ახლაც 12 კლასიანია საშუალო სასწავლებელი. IX-XII კლასებში ისწავლება ენა და არა მხოლოდ გრამატიკა, იქ სტილისტიკის საკითხებსაც სწავლობენ, ლექსიკასაც... დაბალ კლასებში – მე–8 კლასამდე, ძირითადად პრაქტიკული გრამატიკა ისწავლება. ლატვიელები საშუალო სკოლას რომ ამთავრებენ, თავისუფლად წერენ ლატვიურად, სალიტერატურო ენა კარგად იციან...

**გ.გ.** – ე.ი. თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ იქ სწავლება უფრო მაღალ დონეზეა და, იმათდა საბედნიეროდ, ისე არ არის, როგორც ჩვენთან?

**უ.ს.** – დიახ, იქ ძალიან კარგად არის ეს საკითხი მოგვარებული.

**გ.გ.** – ჩვენს პრესაში, რადიო–ტელევიზიასა თუ თეატრში, კინოფილმებში გახშირდა ბილწსიტყვაობა. არის გაზეთები, რომელთაც წესიერი და ზნეობრივი პიროვნებას საკუთარ თავთანაც ვერ წაიკითხავს... ქუჩაზე ხომ აღარას ვამბობ... რამ მოიტანა ეს, ჩემთვის გაუგებარია. ეპოქის დროების მოტანილი უბედურება ხომ არ არის, ამგვარი რამ იქაც ხომ არ ხდება?

**უ.ს.** – ჯერ ფილმებზე. ჩვენი ტელევიზია წალეკა ამ ტელესერიალებმა. ასეთი რამ ლატვიაში ვერ ვნახე და როცა ვკითხე, მითხრეს, რომ ეს მათთვის განვლილი ეტაპია. ლატვიურ ენაში გინება არ არსებობს. უწმაწური სიტყვები კი არის; იქ ასე იყო: ლატვიურად საუბრობდნენ და რუსულ გინებას ჩართავდნენ... ამიტომ ლატვიელმა ინტელიგენციამ იფიქრა, რომ შესაძლებელია, გინების ფორმები გაჩნდეს ლატვიურშიცო და კანონი გამოსცეს: ბილწსიტყვაობისათვის სასტიკი ჯარიმაა დაწესებული. არა თუ ტელევიზიასა და პრესაში, არამედ ქუჩაშიც კი იკრძალება კანონით ბილწსიტყვაობა და ახლა ველარ გაიგონებთ ასეთ რამეს...

**გ.გ.** – ჩვენთან კი ყველაფერი მიმართულია იქით, რომ დაირღვეს ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგია...

**უ.ს.** – რიგიდან ერთი წიგნი ჩამოვიტანე, თეატრალურ ცხოვრებას ეხება და იქ ასეთმა აზრმა გაიელვა, რომ „ჩვენზე, პატარა ერებზე, ახდენენ დივერსიას, ჩვენი კულტურის დაშლა უნდათ; არ გეგონოთ, ეს სხვადასხვა ფონდები მუქთად ვინმემ შექმნასო"...

**გ.გ.** – ყოველივე ეს მაინც დროებამ მოიტანა და ვიმედოვნებთ, რომ მოეუვლით ამ პრობლემებსაც, ისევე, როგორც არაერთი პრობლემისთვის მოგვივლია. მაგრამ საერთო ძალისხმევაა საჭირო. არ უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა მოგვიხედავს ჩვენს სატკივარს, ჩვენ ჩვენს სიმაღლეზე ვიდგეთ, ჩვენი საქმე ვაკეთოთ, ხელისუფლებამ – თავისი საკეთებელი და პრობლემების გადაწყვეტის უმთავრესი გზაც, ალბათ, ეს იქნება. დიდი მადლობა.

ჟურნალ „ცისკარში" (№12, 1998) გამოქვეყნდა ინტერვიუ მწერალ ჯემალ ქარჩხაძესთან. საუბედუროდ, უკანასკნელი – ვერც დაბეჭდილი იხილა ეს ინტერვიუ მწერალმა – ასე ინება არსთაგამრიგემ... და დაიწყო დიდი სიცოცხლე ჭეშმარიტი შემოქმედისა...

გთავაზობთ ფრაგმენტს ამ ინტერვიუდან: პასუხს ერთ კითხვაზე – როგორ მუშაობს მწერალი ჯემალ ქარჩხაძე ენაზე? ვის გამოცდილებას ეყრდნობა, როგორ ულრმავდება სიტყვას? როგორ აღწევს იმ მოქნილობასა და სილაღეს, ასე რომ განასხვავებს ყველასგან?



# ჯემალ ქარჩხაძე

# მიახლოება ხელმწიფე-ენასთან

არავის გამოცდილებას არ ვეყრდნობი, ჩემი გზით მივდივარ და ჩემს საკუთარ გამოცდილებას ვქმნი. საერთოდ, არა მგონია, ამ საქმეში სხვისი გამოცდილება კაცს დიდად გამოადგეს. ვისაც ენის ცოდნა უნდა, თავისი კერძო ბილიკი უნდა გაჭრას ენაში. ჩემი აზრით, ძირითადად, ასეც იქცევიან. ყველა საკუთარი გზით მიდის და საკუთარ გამოცდილებას აგროვებს; მართალია, ზოგჯერ ორი სხვადასხვა გზა ერთმანეთს შეეყრება და ერთმანეთს გადაკვეთს, შესაძლოა, რაღაც მონაკვეთი ერთადაც გაიარონ, მაგრამ ეს გამოცდილებათა გამოყენება არ არის, ეს შემთხვევითი შეხვედრაა, რომელიც არსებით კვალს არ ტოვებს.

ეს გრძელი გზაა და, თუ მაინცდამაინც შეჯიბრმა არ გაგიტაცა და გულისყური არ გაგეფანტა, ამ გზაზე კაცმა შეიძლება ბევრი რამ ისწავლოს. ერთ-ერთი პირველი (და მოულოდნელი) შთაბეჭდილება მას შემდეგ, რაც ენას საკმაოდ მიუახლოვდები და იგი შენს წინაშე წამით მთელ ჰორიზონტს დაფარავს, არის აზრი, რომლის ჭეშმარიტებას სადაოდ აღარასოდეს გახდით: ენა თურმე ის არ ყოფილა, რაც გვგონია.

ადამიანი ენის შიგნით იმყოფება და ამგვარად, გარკვეული აზრით, თავადაა მისი შემადგენელი ნაწილი. შემადგენელ ნაწილს კი შეუძლებელია ობიექტური ცოდნა ჰქონდეს მთელის შესახებ. ყველა, სპეციალისტი თუ დილეტანტი, მხოლოდ წარმოდგენას ქმნის და შეხედულებას აყალიბებს, რომლებიც მეტ-ნაკლებად (მაგრამ აპრიორულად) სუბიექტურია. სუბიექტური, ცხადია, მაინცდამაინც მცდარს არ ნიშნავს. სუბიექტური უფრო ალბათ ობიექტურის ნაწილია, რომელიც კონტექსტიდან ამოღებულია და ცალკეა გამოტანილი, თუმცა ამის დადგენა საქმეს ვერ შველის. დღესდღეობით თამამად და ობიექტურად ენის შესახებ, ალბათ, მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, ზემოთ რომ უკვე ვთქვით: ენა ის არ არის, რაც გვგონია.

განსხვავებით ცხოველისაგან, რომელიც ორ განზომილებაში – დროსა და სივრცეში – ცხოვრობს, ადამიანი ცხოვრობს სამ განზომილებაში – დროში, სივრცეში და ენაში. აქედან გამომდინარე კი, ალბათ, შეიძლება ენის ერთი – ცხადია, პირობითი და მიახლოებითი – განსაზღვრება ასეც ჩამოვაყალიბოთ: ენა არის ადამიანობის განხორციელების სპეციფიკური პირობა, ან – თუ ხატოვნებას ვარჩევთ – ღვთივ დანიშნული მეგზური ადამიანის დანიშნულების გზაზე. როგორც დროისა და სივრცის განზომილებას, ენის განზომილებასაც არსებობის ორი დონე აქვს: იდეალური და კონკრეტული. ენის იდეას – ვგებ უფრო სწორია ვთქვათ, ედემის ენას – გრძნობად სამყაროში მეტყველება შეესაბამება. მეტყველება უკვე დედა-ენაა და დედა-ენა – კონკრეტული დონის ენა – შეიძლება სამშობლოს ცნებას გავუტოლოთ. ვთქვათ, ასე: ჩვენი მიწა ჩვენი ყოფიერების სამშობლოა, ჩვენი ენა ჩვენი სულიერების სამშობლოა. მართალია, ჩვენში უფრო იქითკენ იხრებიან, რომ ენის ცნება კი არ გაუტოლონ სამშობლოს ცნებას, არამედ დაუქვემდებარონ, ამიტომ ურჩევნიათ დედა-ენა განსაზღვრონ, როგორც ეროვნული კუთვნილების გამოხატულება ან ეროვნული თვითშეგნების ერთ-ერთი პირობა, მაგრამ ეს შეცდომაა, რასაც საფუძვლად, გარდა სტიქიური მატერიალიზმისა, ის უდევს, რომ ჩვენი ფორმალური და ხშირად ალოგიკური პატრიოტიზმი ცნება „ეროვნულში" ისეთი რამეების ჩატევას ცდილობს, რაც არ ეტევა. სინამდვილეში ენა თავად არის „მესაკუთრე" და „ენობრივი კუთვნილება" არანაკლებ მაღალი რანგის ცნებაა, ვიდრე „ეროვნული კუთვნილება" (მშობლიური ენის ნოსტალგიაც ისეთივე ფაქტია, როგორც მშობლიური ქვეყნის ნოსტალგია, და ენის დაკარგვაც ისეთივე ტრაგედიაა, როგორც ქვეყნის დაკარგვა).

თუ კონკრეტულად და წმინდა პრაგმატული კუთხიდან შევხედავთ, ენა, რა თქმა უნდა, სამუშაო ინსტრუმენტია და ჩვენ ყველანი მას ამ დანიშნულებით ვიყენებთ. გარდა ამისა, ენა კომუნიკაციის საშუალებაა და ჩვენ ყველანი მას ამ დანიშნულებითაც ვიყენებთ. მაგრამ ენა ინსტრუმენტია მხოლოდ იმ აზრით, რომ ინსტრუმენტიცაა, და კომუნიკაციის საშუალებაა მხოლოდ იმ აზრით, რომ კომუნიკაციის საშუალებაცაა. შედარება რომ მოვიშველიოთ, ენის ის ნაწილი, რომელიც ინსტრუმენტი და კომუნიკაციის საშუალებაა, მრავალქიმიანი ვარსკვლავის ერთი ქიმაა. უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი. ერთი ქიმის მიხედვით სხვა ქიმებზე ლაპარაკი ძნელია, თავად ვარსკვლავზე ლაპარაკი კი, საერთოდ, შეუძლებელია, ვინაიდან ვარსკვლავი, მოგეხსენებათ, ის არ არის, რაც მისი ქიმაა.

ეს ქიმი ცნობიერ არეში დევს და ასე თუ ისე შესწავლილია. ჩვენ ყველანი აქ ვცხოვრობთ, ამ ქიმზე იგია ჩვენი ენა – სამშობლო და ამიტომ მას, ჩვეულებრივ, ვარსკვლავთან ვაიგივებთ. ეს ჩვენი ყოველდღიური მოხმარების ენაა, ჩვენი პრაქტიკული ლოგიკისა და პრაქტიკული რაციონალიზმის ენა, რომელსაც მიზეზ-შედეგობრიობა ქსოვს და გრამატიკა მართავს. ეს არის ჩვენი ყოფიერების „სახელმწიფო ენა". ეს ისეთი სიბრტყეა, სადაც ენის კრიტერიუმი არის „სწორი" და იგი შესაბამისად მეცნიერების სფეროს განეკუთვნება. სამაგიეროდ ეს ის სიბრტყეცაა, სადაც ენა აზროვნებას ზედროული მოლოდინისაგან ათავისუფლებს (რაც იგივე თვითგანთა-

ვისუფლების აქტია, ვინაიდან ენა და აზროვნება ერთი ფურცლის ორი გვერდია და მათი დაცალცალკევება მხოლოდ იდეაში შესაძლებელი), რათა მასთან ერთად ადამიანი მანამდე უცნობი ჭეშმარიტების გზაზე გაიყვანოს.

ერთი სიტყვით, ეს არის ენის ის ნაწილი, რომელიც „მოგვეცა". დანარჩენი ჩვენ თვითონ უნდა მოვიპოვოთ. მოვიპოვოთ და არა შევიმეცნოთ. შემეცნება ადამიანის ერთი თანდაყოლილი თვისებათაგანია. ჩვენ ისე ვართ მოწყობილი, რომ რისი შემეცნებაც შეგვიძლია, იმის შეუმეცნებლობა არ შეგვიძლია. ასე რომ, ცნობისწადილი ადამიანს უეჭველად აიძულებდა ენის საიდუმლო გამოეკვლია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს გამოკვლევა იქნებოდა და არა ფლობა. ხოლო რაკი ადამიანი არა კომპიუტერული საპიენსია, არამედ ფაბერული საპიენსი, იგი ენის შემეცნებას ვერ დასჯერდებოდა, მას ენა უნდა შეესისხლხორცებინა, რათა ფაბერის განხორციელება შეძლებოდა.

მაგრამ აქ ვარსკვლავის შედარება აღარ გამოდგება, იგი სხვა შედარებით უნდა შეიცვალოს. კერძოდ, ახლა ენა უნდა შევადაროთ ვეება დაბურულ ტყეს, რომელიც პატარა, მზიანი მდელოთი თავდება.სწორედ ეს მდელო, ტყის ეს პერიფერია, სადაც ტყე უკვე მთლად ტყე აღარ არის, ცვლის ახალ შედარებაში იმას, რაც ადრე ვარსკვლავის ქიმის სახელით მოვიხსენიე. ეს მდელოა ჩვენი ცხოვრების ასპარეზი, ხოლო მის უკან დიდი, ულრანი, იდუმალი ტყეა, სადაც მოუსვენარი ადამიანები დადიან, რათა გონებით კი არ ჩაწვდნენ ენის იდუმალებას, არამედ ერთიანად ჩაეფლონ ამ იდუმალებაში და საპიენსის ფაბერული მისტერია განახორციელონ.

ყველა არა: ზოგს ის საკვები ჰყოფნის (ან ჰგონია რომ ჰყოფნის), რასაც მდელოზე შოულობს. თუმცა ასეთები, მე მგონი ცოტანი არიან. უმრავლესობა აიკრავს ხოლმე გუდა-ნაბადს და ყოველ დილით დაადგება ტყის გზას. ნაწილი შორს არ მიდის. ეზარება. ან ეშინია. გასცდებიან თუ არა მდელოს, იქვე ჩეროში წამოწვებიან: ამიტომ ბევრს ვერაფერს შოულობენ. მხოლოდ გაბედულები, შეუპოვრები, ცნობისწადილით შეპყრობილები შედიან ღრმად და ღრმად, და რაც უფრო ღრმად შედიან, მით უფრო ამაღლებულები და გამდიდრებულები ბრუნდებიან უკან. ვისაც გაბედულების გარდა ერთგულებაც აღმოაჩნდება- ერთგულება უფრო დიდი განძია,ვიდრე გაბედულება – ადრე თუ გვიან შესაფერის ჯილდოსაც იღებს, რასაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ დიდ მწერალთა სიდიდე თუ მეტი არა, სანახევროდ მაინც, ენას ეკუთვნის.

აქ, ულრანი ტყის დიდებულ იდუმალებაში ერთბაშად (და თავისი მოულოდნელობის გამო ზოგჯერ ცოტა საშიში სახით) ხორცს ისხამს ბანალური გამოთქმა, რომელშიაც უკვე დიდი ხანია შინაარსს აღარ ვდებთ და მხოლოდ ისე, ფორმალურად, ერთგვარ „სიტყვის მასალად" ვხმარობთ. ეს არის გამოთქმა „ენის გრძნობა". სინამდვილეში ენის გრძნობა სავსებით რეალური რამ არის. მეტიც: სავსებით აუცილებელი რამ. ცოტა უხეშად და ცოტა სქემატურად რომ ვთქვათ და პრობლემას მხოლოდ ერთი მხრიდან შევხედოთ, ენის გრძნობა შეგვიძლია შევადაროთ მუსიკალურ სმენას: როგორც შეუძლებელია, ოპერა საღალალო შედეგამდე არ მივიდეს, თუ მის ავტორს მუსიკალური სმენა არა აქვს, ასე შეუძლებელია რომანიც იმავე სალალალო შედეგამდე არ მივიდეს, თუ მის ავტორს ენის გრძნობა არა აქვს. თუ ცოტა ხედვის კუთხეს გავიფართოვებთ, ენის გრძნობა შეიძლება წარმოგვიდგეს, როგორც ენის ცოდნა გაუცნობიერებელ დონეზე, როცა შეგვიძლია გონების კონტროლზე ნაწილობრივ უარი ვთქვათ და სიტყვათა და ფრაზათა სტიქიასთან ნდობის უმაღლესი კავშირი დავამყაროთ. უფრო სრულად კი ენის გრძნობა ალბათ მაშინ ხორციელდება, როცა ენის ურიცხვ სახეთაგან იმ ერთადერთს მიაგნებთ და მოირგებთ, რომელიც იმთავითვე თქვენთვის და მხოლოდ თქვენთვის იყო განკუთვნილი, ეს ის ნახევრადრეალური ვითარებაა, რომლის საფუძველზეც ოდესღაც ითქვა და მერე მრავალგზის იქნა გამეორებული, რომ ყოველ მწერალს თავისი საკუთარი ენა აქვს. ეს დებულება ჭეშმარიტია და მხოლოდ ის შეიძლება დაემატოს, რომ თავისი საკუთარი ენა აქვს ყოველ მწერალს, ვინც ენის ის ერთადერთი ეგზემპლარად არსებული სახე იპოვა, რომელზედაც მისი სახელი იყო ამოქარგული (ეს დამატება იმის სათქმელად დამჭირდა, რომ თუ მწერალმა ურიცხვ სახეში თავისი ვერ იცნო და უგუნურებითა თუ პატიოსანი შეცდომით სხვა აილო, ამას შედეგად მოჰყვება შეუთავსებლობა, სიყალბე და საბოლოოდ- ენის ორგულობა, რაც - ყოველ შემთხვევაში, ჩვენში- სამწუხაროდ, ფრიად გავრცელებული პარადოქსია). ასეთი მსჯელობა – სავსებით შეგნებული მაქვს- მთლად რეალისტური არა ჩანს, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ენა ადამიანს ეძლევა, როგორც წმინდა სუბიექტური ჭეშმარიტება, და ადამიანიც, თავის მხრივ, ენის პოზიციიდან ასევე წმინდა სუბიექტური ჭეშმარიტებაა.

ენის გრძნობას მოძებნა არ სჭირდება. როცა დიდხანს დადიხარ ამ საკვირველ ტყეში, დიდხანს სუნთქავ აქაურ ჰაერს, რომელიც, ვიდრე შეეჩვეოდე, ძალზე სპეციფიკურია და ისე მოქმედებს, ირგვლივ ყოველივე ქაოსი გგონია, და მხოლოდ მერე და მერე, თანდათან აღმოაჩენ ამ „ქაოსის" ჰარმონიას, როცა დიდხანს უსმენ ფოთლების შრიალს, ჩიტების გალობას, ნაკადულების რაკრაკს, იგი თავისთავად იღვიძებს (ან იბადება. მე არ ვიცი, თანდაყოლილია ენის გრძნობა თუ რაიმე პირობების შესრულებაა საჭირო მისი მოპოვებისათვის), იღვიძებს, როგორც მეგზური რომელიც, თუ კაცს თვალი, ყური და გული გაქვს, ენის შესაბამის საშენო სახესაც გაპოვნინებს და ენასთან ურთიერთობის საშენო წესებსაც გასწავლის.

ენას აქ სხვაც მრავალი ისეთი თვისება აქვს, რაც პერიფერიულ მდელოზე, სადაც იგი თვინიერი მსახურია და მსახურის შესაფერისი მორჩილებით ასრულებს თავის მოვალეობას, შეუმჩნეველია.

ის „მორჩილი მსახური" აქ სამეფო ტახტზე ზის და, როგორც ყველა, ვინც სამეფო ტახტზე ზის,ერთსა და იმავე დროს მწყალობელიცაა და დაუნდობელიც. მწყალობელია ერთგულთა მიმართ, დაუნდობელია ორგულთა მიმართ. ეს ბანალური ფრაზაა, მაგრამ ის კი აღარ არის ბანალური, რომ ენა მკაცრად განასხვავებს ერთგულებასა და ერთგულების ნიღაბს. ენისთვის ერთგულია არა პირმოთნე, არამედ ის, ვინც სიმართლით ემსახურება, ხოლო ორგულია ის, ვინც სიმართლის გზას გადაუხვევს. ამიტომ ჩვენც, ვიდრე იდუმალ ტყეში შევალთ, რათა ენას მივეახლოთ, ჯერ მტევრი კარგად უნდა ჩამოვიბერტყოთ. ზემოთ ვთქვი, ენას ურიცხვი სახე აქვს–მეთქი. ეს ურიცხვი სახე ურიცხვი ნიუანსებით იქსოვება- ურიცხვი ფერებით, ურიცხვი ხაზებით, ურიცხვი ინტონაციებით, ურიცხვი შხამებით- მეორეს მხრივ, ჩვენც ყოველ ჩვენგანს, ჩვენი ხასიათი გვაქვს, ჩვენი სტილი, ჩვენი ფერი, ჩვენი მიდრეკილებანი. და თუ ზუსტად არ შეირჩა შესაბამისობა, თუ ჰარმონია დამყარდა ენასთან. თუ ზომა ზომას ვერ დავამთხვიეთ, ფერი ფერს და მნიშვნელობა მნიშვნელობას, ერთი სიტყვით, თუ ის ერთადერთი სახე ვერ ვიპოვეთ, რომელიც ჩვენს „ენობრივ ორბიტაზე" გაგვიყვანს, ჩვენ ყალბი ვიქნებით. სიყალბე ორგულობაა. ჩვენ ორგული ვიქნებით ხელმწიფე-ენისა და მის წყალობას ვერ ვეღირსებით.

# იოსებ იმედაშვილის უცნობი წერილები

ვაქვეყნებთ ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ იმედაშვილის (1876–1952) უცნობ წერილებს, დაცულს სიმონ ჯანაშიას (1900–1947) პირად არქივში. წერილების მიზეზი გამხდარა ადრესატის თხოვნა იოსებ იმედაშვილისადმი, მიეწოდებინა მასალები აფხაზი პოეტისა და პუბლიცისტის გიორგი შარვაშიძის (1846–1918) ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ვფიქრობთ, წინამდებარე პუბლიკაცია პირველ რიგში საინტერესოა თვითონ ი. იმედაშვილის პიროვნების დასახასიათებლად და წარმოსაჩენად.

წერილები, იბეჭდება უცვლელად, მცირე კომენტარით.

რუსუდან ჯანაშია.

**ღრმად პატივცემულო სიმონ ნიკოლოზის ძევ!**

მიიღეთ ჩემი უგულითადესი სალამი და პატივისცემა.

ბოდიშს ვიხდი, რომ გაიოზის[1] პირით შემონათვალი თქვენი დავალება გიორგი შარვაშიძის შესახებ დღემდე ვერ შევასრულე, თუმცა გაიოზმა რამდენჯერმე მომაგონა. გთხოვთ, პასუხის დაგვიანება თქვენდამი უყურადღებობასა და გ. შარვაშიძის ხსოვნისადმი უპატივცემულობაში არ ჩამომართვათ, რომელსაც სიცოცხლეშიაც დიდს პატივს ვცემდი, ხოლო თქვენდამი პატივისცემა, ვიდრე პირში სული მიდგას, გულიდან არ ამომერეცხება.

გ. შარვაშიძეს შევხვდი 1904 წ. შემოდგომასა თუ 1905 წ. გაზაფხულზე ჩემს საწიგნობელში, ქართულ მწიგნობრობასა და თეატრზე სიყვარულით მოსაუბრეს, ხოლო 1909 წ. თუ 1910 წ. დასაწყისს ქართულ თეატრის კანტორაში პ. გოთუას, ვ. გუნიასა და კ. მესხთან[2]. ხანდაზმულობის მიუხედავად ლამაზი ვაჟკაცი იყო, მტკიცე, გაუტეხავი ნებისყოფის მამულიშვილი, სამშობლო საქართველოს უკეთესი მომავლის ღრმა მორწმუნე; 1905 წ. განმათავისუფლებელ მოძრაობის განვითარებას გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს, ვერც 1906 წ. დაწყებულმა რეაქციამ გასტეხა. ასეთად მახსოვს აკაკისთან შეხვედრის დროს „ქართული კლუბის" ბალში.

გ. შარვაშიძე განსაკუთრებით შემაყვარა მისმა დედეულით ნათესავმა მუშნი დადიანმა[3], რომელიც ჩემი პატიმრობის დროს (1910–1913) 1911 თუ 1912 წ. ჩემთან ერთად მეტეხის ციხეში იჯდა პოლიტიკურ საქმის გამო. თუმცა ცალ-ცალკე საკნებში ვისხედით სულ სხვადასხვა საქმეზე, მაინც თითქმის ყოველ დღე ვხვდებოდით ურთიერთს ციხის ეზოში ოცოოდე წუთით „ჰაერის ჩასაყლაპად" სეირნობის დროს. მისი ნაამბობიდან ბევრი რამ მენიშნა თქვენი მშვენიერი ნარკვევიდან („მასალები", III-1939)[4]. ამ „სეირნობათა" დროს მუშნი დადიანმა რამდენჯერმე ზეპირად წამიკითხა ზოგიერთი ლექსი გ. შარვაშიძისა, – უმეტესობა მამულიშვილურ და სამოქალაქო ჰანგით და სულისკვეთებით გაჟღენთილი, ჯვარედინა რითმებით დაწერილი. რამდენიმე ლექსი მ. დადიანს საკუთარი ხელით ჩავაწერინე ჩემს ხელნაწერ „ქართველ მოღვაწეთა ლექსიკონი"-ს ზონარგაყრილ „დავთარში" (რაზედაც ციხეშიც ვმუშაობდი). შემდეგში, როცა ციხიდან გამოველ, ამ „დავთარიდან" საჭირო მასალები ამოვიღე, ხოლო ძველი „დავთარი", ჩემი არქივის გაძარცვის დროს, სადღაც გადამემალა და დღემდე ვერ მივიკვლიე. ამიტომ შემიგვიანდა პასუხი,– ვფიქრობ დაკარგული არ უნდა იყოს,– აღმოჩენისთანავე გაახლებთ.

ახლა კი გიგზავნით გ. შარვაშიძის ლექსების რამდენიმე ნაწყვეტს, მუშნი დადიანის ხელით ჩანაწერიდან გადმოღებულს, რომლებიც მე სხვა [სალექსიკონო] მასალებში აღმომაჩნდა, ესენია: 1) „შენ იცნობ, ძმაო, ქვეყანას ერთსა"-ს ვარიანტი,– ეს რამდენადმე განსხვავდება თქვენს მიერ გამოქვეყნებულ ამავე ლექსიდან,– განსაკუთრებით ბოლო ორ სტრიქონს [„ღირსია, ძმაო, შებრალებისა ეს უბედური ჩემი ქვეყანა!"] მუშნი განსაკუთრებული აქცენტით წარმოსთქვამდა ხოლმე: „ღირსია, ძმაო, შებრალებისა... (მცირე პაუზა) ის **საბრალოა** ჩემი ქვეყანა" (ღრმა ნაღვლიანი მწუხარებით. „უბედური"-ს მაგიერ „საბრალოა"-ს იტყოდა ხოლმე ხაზგასმით); 2) „სიცოცხლეს მხოლოდ"...(რომელიც თქვენს ნარკვევში ვერ ვნახე) და 3) „ეპიტაფია"– არც ეს გაქვთ. ურიგო არ იქნება, თუ გ. შარვაშიძის გამოსაქვეყნებელ ლექსებს შორის ეს „ეპიტაფია" მაინც შევა. მე რამდენადაც ვიცნობდი განსვენებულ გ. შარვაშიძეს, ეს „ეპიტაფია" შესანიშნავად გვისურათებს მის რაინდულ, მამულიშვილურ და საზოგადოებრივ ვინაობასა და მრწამსს.[5]

აი, მუშნი დადიანის ხელით ნაწერილი გ. შარვაშიძის ლექსთა ნაწყვეტები:

ა

სიცოცხლეს მხოლოდ ერთისთვის ვიცავ
მე მაშინ მხოლოდ სიცოცხლეს ვაქებ,
თუ კაცთ სიავეს დაჩაგრულს ვნახავ
და ამ ბრძოლაში მეც თავს გავწირავ!

## მეცნიერის არქივიდან

ბ

. . . . . .

სადაც მუხთლობა გაუტანელი
იხდის ბეგარას ბოროტებისას...
სადაც სინდისის ციური ალი
ცივსა განსჯასა სულ ჩაუქრია,
სადაც მტყუნდება მხოლოდ მართალი,
რომელსაც თავი ძირს დაუხრია!
სად ისმის ქღერა ბორკილებისა,
სად კვნესის სული, არ ყურობ განა?!
ღირსია, ძმაო, შებრალებისა...
ეს **საბრალოა** ჩემი ქვეყანა!

ბ

(ეპიტაფია)

უსამართლობის ცხოვრების ზღვაში
შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები,
და იმ ტანჯვების ულმერთობაში
კაცთა სიავის მწარე ეჭვები
არ შეხებიან შენს კეთილ სულსა,
რომელშიაცა ძმათ სიყვარულსა
ენთო უშრეტი წმინდა ლამპარი,
ის ანათებდა შენსა წარსულსა,
ამით იქნები დაუვიწყარი!..

ჯერჯერობით ესაა.

ამასთანავე გთხოვთ, ბ-ნო სიმონ, კვლავ შეამოწმოთ ლექსები „ლომი“ და „ობოლი“ („ივერია“ 1905 № №11,18, თქვენი „მასალები“ გვ. 65, 69) „-ი“-ს ხელმოწერით საიდან მოხვდა გ. შარვაშიძის ლექსებს შორის, ან ის „ორი ხელნაწერი“ რამდენად სანდოა.

**მარადის პატივისცემით**

**იოსებ იმედაშვილი**

**29/I-47**

**ქ. თბილისი**

**კოტე მესხის ქ. №29**

**ღრმად პატივცემულო სიმონ ნიკოლოზის ძევ!**

მიიღეთ ჩემი უგულითადესი სალამი და მადლობა მარტო იმიტომ კი არა, რომ თქვენის ძვირფასი წარწერით მისახსოვრეთ [გადმომცეს] თქვენივე რედაქციით და ღრმა შინაარსიანი ნარკვევით გამოცემული წიგნი [„გიორგი შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა. სოხუმი, 1946“], არამედ, განსაკუთრებით, იმიტომაც, რომ თქვენ, დიდისა და მრავალნაყოფიერი შრომით, ეს წიგნი გამოეცით და მით გააუკვდავეთ ჩვენის ქვეყნის დიდი მოამაგე-მამულიშვილის, მწერლისა და უკეთილშობილესი, მართლაც-და უბრწყინვალესი საზოგადო მოღვაწის გიორგი მიხეილის ძის შარვაშიძის რაინდული, ნათელი პიროვნება და მისი ხანა.

ვაშა და დიდება თქვენს მაღალ-ღირსეულ შრომას! ჩვენი აწმყო და მომავალი მუდამ მადლობით მოგიხსენიებთ.

კიდევ ერთხელ – ჩემი უგულითადესი მადლობა!
მარადის ღრმა პატივისცემით იოსებ იმედაშვილი

**14/X-47**

**ქ. თბილისი**

### კომენტარი

1. იოსებ იმედაშვილის ვაჟი გაიოზი

2. ქართული თეატრალური კულტურის მოღვაწენი

3. გ. შარვაშიძის დედა ალექსანდრა დადიანის ქალი იყო.

4. „გ. შარვაშიძე. ნარკვევი აფხაზეთისა და საქართველოს კულტურული ისტორიიდან“ – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვეთი 3. თბილისი, 1939 წ.

5. სწორედ ამ „ეპიტაფიით“ ამთავრებს ს. ჯანაშია თავის გამოკვლევას გ. შარვაშიძის შესახებ.

## ახალი წიგნები












ნინო ქავთარია

# „უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა“

X-XI საუკუნეების ქართული ლიტერატურის, ხელოვნების, საისტორიო მწერლობისა და ფილოსოფიური აზროვნების განვითარების საფუძველი გახდა ფეოდალური არისტოკრატიის სწრაფვა განათლებისაკენ. ცოდნის იმ სტანდარტების დაუფლება, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა იმდროინდელი მსოფლიოს უპირველეს ქვეყანაში - აღმოსავლეთ რომის იმპერიაში, რომელსაც ქართველები, გამომდინარე მისი ეთნიკური და კულტურული ტრადიციებიდან, საბერძნეთს უწოდებდნენ.

საბერძნეთი წარმოადგენდა ქრისტიანული რელიგიისა და ქრისტიანულ შეხედულებათა კანონმდებელს. ამიტომ ელინთა სულიერი კულტურის მიღწევები სავალდებულო იყო ქრისტიანული სამყაროსათვის.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო ისტორიულად ბერძენთა ინტერესების არეალში იყო მოქცეული. აღნიშნულ საუკუნეებში ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობა საოცარი დაძაბულობით ხასიათდება. სამეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი, შესაბამისი წყაროების გათვალისწინებით, კარგადაა შესწავლილი.[1] ქართველ მეცნიერთა ნაშრომებში პოლიტიკურ ურთიერთობათა გვერდით ფართოდაა ხაზგასმული კულტურული ინტერესების გააქტიურება. ქართველ მოაზროვნეთა სწრაფვა საბერძნეთისაკენ არ წარმოადგენდა მარტოოდენ საკუთარ სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ცდას; მათი ამოცანა ემსახურებოდა იმ იდეის საბოლოო განხორციელებას, რომლის მიზანიც განათლებისა და მეცნიერების მშობლიურ ნიადაგზე დამკვიდრება იყო. ქართულ მხარეს ეს სახელმწიფოებრივ დონეზე ჰქონდა აყვანილი (საკმარისია დავასახელოთ დავით აღმაშენებლის მიერ 40 ახალგაზრდის გაგზავნა სასწავლებლად).

ბიზანტიაში გაუნათლებელი ადამიანი ყოველგვარ პატივისცემას იყო მოკლებული და მუდმივი დაცინვის ობიექტს წარმოადგენდა. გაუნათლებლობა განიხილებოდა,როგორც არსებითი ნაკლი, როგორც უბედურება, ჩამორჩენილობა და არასრულფასოვნება. ბერძნები ამაყობდნენ თავიანთი განათლებით და მკაცრად კიცხავდნენ გამოჩენილ პირებს, რომლებსაც არ ჰქონდათ მიღებული შესაბამისი განათლება და აღზრდა[2]. ცხადია, ასეთ საგანმანათლებლო ტრადიციების მატარებელ საზოგადოებაში მოხვედრილი ქართველი მოაზროვნეები, ისინი, რომლებიც გაუძლებდნენ მკაცრ გამოცდას, საფუძვლიანი განათლებით აღიჭურვებოდნენ და სერიოზულ ზეგავლენას მოახდენდნენ მშობლიური ქვეყნის განათლების საერთო დონეზე.

ქართული კულტურის შეუდარებელი ამაღლების ნიშნები უნდა ვეძიოთ იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს სულიერი ინტერესების სფეროს გაცნობაში. ცალკეული ქართველი მოღვაწეებისათვის ეს გაცნობა არ იყო მარტოოდენ საკუთარ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით გამოწვეული სწრაფვა. ისინი თავიანთი მეცნიერული საქმიანობით ერის სულიერი კულტურის გაფართოებას ისახავდნენ მიზნად. X-XI საუკუნეების ქართული მწერლობა და მეცნიერება ამ თვალსაზრისის ღირსეულ დადასტურებას წარმოადგენს.

იმპერიის ტერიტორიაზე ქართული კულტურის კერების სიმრავლითაც თვით ბიზანტიის ხელისუფლება იქნებოდა დაინტერესებული, რადგან მათი საგანმანათლებლო საქმიანობა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს ქართული ინტელექტუალური წრეების დაახლოებას ბიზანტიურ სულიერ სამყაროსთან. ბიზანტიაში კულტურის კერების არსებობის ადრეულ ეტაპზე ქართველი სულიერი მამები მწვავედ გრძნობდნენ მშობლიურ ენაზე ქრისტიანული წიგნების ნაკლებობას და მთელი მონდომებით ცდილობდნენ მის შევსებას. გიორგი მთაწმინდელის „იოანეს და ექვთიმეს ცხოვრებაში“ იოანე მიმართავს ექვთიმეს: „შვილო ჩემო, ქართლისა ქუეყანაჲ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან. და ვხედავ, რომელ ღმერთსა მოუმადლებია შენდა. აწ, ილვაწე, რაჲთა განამრავლო სასყიდელი შენი ღმრთისაგან“.[3] ივ. ჯავახიშვილი წერს: „იოანე მთაწმინდელი, მისი დიდებული შვილი ექვთიმე და დანარჩენი ქართველები, უცხოეთში მყოფი მოღვაწეები თავის თვალით ხედავდნენ, რამდენად მდიდარი იყო ბერძენთა მწერლობა, რამდენად ძლიერი იყო ბიზანტია თავის სწავლა-განათლებით, იმ დროს, როდესაც საქართველოში ჯერ კიდევ ნაკლულევანება იყო.“[4] გიორგი მცირე ღვთის წყალობად თვლის ექვთიმე ათონელის გამოჩენას, „ნათესავისა ჩუენისა განმაძლიერებლად და განმამხნობლად - ვითარცა ცისკარსა განთიადისასა, აღმოსლევად განმზადებულნი მოველოდით“.[5]

გიორგი მცირეს მსჯელობიდან კარგად ჩანს, რომ XI საუკუნის ქართველი მოღვაწენი მტკივნეულად განიცდიდნენ ბერძნულ ცნობიერებაში დამკვიდრებულ ბარბაროსის ადრესატად საკუთარი თავის მიჩნევას. მაგრამ მისივე სიტყვებით, ექვთიმეს დაუღალავმა შრომამ არსებული ნაკლი შეავსო. „რაჟამს ბრწყინვალე იგი მნათობი ნათესავისა ჩუენისაჲ დიდი ეფთიმე აღმოგვიბრწყინდა ნათლად და სიხარულად, დიდებად და გვირგვინად, გონიერმყოფელად და განმაბრწყინებლად უგუნურებისა ჩუენისა, რომელმან უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩუენთა, და ვითარცა დღემან ღმრთივგანათლებულმან, მჭმუნვარე იგი ნისლი უგულისხმოებისაჲ განხადა სულისაგან ჩუენისა, და სივრცითა და სიმაღლითა ღმრთივთარგმნილთა წმიდათა წიგნთა მისთაითა ნაკლულევანებაჲ ენისა ჩუენისაჲ აღავსო, და რომელნი ესე ბარბაროზ წოდებულ ვიყვენით ელინთა მიერ უსწავლელობისათვის და უმეცრებისა ჩუენისა, მათ თანავე აღგვარცხნა ღმრთისა მიერ მოცემულითა მით სიბრძნითა თვისითა.“[6]

XI საუკუნეში მცხოვრებ ქართველ მწიგნობართა ძირითადი ამოცანა იმ ზღუდის გადალახვა

იყო, რომლითაც ბერძნებისაგან განსხვავდებოდნენ. მათი ცდა, ჩამოეშორებინათ ბარბაროსის შეურაცხმყოფელი წოდება, იმდროინდელი სულიერი ცხოვრების კანონმდებლის, გიორგი მცირის განმარტებით, ექვთიმე ათონელმა დაასრულა. ქართველთა ბარბაროსობას გიორგი მცირე ქედმაღლობად არ თვლის. მისი აზრით, ექვთიმემდე წმინდა წიგნთა სიმცირე ქართველებს აშორებდა განათლებულ სამყაროს. ექვთიმეს ღვაწლმა გამოიყვანა იგი სიბნელიდან და შეუერთა დიდ სინათლეს. ექვთიმე ათონელის როლი ქართული სულიერი კულტურის აღზევების საქმეში საოცარი ფერებით აქვს დახატული გიორგი მცირეს თავის თხზულებაში. XI საუკუნის მწიგნობარი ხაზგასმით აღნიშნავს ქართველი მოღვაწის იმ ფართო საგანმანათლებლო მოღვაწეობას, რომლის წყალობითაც „უმეცრებისა იგი საბურველი მოსძარცვა გონებათაგან ჩვენთა". მწერალი რეალური სინამდვილის გათვალისწინებით მიუთითებს სასულიერო ლიტერატურის თარგმანთა დიდ მნიშვნელობას. ექვთიმეს მოღვაწეობამდე ელინთა მიერ ბარბაროსად წოდებული ხალხი წმინდანის საქმიანობამ აამაღლა იმდროინდელ კულტუროსან ერთა დონეზე. ექვთიმე მთაწმინდელის მცდელობამ კეთილი ნაყოფი გამოიღო: ბიზანტიელებმა ჯეროვნად შეაფასეს ქართველთა შემოქმედებითი პოტენციალი და, საზოგადოდ, ქართული კულტურის ადგილი იმდროინდელ მოწინავე ერთა შორის.[7]

მართლაც, მომდევნო პერიოდის მწერალ-მთარგმნელები სერიოზულად მსჯელობდნენ და ხშირ შემთხვევაში ეკამათებოდნენ თავიანთ ბერძენ კოლეგებს ცალკეულ საკითხთა ახსნა-განმარტებაში. დაიწყო ცოდნის თვალსაზრისით მათი გათანაბრება ბერძნული სასულიერო ელიტის წარმომადგენლებთან. ქართველ მოაზროვნეთა მაღალი დონის დამადასტურებელი რამდენიმე ფაქტი დაცული აქვს გიორგი მცირეს გიორგი მთაწმინდელის ცხოვრებაში.

ბერძენ-ქართველთა დავის მოსაწესრიგებლად ანტიოქიის პატრიარქის წინაშე წარმდგარმა გიორგი მთაწმინდელმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ეკლესიის მეთაურზე, რომ პატრიარქმა აღტაცება ვერ დაფარა და წარმოთქვა: „პატიოსანო მამაო, კურთხეულ არს ღმერთი, რომელ ვიხილე სიწმიდე შენი. და აჰა, ესერა გხედავ, მოწყალებითა ღმრთისაჲთა დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, სხვითა კვლა ყოვლითა სწავლულებითა სრულიად ბერძენი ხარ."[8] ანალოგიურ აზრს გამოთქვამს პატრიარქი მეორეჯერაც: „შენ, ჰოი ნეტარო მამაო, დაღაცათუ ნათესავით ქართველი ხარ, ხოლო სწავლულებითა და მეცნიერებითა ჩვენივე სწორი ხარ."[9]

გიორგი მცირის თხზულებაში გამოკვეთილია ის ხაზი, რომლის გაგრძელებაც იტვირთა გიორგი ათონელმა. გიორგის მოღვაწეობის არეალი შედარებით ვრცელი იყო და მის თავდადებას მნიშვნელოვნად ამსუბუქებდა წინამორბედის გაკვალული გზა. ამ გზის გაგრძელება შესაძლებელი გახდა, ექვთიმეს მსგავსად, ხორციელ სიამოვნებაზე უარის თქმით. მისი ამქვეყნიური ცხოვრება იყო მხოლოდ სულიერი საგანძურის გაღრმავება. გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. იგი ცდილობდა სულიერ კულტურას, განათლებას ეზიარებინა ქართველი ახალგაზრდები. ამის ნათელი დადასტურებაა მის მიერ ოთხმოცი ახალგაზრდის შეკრება და მათ აღზრდაზე ზრუნვა. გიორგი მცირე საბერძნეთში მათი წაყვანის სამ მიზეზს ასახელებს; ამათგან მთავარია ორი. პირველი „ვინაითგან შრომაჲ თავს ედვა და მრავალნი წიგნნი ეთარგმნნეს და ენება, რათამცა ნათესავმან ჩვენმან დაისწავა. ხოლო ვინაითგან შეუძლებელ იყო ჰასაკითა სრულთა და განმწვისებულთა განსწავლაჲ, ამისათვისცა ბუნებაჲ იგი ლბილი და ჩჩვილი, რომელი ვითარცა ცვილი საბეჭდავისა, ესრეთ მიიღებს სწავლულებასა, ესევითარი კრებული ორლანოდ შემწყნარებლად სწავლათა თვისთა მოიპოვა, რომლისაგან არა განცრუენა სასოებაჲ მისი."[10] განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მესამე პირობა: „რამეთუ ქვეყანაი ჩვენი შორს იყო ამის ქვეყანისაგან და მცირედნი მოვიდიან სწავლულნი, ხოლო რომელნი-იგი მოვიდიან, შემდგომად მცირედისა კვალადცა წარვიდიან და დიდებული ესე ეკლესიაჲ ცალიერი დაუტევიან. და ენება ნეტარსა ამას, რათა კრებული შვილთა თვისთაჲ, ვითარცა ცხოვარნი სიტყვიერნი, წმიდასა მამასა ჩვენსა ეფთვიმეს ძლენად პატიოსნად მოჰგვარნეს მგალობლად და მღვდლად წმიდისა ამის ეკლესიისა, რათა ღმრთშემოსილთა მათ მაშენებელთა სახსენებელი ბრწყინვალედ აღესრულებოდის."[11]

ბაგრატ IV და მისი დედა, დედოფალი მარიამი დიდ შეფასებას აძლევენ გიორგი მთაწმინდელის მიერ გაწეულ შრომას და ასეთ განმარტებას აძლევენ მის მოღვაწეობას: „ჩვენ ვიკურთხენით თქვენ მიერ და განვენათლდით. და კვალად ეკლესიანი ჩვენნი აღივსნენ მდინარეთა მაგათგან სულთა განმაცხოველებელთა წიგნთა თქვენთა ღმრთივსულიერითა."[12]

აღნიშნულ ეპოქაში და შემდეგაც ორი ქვეყნის ახლო ურთიერთობათა ფონზე ქართველი ინტელექტუალური ფენები თვალს ადევნებდნენ ბერძნული მწიგნობრობის განვითარებას, ცოდნას იმდიდრებდნენ ბერძნულ სასწავლებლებში და მიღებულ განათლებას ფართოდ ნერგავდნენ ქართულ კერებში. თავიანთი მოღვაწეობით ცდილობდნენ ზოგადქრისტიანულ დონემდე აეყვანათ ქართული მწიგნობრობა.[13] გიორგი მთაწმინდელის მთელი შემოქმედება ქართული კულტურის, მწიგნობრობის აღმავლობაზე ზრუნვის საუკეთესო ნიმუშია.

საქართველოს და ბიზანტიის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა მოიცავდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროს. ერთმორწმუნეობის მიუხედავად, პოლიტიკური ცხოვრება დაძაბული იყო და ბიზანტიის იმპერატორთა მხრიდან აგრესიის მუდმივი საშიშროება არსებობდა. XI საუკუნის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრობლემას ბიზანტიასთან ურთიერთობა წარმოადგენდა, რასაც ქართველი მეფეები გარკვეული დიპლომატიური წინდახედულებით არეგულირებდნენ. ბიზანტიის იმპერატორთა უზენაესობის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ქართველი მონარქები დიდ წყალობად თვლიდნენ ბიზანტიურ ტიტულატურას. ბიზანტიის ხელისუფლება გამოირჩეოდა უაღრესი მედიდურობით მეზობელი მფლობელებისადმი და მკაცრად იცავდა ერთხელ შემუშავებულ წესს, მათთვის მეფე არ ეწოდებინა. სახელწოდებას „მეფე" ცვლიდა „მთავარი" ან „მფლობელი"[14]. „დამოკიდებულება ქართველ მეფეთა და ბიზანტიის კეისარს შორის გამოიხატებოდა იმითაც, რომ კეისრები მეფეებს საკარისკაცო პატივს უწყალობებდნენ[15]." მაგრამ ეს ურთიერთობა „მფარველობისა და გავლენის საზღვრების" არსებობაში გამოიხატებოდა[16].

ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „კეისარი ქართველთა მფარველი იყო და არა ბატონი, მას საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არ შეეძლო და თუ ამას, თუნდაც ერთი რომელისამე ბაგრატუნიანის ნებაყოფლობით მოისურვებდა, ქა-

რთველ მთავართა ერთობლივი წინააღმდეგობა ეღობებოდა მისი განზრახვის განხორციელებას. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ ისინი მოურიდებლად ემუქრებოდნენ, თქვენ გილალატებთ, თქვენს დაუძინებელ მტერს მივეშველებით და ქვეყანას აგიოხრებთო, მაშინ ჩვენთვის სრულიად ნათელი იქნება, რომ ამ დროს ქართველთა ყმობა მხოლოდ გარეგნული ყოფილა და უფროს-უმცროს სამეფოთა შორის კავშირს უფრო უდრიდა, ვიდრე ნამდვილს პოლიტიკურ დამოკიდებულებას."[17]

XI საუკუნეში არაბთა საშიშროების შესუსტებამ, საქართველოს გაერთიანების დაწყებამ ბიზანტიის წინაშე დასვა საკითხი, შეეცვალა თავისი ადრინდელი პოლიტიკა და დიპლომატიური გზებით ცდილობდა გავლენის სფეროში მის მყარად დატოვებას. ამას ადასტურებს საქართველოს მეფის მოწინააღმდეგე მსხვილ ფეოდალთა მხარეზე იმპერატორთა აქტიური დგომა.

თუ პოლიტიკური ურთიერთობა გარკვეულ ვასალურ პირობებს ითვალისწინებდა, არსებითად, განსხვავებულ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი კულტურის სფეროში. ბერძნული მწერლობა და ხელოვნება წარმოადგენდა სრულყოფილ ნიმუშს ქართული სულიერი კულტურისათვის. ქართველი ახალგაზრდები ინტერესით ეცნობოდნენ ქრისტიანული ლიტერატურისა თუ ხელოვნების ძეგლებს. ამ ეპოქაში შესრულდა ფილოსოფიური, მხატვრული თუ ისტორიული ორიგინალური თხზულებანი და თარგმანები, რაც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენდა მხატვრული აზროვნების გაღრმავებასა და განვითარებაზე. ჩვენი თეზისის ბრწყინვალე დადასტურებად მოგვაქვს ქართული ხელოვნება, ფილოსოფია, მხატვრული ლიტერატურა და აგრეთვე საისტორიო მეცნიერების ჩასახვა. ქართველი მოაზროვნეები მოღვაწეობდნენ, როგორც მშობლიურ ნიადაგზე, ისე აღმოსავლეთ რომის იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე არსებულ კულტურის კერებში. აღნიშნული პირობების გაუთვალისწინებლად წარმოუდგენლად მიგვაჩნია საუბარი ქართული კულტურის, საერთოდ, და კონკრეტულად, ხელოვნების შესახებ. არ მიგვაჩნია პანეგირიკად იმის აღნიშვნაც, რომ XI საუკუნის ბიზანტიური ცივილიზაცია იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს მწვერვალი იყო და ის აძლევდა ტონს მეზობელი ქვეყნების კულტურას. ქართული ხელოვნების მოღვაწეებმა შემოქმედებითად გაიაზრეს ბერძენთა მიღწევები და ეროვნულ ნიადაგზე შექმნეს მათი დონის ნიმუშები.

მთარგმნელობითი ხელოვნების და საზოგადოდ მწიგნობრობის აყვავება-განვითარების ფონზე, ეკლესია-მონასტრებში სასულიერო მამების მრავალწლიანი შრომით იქმნებოდა ყველაზე უფრო „ეკლესიური" და ინდივიდუალური, დასრულებული მხატვრული სახის მქონე ნიმუშები, ილუსტრირებული კოდექსები; გაიზარდა მოთხოვნილება წიგნზე. მონასტრიდან მონასტერში გადადიოდა არა მარტო ლიტერატურული ნიმუშები, არამედ ის მხატვრული ტრადიციები, რომლებიც შემდგომ საფუძვლად ედებოდა ახლად გადაწერილ თუ შემკულ ხელნაწერებს; ქვეყნის კულტურული დონის უმაღლეს ორიენტირად სწორედ ხელნაწერი წიგნი იქცა. ხელნაწერი წიგნი არ იყო მხოლოდ ტექსტი; იგი იქცევა რთულ სისტემად, რომელიც ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად მხატვრული სახეების ჩამოყალიბებულ ფორმებს აერთიანებდა. ქართული სავანეების ღია, კონტაქტური ხასიათი საშუალებას იძლეოდა შემოქმედებითად აეთვისებინათ, როგორც ბიზანტიური, ასევე ლოკალური მხატვრული აზროვნების მიღწევები. თუმცა ქართულ მხატვრულ კულტურაში ხელოვნების შემოქმედება არ იყო მკაცრად შეზღუდული, როგორც ბიზანტიაში ჰქონდა ადგილი[18]. აღნიშნული პერიოდის ქართული ხელოვნება ამის ნათელი დადასტურებაა.

ეჭვს არ იწვევს, რომ ქართული კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი აქვს შესრულებული X-XI საუკუნეებს. მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მკვეთრად არის გამიჯნული, თუ როგორ ესმოდათ იმდროინდელ მოღვაწეებს საკუთრივ კულტურა და ეროვნება.[19] გიორგი მერჩულეს განმარტებით, „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების" XI საუკუნისათვის მერჩულეს ფორმულა უნდა შეიცვალოს და მარტო სარწმუნოებრივ მომენტს არ უნდა დაეკისროს მთავარი ფუნქცია. „ქართველში" მთელი ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა[20]. ამ ფონზე ქართული სულიერი კულტურის ასპარეზი საოცრად გაფართოებული გამოიყურება.

## შენიშვნები

1. ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ. 1983, გვ. 121–163.

3. კოპალიანი, საქართველო ბიზანტიის ურთიერთობა 970–1070 წ., 1969.

2. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ. 1979, გვ. 153–196. გვ. 368–369.

3. გიორგი მთაწმინდელი, იოანეს და ექვთიმეს ცხოვრება, ქართული პროზა, ტ. I, თბ. 1981, გვ. 390.

4. ივ. ჯავახიშვილი, ტ. II, გვ. 173.

5. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, ქართული პროზა, ტ. I, გვ. 426.

6. იქვე გვ. 426–427.

7. კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1980, გვ. 213.

8. გიორგი მცირე, გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება, ქართ. პროზა, გვ. 463.

9. იქვე გვ. 464.

10. იქვე გვ. 481.

11. იქვე გვ. 481.

12. იქვე გვ. 467.

13. ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ. 1980, გვ. 285.

14. ივ. ჯავახიშვილი, II, გვ. 10.

15. იქვე გვ. 111.

16. იქვე გვ. 112.

17. იქვე გვ. 113.

18. შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, თბ. 1961, გვ. 223.

19. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974, გვ. 90–91; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, გვ. 370.

20. ნ. ბერძენიშვილი, VII, გვ. 91; ნარკვევები, III, გვ. 370.

# ლურჯა ცხენები

როგორც ნისლის ნამქერი, ჩამავალ მზით ნაფერი,
ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში!
არ ჩანდა შენაპირი, ვერ ვნახე ვერაფერი,
ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე
მდუმარების გარეშე და სიცივის თარეშში
სამუდამო მხარეში მხოლოდ სიმწუხარეა!
ცეცხლი არ კრთის თვალებში, წევხარ ცივ სამა-
რეში,
წევხარ ცივ სამარეში და არც სულს უხარია.
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით
უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან!
სიზმარიან ჩვენებით – ჩემი ლურჯა ცხენებით
ჩემთან მოესვენებით! ყველანი აქ არიან!
იჩქარიან წამები, მე კი არ მენანება:
ცრემლით არ ინამება სამუდამო ბალიში;
გაქრა ვნება–წამება, როგორც ღამის ზმანება,
ვით სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში.
ვით ცეცხლის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა–გრიალით ჰქრიან ლურჯა ცხენები!
ყვავილნი არ არიან, არც შვება–სიზმარია!
ახლა კი სამარეა შენი განსასვენები!
რომელი სცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს?
ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?
ვერავინ განუგეშებს საოცრების უბეში,
სძინავთ ბნელ ხვეულებში გამოუცნობ ქიმე-
რებს!
მხოლოდ შუქთა კამარა ვერაფერმა
დაფარა:
მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში
ღელდება!
შეშლილი სახეების ჩონჩხიანი
ტყეებით
უსულდგმული დღეები ჩნდება და
ქვესკნელდება.
მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო
მხარეში,
ზევით თუ სამარეში, წყევლით
შენაჩვენები,
როგორც ზღვის ხეტი-
ალი, როგორც
ბედის ტრიალი,
ჩქარი გრგვინვა–გრი-
ალით
ჰქრიან ლურჯა ცხე-
ნები!



ბელა წიფურია

# გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების" გააზრებისათვის

პოეტური ნაწარმოების გაცნობიერების პრობლემა საზოგადოდ გულისხმობს ავტორის მსოფლმხედველობის კონკრეტული პრინციპების გაცნობიერებასაც. თუკი ვრცელი მოცულობის პროზაულ ტექსტში მწერალს აქვს საშუალება, დადინჯებით, განვრცობილად წარმოუდგინოს მკითხველს საკუთარ მსოფლმხედველობრივ პოზიციასთან შეფარდებული სათქმელი, პოეტური ტექსტის ავტორი ერთგვარად დაუცველიც კი არის მკითხველის წინაშე, რადგან თუ ჩვენ წინასწარვე გარკვეული წარმოდგენა არ გვექნება პოეტის შეხედულებების შესახებ, ლექსის სათქმელი შეიძლება სრულიად გაუხსნელიც დარჩეს. მეორე მხრივ, პოეტურ რიტმში მოქცეული მხატვრული სახე-სიმბოლოების ზემოქმედების ძალა იმდენად დიდია, რომ გარკვეულწილად მომზადებულ მკითხველს ისინი თავად მოუძღვიან ავტორის პიროვნული წარმოდგენებისა და მისი შინაგანი პრობლემების შეცნობისაკენ.

გალაკტიონ ტაბიძის ლექსების გაცნობიერებაც, რასაკვირველია, ერთგვარ მზადყოფნას მოითხოვს მკითხველისაგან. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობს იმ მსოფლმხედველობრივი არეალით, იმ ძირითადი მიმართულებით დაინტერესებას, რომლის ფარგლებშიც ვითარდება პოეტის შემოქმედება.

გალაკტიონის შედევრების უმრავლესობა სიმბოლიზმის სულიერი და აზრობრივი პრობლემებისაკენ არის მიმართული. ეს პრობლემები სათავეს იღებს ადამიანის სარწმუნოებრივ გაორებაში. ერთი მხრივ, იგი შეიგრძნობს, რომ მეოცე საუკუნის დამდეგს ქრისტიანული სამყარო კარგავს ღვთის რწმენას, კარგავს კავშირს ღვთიურ საწყისთან და ამ დანაკარგს ყველაზე უწინ სწორედ სიმბოლისტი პოეტები აცნობიერებენ. მეორე მხრივ, პოეტის შინაგანი არსება კვლავაც მიისწრაფვის სარწმუნოების წიაღისაკენ და სწორედ პოეტური აღმაფრენის წუთებში შეიძლება მოეფინოს ჭეშმარიტი რწმენის შუქი. ამგვარი სარწმუნოებრივი გაორება განაპირობებს პოეტის შინაგან დისჰარმონიას, სულიერი, ხორციელი და გონისმიერი საწყისის დაპირისპირებას. მას უჩნდება წინააღმდეგობა საკუთარ თავთან, მოყვასთან, საზოგადოებასთან, გარესამყაროსთან. პოეტს აღარ იზიდავს ხილული, მატერიალური სამყარო და ცდილობს უხილავი, ზემატერიალური, მიღმიერი სამყაროს შეცნობას. მაგრამ, რადგან მას დაკარგული აქვს ზემატერიალური სამყაროს წვდომის სარწმუნოებრივი გზა, იგი ცდილობს, პოეტური შემოქმედების, პოეტური სახე-სიმბოლოების მეშვეობით გაარღვიოს ნივთიერი, მატერიალური სამყაროს საზღვრები. როგორ შეიძლება წარმოუდგეს პოეტს მიღმიერი სამყარო, თუკი მან დაკარგა უფლის რწმენა, თუკი მის მსოფლაღქმაში ამ სამყაროს აღარ განაგებს ღმერთი?

ვფიქრობთ, ყველაზე შემზარავი სახით ღვთის გარეშე დარჩენილი მიღმიერი სამყაროს სურათი გალაკტიონმა დაგვიხატა ლექსში „ლურჯა ცხენები". აღსანიშნავია, რომ ეს ლექსი რიგით მეორეა გალაკტიონის გენიალურ პოეტურ კრებულში „არტისტული ყვავილები". როგორც ჩანს, პოეტმა შემთხვევით არ მიუჩინა „ლურჯა ცხენებს" ამგვარი ადგილი. ამ კრებულის კითხვისას ჩვენც არ უნდა გვტოვებდეს ის განცდა, რომ „თოელი", „სილაჟვარდე, ანუ ვარდი სილაში", „მერი", „მთაწმინდის მთვარე", სწორედ იმ პოეტმა დაწერა, ვისთვისაც უცხო არ არის სულიერი დაცემა, სასოწარკვეთა; ვინც სასოწარკვეთის წუთებში იმაზე ფიქრობს, თუ რამდენად მიუსაფარი იქნება მისი სული მიღმიერ „სამუდამო მხარეში", თუკი არ აღდგება ის რწმენა, რომ ამ მხარეს უნდა განაგებდეს ღმერთი. მაგრამ, რაც არ უნდა მტკივნეული იყოს ეს პოეტისათვის, „ლურჯა ცხენების" პირველივე სტრიქონში ღმერთის ქრისტიანული სიმბოლო, მზე, ჩამავალი სახით არის დანახული. საზოგადოდ, ჩამავალი მზის, დაისის, მიმწუხრის სახე-სიმბოლოები სიმბოლისტურ პოეზიაში აღნიშნავს სულიერ დაცემას, რწმენის დაკარგვას, დეკადანსს. თუკი ჩამავალი მზე ტოვებს სამუდამო მხარეს, ეს შეიძლება მიგვითითებდეს, რომ პოეტისათვის ღვთის გარეშე რჩება არა მხოლოდ „ცოდვის სადგური"– წუთისოფელი, არამედ მიღმური, ანუ ტრანსცენდენტური სამყარო. მართალია, ეს მხარე კვლავაც მარადიული, სამუდამოა, მაგრამ აქ არაფერი დარჩენილა „ცივ და მიუსაფარი მდუმარების გარეშე".

ნიშანდობლივია, რომ „ლურჯა ცხენების" სახე-სიმბოლოები სრულიად ცხადად უპირისპირდება იმ სიმბოლოებს, რომელთა მეშვეობითაც ქრისტიანულ სარწმუნოებაში ზეციური სამყარო ისახება. თუკი უფლის სასუფეველში მარადიული ნათელი და სითბო დგას, თუკი ის მოუცავს მარადიულ სიხარულსა და ნეტარებას, განისმის „ციურთ დასთა გალობის ზარი", გალაკტიონისეულ სამუდამო მხარეში სიცივეა და სიმწუხრე, მდუმარება და მიუსაფრობა: აქ „არც სულს უხარია", რადგან ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად სასუფეველში დამკვიდრებული ადამიანის სულს საუკუნო სიხარულს ანიჭებდა უფალთან სიახლოვის განცდა; რაღა შეიძლება ახარებდეს მიუსაფარ სულს უღვთოდ დარჩენილი სამუდამო მხარის ცივ სამარეში? როგორც ჩანს, გალაკტიონისათვის მიუსაფრობა, შენაპირის დაკარგვა სწორედ საუკუნო სასუფევლის დაკარგვის განცდას უკავშირდება. ქრისტიანულ სარწმუნოებაშიც ნაპირი და თავშესაფარი სასუფევლის სიმბოლოებია. სწორედ სასუფევლის ნაპირს შეაფარებს თავს წუთისოფლის ქარიშხლიან ზღვაზე მოხეტიალე ნავი – ადამიანის სული. გალაკტიონისათვის კი სულის მიუსაფრობა და უსიხარულობა სწორედ ღვთის რწმენის და-

კარგვას, აქედან გამომდინარე კი, სასუფეველში დამკვიდრების იმედის დაკარგვას უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ სიმბოლისტურ პოეზიაში გამუდმებით გვხვდება ადამიანის ჩივილი იმის გამო, რომ იგი კარგავს ღვთის რწმენას და ამის გამო კარგავს სულის უკვდავების, სულის ცხონების შესაძლებლობასაც; კარგავს სიკვდილის შემდგომი ნეტარების იმედს და სიცოცხლის საზრისსაც. გალაკტიონის „სიზმარიან ჩვენებაშიც" განჭვრეტილია, თუ როგორი „განსასვენებელი" ელის უღვთოდ დარჩენილი ადამიანის სულს: „შეშლილი სახეების ჩონჩხიანი ტყეებით" აღსავსე სამყარო უპირისპირდება სულთა სასუფეველს. აქ კვლავ მეფობს მატერია, ნივთიერება, მაგრამ ის მეფობს უსახური ფორმით. თუკი მატერიალური მოვლენების მშვენიერება ღვთიურ სიმეტრიასა და ჰარმონიას ეფუძნებოდა, მატერიის უსახურობა, კვლავ და კვლავ, ამ ჰარმონიის დაკარგვაზე მიგვითითებს. „ლურჯა ცხენების" მიღმიერი სამყარო ატარებს მატერიალური სამყაროს კიდევ ერთ ნიშანს: აქ არ დაკარგულა დროის მდინარება: აქ „უსულდგმულო დღეები რბიან, მიიჩქარიან", აქ „იჩქარიან წამები", ამდენად, ეს სამყარო არ ფლობს მარადიულობას, იგი კვლავ ექვემდებარება დროის წარმავალობას. ბუნებრივია, აქ მარადიული სტატიურობა არ მეფობს სწორედ იმდენად, რამდენადაც არ სუფევს უფალი. აღსანიშნავია ისიც, რომ მიღმიერი სამყარო მოუცავს ლურჯა ცხენების გრგვინვა-გრიალს, რომლებიც დროისა და ბედის სიმბოლურ წრებრუნვაში, სიმბოლურ „ბედის ტრიალში" არიან ჩაბმულნი. ამგვარ წრებრუნვასაც სიმბოლური დატვირთვა ენიჭება და ეს სიმბოლო

ქრისტიანულ სახისმეტყველებასთან არის დაკავშირებული. ქრისტიანული მსოფლმხედველობის თანახმად, მიწიერ სამყაროს, მიწიერ ისტორიას აქვს მოძრაობის სწორხაზოვანი, ზეაღმსწრაფი მიმართულება, რაც გულისხმობს მოძრაობას მიწიდან ზეცისაკენ, წარმავალობიდან მარადიულობისაკენ, მატერიიდან ღვთისაკენ. მაგრამ თუ ეს სამყარო აღარ ემორჩილება უფლის ნებას და ექვემდებარება ბოროტ ძალას, იცვლება მოძრაობის მიმართულებაც: ნაცვლად უფლისკენ სწრაფვისა, იწყება წრებრუნვა, ტრიალი ყოველგვარი აღმავლობის გარეშე. სწორედ ამიტომ ითვლება, რომ წრეზე ადამიანი ბოროტ ძალას დაჰყავს. „ლურჯა ცხენების" სამყაროშიც არ შეჩერებულა მატერიისათვის დამახასიათებელი განუწყვეტელი პროცესი მოძრაობისა, მაგრამ ეს პროცესი შედარებულია ცეცხლის უმიზნო ხეტიალთან, ბედის ტრიალთან. მიღმიერი სამყარო განუწყვეტლივ მოძრაობს, მაგრამ მას დაუკარგავს უფლის სახება, უფლისკენ მისწრაფების ძალა, სწორედ ამიტომ ცხადდება ეს მოძრაობა უმიზნოდ. მიუხედავად ამისა, ეს უმიზნო ტრიალი ადრე თუ გვიან ჩაითრევს ყველა იმ ადამიანს, ვინც მიწიერ ცხოვრებაშივე დაკარგა ღვთის რწმენა და ამ გზით დაკარგა სასუფეველში დამკვიდრების იმედიც. მისთვის რეალურია მხოლოდ სამარის განსასვენებელი და არა დამკვიდრება „საუკუნოს განსასვენსა ალაგსა" (გრ. ორბელიანი). ამასთანავე, გალაკტიონთან აქცენტირებულია ისიც, რომ ეს არის ერთადერთი პერსპექტივა უღვთოდ დარჩენილი კაცობრიობისათვის; „ყველანი აქ არიან", ყველა თანაბრად იზიარებს რწმენის მოკვდინების ცოდვას და ყველას თანაბრად ელის სამუდამო სამარე. თუკი ღვთის რწმენის დაკარგვით ადამიანი კარგავს სულიერებასაც, მისგან რჩება მხოლოდ ხორციელი საწყისი, რომლის ერთადერთი ალაგი ის ცივი სამარეა, რომლის აღქმაც ამდენად დრამატულია გალაკტიონის პოეზიაში. სწორედ ამგვარად განჭვრეტს პოეტი სიკვდილს სულიერი მოუსაფრობისა და სასოწარკვეთის წუთებში. თუკი სარწმუნოებრივი აღქმის თანახმად ადამიანის სული გარდაცვალების შემდეგ ინარჩუნებს თავის ინდივიდუალობას, თავის სახესა და სახელს, „ლურჯა ცხენების" სამუდამო მხარეში აღარ იხსენიება სახელი და ვერავინ ცნობს მის სახეს, რადგან აქ აღარ ფიგურირებს სული, აღარ ფიგურირებს ინდივიდუალობა. ადამიანი აღრეულია მატერიის ამორფულობაში. ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად სწორედ ღმერთი ცნობდა ადამიანს მისი სახელის მიხედვით, იმ სახელის მიხედვით, რომლითაც ის ნათლობისას ჩაიწერებოდა უფლის სამწყსოში, ზეციურ „ცხოველ წიგნში". სწორედ ამ სახელთან იყო დაკავშირებული მის მიერ ამქვეყნად ჩადენილი ცოდვაცა და მადლიც, ამ სახელით წარდგებოდა იგი საუკუნო სამსჯავროზე. „ლურჯა ცხენებში" კი გალაკტიონი ცხადად მიგვითითებს, რომ თუ ადამიანში განქარდება ღვთის რწმენა, განქარდება მისი სულიც, მისი ინდივიდუალობაც, მისი სახელიც. მას ვეღარავინ ანუგეშებს და „საოცრების უბეში", შეუცნობად ტრანსცენდენტურ სამყაროში ნაცვლად ღვთისა მას გამოუცნობი ქიმერები ელიან. თუ სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობაში მართალთა სულები უფლის სიახლოვეს დავმკვიდრებოდნენ და უფალს შეიცნობდნენ, „ლურჯა ცხენებში" ადამიანი სიკვდილის შემდეგაც ვერ შეიცნობს საიდუმლოს, იგი კვლავ ხვდება ბნელ, საოცარ, გამოუცნობ სამყაროში და იქ აღარავინ ელის ისეთი, ვინც მის ძახილს შეისმენდა და დაიჯერებდა. ამ შემთხვევაშიაც გალაკტიონი უპირისპირდება სარწმუნოებრივ პრინციპს, რადგან მორწმუნეს სწამს ისიც, რომ მის წრფელ ვედრებას, მის ძახილს გაიგებს და შეისმენს ღმერთი.

ამდენად, „ლურჯა ცხენების" ამ სტროფში გალაკტიონი კვლავაც წარმოგვიჩენს, თუ რამდენად მოუსაფარია რწმენადაკარგული ადამიანი, რამდენად ეულია ის, ვინც მიღმიერ სამყაროში გარდაცვალებისას კვლავ იხსენებს, კვლავ მოუხმობს ღმერთს, მაგრამ მას აღარავინ იხსნის, რადგან ამქვეყნადვე დაკარგა რწმენა, დაკარგა ღმერთი. მაგრამ გალაკტიონის სტრიქონები: „რომელი ცნობს შენს სახეს, ან ვინ იტყვის შენს სახელს? ვინ გაიგებს შენს ძახილს, ძახილს ვინ დაიჯერებს?" შეიძლება საპირისპირო მნიშვნელობითაც წავიკითხოთ იმ შემთხვევაში, თუ მიმართებას ადამიანისა ღვთისადმი შევცვლით მიმართებით ღვთისა ადამიანისადმი.

საზოგადოდ, ეს მიმართულებანი ქრისტიანულ სარწმუნოებაშიც ენაცვლება ერთიმეორეს, რადგან ღვთის და კაცის ურთიერთკავშირი არ არის ცალსახა. უფლისთვისაც ისევე მნიშვნელოვანია ადამიანთან კავშირი, როგორც ადამიანისათვის– უფლისკენ მისწრაფება. ამ შემთხვევაში

გალაკტიონის სტრიქონებში შეიძლება ამოვიკითხოთ ისიც, რომ რწმენის დაკარგვასთან ერთად დაიკარგა თავად ადამიანიც, დაიკარგა ის, ვისაც უნდა შეეცნო უფლის სახიერება, მისი სახე, ის, ვისაც უნდა შეეცნო უფლის სახელი. ქრისტიანულ სარწმუნოებაში ხომ იგივეობრივია ღვთის არსება და მისი სახელი. უფლის სახელის შეცნობით ადამიანს ეძლევა თავად უფლის შეცნობის შესაძლებლობა, მაგრამ თუ აღარ იარსებებს მორწმუნე ადამიანი, ველარავინ იტყვის ღვთის სახელს, ველარავინ გაიგებს მის ძახილს, ველარავინ დაიჯერებს, რომ ღმერთს გამუდმებით შესტკივა გული თითოეულ ადამიანზე, თითოეულ გზააბნეულ ცხოვარზე და გამუდმებით მოუხმობს მას თავისკენ. გალაკტიონი გვაგრძნობინებს, რომ მის ლექსში ადამიანის გარეშე დარჩენილი ღმერთი ისეთივე ეულია, როგორც ღმრთის გარეშე დარჩენილი ადამიანი. ამასთანავე, პოეტი მიგვითითებს იმასაც, რომ რწმენის დაკარგვის საბედისწერო პროცესი, რომელიც გამოიხატა ფრიდრიხ ნიცშეს სიტყვებით „ღმერთი მოკვდა", განხორციელდა სწორედ ადამიანის შინაგან არსებაში, სწორედ მის სულსა და ცნობიერებაში. ღმერთი მოკვდა მხოლოდ იმიტომ, რომ ის მოკვდა ადამიანისათვის, თორემ თავისთავად ის კვლავაც უკვდავია, კვლავაც მარადიული, მისი „შუქთა კამარა ვერავერმა დაფარა", იგი კვლავაც თვალშეუდგამ ნათელად დარჩა, რომელსაც ვერ ფარავს თვით ულმერთობის „ნისლის ნამქერი". მაგრამ იმ სამყაროში, სადაც ადამიანთა განწმენდილი სულები უნდა დამკვიდრებულიყვნენ, ახლა მხოლოდ „მშრალი რიცხვებია" დარჩენილი, მატერიალური რაოდენობრიობა ვერ გარდაისახება სულიერ თვისობრიობად, რადგან სულიერი გარდასახვა მხოლოდ ღვთის რწმენით იყო შესაძლებელი. ახლა აქ მხოლოდ „უდაბნო მღელვარებს" (ნ. ბარათაშვილი), შუქთა კამარა „მშრალ რიცხვების ამარა უდაბნოში ღელდება".

რამდენადაც გვახსოვს, ქრისტიანულ სახისმეტყველებაში უდაბნო უფლისაგან განდგომილი სამყაროს სიმბოლოა. უდაბნოს ქალაქად ქცევა, მისი მოწესრიგება მხოლოდ ღვთისადმი ლოცვით, ეკლესიის აგებით, ზეციური კანონზომიერებისადმი დაქვემდებარებით არის შესაძლებელი. „ლურჯა ცხენებში" კი მიღმიერი სამყარო მღელვარე, ქაოსურ უდაბნოდ ესახება პოეტს, რადგან აქ არ მეფობს კანონზომიერება, რადგან აქ მხოლოდ წყევლა და შეჩვენება ისმის ნაცვლად ლოცვისა. „ლურჯა ცხენებში" გალაკტიონ ტაბიძე ნათლად გვიჩვენებს იმასაც, თუ რატომ ისახება მის „სიზმრიან ჩვენებებში" სწორედ ამგვარი „სამუდამო მხარე". პოეტი გვაგრძნობინებს, რომ ეს მოხდა მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მის არსებაშიც გაქრა „სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში", რამდენადაც თვით მის არსებაშიც გაიდგა ფესვი ურწმუნობამ, ღვთისადმი დაპირისპირებამ. საზოგადოდ, სიმბოლისტურ პოეზიაში აღიარებულია, რომ სწორედ პოეტი არის ის პიროვნება, რომელიც სულიერ ასპექტში იტვირთებს კაცობრიობის ცოდვებს. ურწმუნობის ცოდვაც არ გულისხმობს ოდენ ერთი ადამიანის, ერთი პოეტის სულიერ დაცემას. ეს პოეტი სულიერად დაცემულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ყველაზე მძაფრად განიცდის კაცობრიობის საყოველთაო სულიერ მდგომარეობას. თუ ის იცხოვრებდა სულიერი განწმენდისა და აღზევების დროში, მისი ლექსებიც ალმაფრენის, ზოგადი ჰარმონიის გამომხატველნი იქნებოდნენ, მაგრამ მოდერნიზმის ეპოქაში, კაცობრიობის სულიერი დეკადანსის ხანაში, მის პოეტურ შთაგონებას, მის „ღამის ზმანებას" სწორედ ამგვარი ხილვა, სწორედ ამგვარი „სიზმარიანი ჩვენება" ეწვევა.

„ლურჯა ცხენებში" გალაკტიონის მიერ წარმოსახული სურათი არ მიგვითითებს პოეტის შინაგან სიმშვიდესა და ჰარმონიაზე, რამდენადაც ეს პოეტი ცხოვრობს საყოველთაო დისჰარმონიის, საყოველთაო უთანხმოების ხანაში. ამ ლექსში დახატული ტრანსცენდენტური სამყარო საზარელია თავისი მოუსაფრობით, თავისი სიცივითა და სიმწუხარით. რამდენად მისაღებია ქრისტიანული სარწმუნოების თვალსაზრისით ამგვარი ხილვების გაცხადება? რამდენად ენიჭება ადამიანს უფლება, სხვებისთვისაც აღსაქმელი გახადოს საკუთარი სასოწარკვეთილი სულის მდგომარეობა, სხვებსაც წარმოუჩინოს ის სურათი, რომელიც მის სუბიექტურ შინაგან პოზიციას ასახავს? ხომ არ ახვევს თავს საკუთარ სულიერ პრობლემებს იმ ადამიანებს, ვისთვისაც ჯერ უცხოა ამგვარი კრიზისის განცდა? განა ანალოგიური ბრალდება არ გაისმა გრიგოლ ორბელიანის ლექსში მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს: „ღმერთი არ არის?.. (შენთვის ნუ არის!) შენ რა გაწუხებს, რომ ჰსუფევს სხვისთვის?" ხომ არ ჩაუნერგავს გალაკტიონის ეს ლექსი „უმანკოთ გულში" უსასოებას, ურწმუნოებას? მაგრამ თუკი „ლურჯა ცხენების" სათქმელს აღვიქვამთ სარწმუნოებრივი პრობლემების კონტექსტში, ჩვენთვის ცხადი გახდება ისიც, რომ ეს ლექსი მოიცავს არა იმდენად საფრთხეს, არამედ გაფრთხილებას, თუ რამდენად მძიმე შეიძლება იყოს პიროვნებისათვის ღვთის რწმენის დაკარგვა, თუ რამდენად უსასოდ აღიქვამს ამგვარი პიროვნება არა მხოლოდ მატერიალურ სამყაროს, სააქაო ცხოვრებას, არამედ მიღმიერ სამყაროსაც, „სამუდამო მხარესაც". თუ გავითვალისწინებთ, რომ ქრისტიანობაში არსებობდა ცოდვილთა ტანჯვის, მათი „საუკუნო პატიჟის" გამოსახვის ტრადიცია, მაშინ გალაკტიონის „ლურჯა ცხენებიც" შეიძლება გავიაზროთ, როგორც ამ ტრადიციის გაგრძელება. ნიშანდობლივია, რომ ქრისტიანული ეკლესიის წმინდა მამებიც კი არ უფრთხოდნენ საკუთარი სულიერი ტკივილების წარმოჩენას, რათა ამ ფორმით წარმოეჩინათ ისიც, თუ რაოდენ სანატრელი, რაოდენ სანეტარო შეიძლება იყოს ის შვება, რომელსაც უფალი მომადლებს სარწმუნოების წიაღში მონანიებით დაბრუნებულ სულს. გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაშიც მრავლად შევხვდებით ისეთ ქმნილებებს, სადაც ნათლად ჩანს პოეტის სწრაფვა ამგვარი მონანიებისაკენ. სწორედ ამ ლექსებთან მთლიანობაში უნდა განვიხილოთ „ლურჯა ცხენებიც", რადგან გალაკტიონის ლირიკა, სიმბოლისტური პოეზიის კანონზომიერების შესაბამისად, მოიცავს როგორც დიდი სულიერი დაცემის, ისე დიდი სულიერი ალმაფრენის გამომხატველ თხზულებებსაც.

საქართველოს ... ბიბლიოთეკა

ოთარ გამსახურდია

# ლიტერატურული გაერთიანება „აკადემიური ასოციაცია“ და დამოუკიდებელი საქართველოს პრესა

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა სამიოდე წელი გრძელდებოდა. ქვეყანა ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს ქართველ ბოლშევიკთა აქტიური მონაწილეობით დაპყრობილ იქნა. მიუხედავად ამ მცირე ხანისა, სამწლიანმა თავისუფლებამაც დიდად შეუწყო ხელი ქართველი ხალხის ეროვნული ცნობიერების აღორძინებასა და განმტკიცებას.

თავისუფალი საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მწერლებმა კონსტანტინე გამსახურდიას, ივანე გომართელს, არჩილ ჯაჯანაშვილს, იოსებ გრიშაშვილს, ილო მოსაშვილს, დუტუ მეგრელს, ივანე მჭედლიშვილს, ვარლამ რუხაძეს, შიო მღვიმელს, რომლებიც შემდგომ პერიოდში, 1921 წლიდან „აკადემიური ასოციაციის“ წევრებად გვევლინებიან.

ახლადფეხადგმულ, თავისუფალ საქართველოს მხარდამჭერა სჭირდებოდა. ხშირად დასახელებული მწერლები თავიანთი სტატიებითა და ლექსებით ცდილობდნენ აემაღლებინათ ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნება, რასაც აღწევდნენ კიდეც. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი ეროვნული მრწამსი ყველაზე მკაფიოდ მაინც პუბლიცისტიკაში გამომჟღავნდა.

ჟურნალ „პრომეთეში“ იბეჭდება კონსტანტინე გამსახურდიას უაღრესად საინტერესო წერილი „პოლიტიკური მომოხილვა“ (1918 წ. №1, გვ. 81–89), რომელშიც ნათლად არის წარმოჩენილი მისი ეროვნული პოზიცია და მზადყოფნა, ემსახუროს დამოუკიდებელი საქართველოს ნათელ იდეალებს: „იმ დღიდან, რაც პოლიტიკური თავისუფლება დავკარგეთ, ქართველ ხალხს მაჯა და მკლავი არ შეესვენებია. პოლიტიკური თავისუფლების დაკარგვასთან ერთად, ქართველობას პოლიტიკური თავისუფლების სიყვარული არ დაუკარგავს“,– აცხადებს მწერალი. იგი ანალიზს უკეთებს მე–19 საუკუნის პოლიტიკურ ვითარებას და სავსებით სამართლიანად აღნიშნავს, რომ ჩვენ ბედმა გვარგუნა ამიერკავკასიაში გეოგრაფიული ცენტრის დაჭერა და, მიუხედავად იმისა, რომ კავკასია მრავალი საუკუნის რელიგიოზური და ეროვნული ბრძოლის არენად იყო გამხდარი, თვით ამ ბრძოლის ქარტეხილშიაც გამოსჭვიოდა ერთი რამ: ჩვენი გამუდმებული და შეუპოვარი ჭიდილი, ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტის განსამტკიცებლად, პარალელურად მთელი კავკასიის ერთა თავისუფლების გარანტად იყო გადაქცეული“. მწერლის აზრით, ჩვენს ლიტერატურაში ჯეროვნად არ არის შესწავლილი 1801 წლის კატასტროფის მიზეზი. იგი ფიქრობს, რომ ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვა გამოწვეული იყო იმით, რომ საქართველო დაიპყრო პრუსიულ დაფუძნებულმა სახელმწიფომ, რომ ჩრდილოეთით გამოჩენილმა ცილიზაციურად ჩვენზე ძლიერმა რასამ მოახერხა ჩვენი დაპყრობა, რასაც ქართველობამ ვერავერი ვერ დაუპირისპირა, და არა მეფე ერეკლეს მცდარმა ნაბიჯმა, როგორც ამას მავანნი ფიქრობენ. ახლა, როდესაც მოხდა ერის გათავისუფლება და განიდევნა მტრის ხელისუფლება ჩვენი ტერიტორიიდან, საჭიროა ეროვნული კულტურის აღორძინება“. საინტერესოა და სამართლიანი მწერლის მიერ გამოთქმული მოსაზრება ერთა საკაცობრიო როლის შესახებ: „ჩვენ კარგად ვიცით სხვა ერების წარსულიდან, რომ ყოველმა ერმა, პოლიტიკური ბრძოლის პარალელურად, უნდა აწარმოოს კულტურული მუშაობა და იმ ერს, რომელსაც შინ წერაქვის, კალმის და გუთნის ხელის სახლებლად გული არ ერჩოდა და მუდამ მახვილამოწვდილი დაძრწოდა სხვის ხარჯზე გასამდიდრებლად და სხვისი ტერიტორიების შემოსაერთებლად, აუცილებლად მახვილით ელებოდა ბოლო. ამგვარმა ხალხებმა დიახაც დაამშვენეს ომებისა და ლაშქრობების მატიანენი და იარაღის მუზეუმები, ხოლო მათ მიწებზე არავის უნახავს არც მდიდარი, შინაარსიანი მონუმენტალური დოკუმენტები, არც თვალსაჩინო გმირთა სარკოფაგები, ერის სულიერი ზეიადობისა და მაღალი ხელოვნების მოწმედ დარჩენილი“.

დამოუკიდებელი საქართველოს სიმბოლიკა, მისი ეროვნული დროშა. მწერლის მიერ ასე მოიაზრება „სამფეროვანია ჩვენი დროშა: შავი, თეთრი და წითელი. შავბნელი იყო ჩვენი წარსული, საუკუნეთა წყვდიადში სინათლის ჩირაღდნით გვიელია. ალისფერი–სისხლია, ყოველგვარი თავისუფლებისათვის აუცილებელი გარანტია და ზვარაკი. სითეთრე– სისპეტაკის ემბლემაა“.

მწერალს სჯერა, რომ ქართველი ერი მოპოვებულ თავისუფლებას გაუფრთხილდება და მძიმე განსაცდელის ჟამსაც იმედიანად შეხედავს თავის მომავალს: „მაშ ნუმც დაჩრდილავს ღრუბელი ჩვენი მამულის ცისკიდეზე ამობრწყინებულ თავისუფლების მზეს. ნუმც დავკარგავთ მომავლის იმედს თვით უაღრესი განსაცდელის ჟამს, სიმართლე და სამართლიანობა ვიგულოთ მარადჟამს ჩვენს ერთგულ მოკავშირედ“–

ჟურნალ „ცისარტყელაში“ გამოქვეყნებულია ცნობილი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ივანე გომართელის სტატია „წერილები ხელოვნებაზე“, რომელშიც უაღრესად მკაფიოდ არის მოცემული ჩვენი ინტელიგენციის მამოძრავებელი როლი ეროვნული ცნობიერების გადარჩენასა და შენარჩუნებაში. მეტად ორიგინალური და შთამბეჭდავია წერილის დასაწყისი: „როდესაც რუსის ჯარი თბილისში შემოსულა მუსიკით, გიორგი უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, ვიღაც პატრს წარმოუთქვამს – მუსიკა უკრავს, საქართველო კვდებაო“. კრიტიკოსის აზრით, თავდაპირველად რუსის გაბატონებას საქართველოსათვის წყნარი მოქალაქეობრივი ცხოვრება მოჰყვა. ამას თავად ნ. ბარათაშვილიც კი გრძნობდა და მადლიერებას გამოხატავდა რუსეთის მთავრობისადმი. „როდესაც მადლიერების პირველი ბურუსი გაიფანტა და ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილს თვალები

გადაეწმინდა. აშკარა შეიქმნა ერთი გარემოება: თუ აღმოსავლეთის მტარვალები ერთბაშად გვიპირებდნენ ამოჟლეტას, რუსეთის მთავრობასაც ამგვარი მიზანი ჰქონდა დასახული; ის მხოლოდ სხვა საშუალებას ხმარობდა: მას უნდოდა ჩვენი მოსპობა თანდათანი გადაგვარებით". ეს მზაკვრული ჩანაფიქრი კარგად გაიცნობიერა მოწინავე ქართველმა ინტელიგენციამ და და თავისი ენერგია მწერლობაში გადაიტანა. პოეზიაში გაცხადდა ის ეროვნული სატკივარი, რომელიც ქართველ ხალხს აწუხებდა. კრიტიკოსი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „სულიერი განწყობილების უშუალო გამომხატველი პოეზია არის. სევდა, გოდება და ცრემლები გადაიქცნენ ჩვენი პოეზიის მუდმივ თანამგზავრებად, სამშობლო – იმის მთავარ საგნათ, მამულისადმი სიყვარული– იმის მთავარ განცდათ. მტერი– რუსეთის თვითმპყრობელების სახით –იყო მეტად ძლიერი, მოწინააღმდეგე– ჩვენი ინტელიგენცია– მეტად სუსტი. ჩვენმა პოეზიამ გაიღო უდიდესი მსხვერპლი, მან თავისი თავი ზვარაკად მიიტანა სამშობლოს განთავისუფლების, აღდგენის საფუძველზე".

კრიტიკოსი განიხილავს არსებულ ვითარებას, ანალიზს უკეთებს იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და სავსებით სწორად გამოთქვამს თავის შეხედულებას იმის შესახებ, რომ მიუხედავად ინტელიგენციაში არსებული დაპირისპირებისა, მათ ერთი მიზანი აერთიანებდა, ეს სამშობლოს გათავისუფლება იყო. „მაშინდელი ინტელიგენცია ორ ბანაკად გაიყო. ერთი– კონსერვატიული ნაწილი ჩვენი საზოგადოების, ყოველივე ძველის მოტრფიალე; მეორე კი– 60–იანი წლების ლიბერალური რეფორმების მომხრე ერთის სულისჩამდგმელი იყო გრიგოლ ორბელიანი, მეორისა– ილია ჭავჭავაძე მიუხედავად მათი დაპირისპირებისა, მათ ერთი რამ აერთიანებდა: ფიქრი სამშობლოს განთავისუფლებაზე გრიგოლ ორბელიანი ისევე ოცნებობდა თავისუფალ საქართველოზე, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი. ილია ჭავჭავაძის მარტო პოეზია კი არა, მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა ერთი ჩამოყალიბებული პრაქტიკული გეგმაა ქართველი ერის დაცემული ვინაობის აღსადგენად. ილიამ შეადგინა ამ მიზნის მისაღწევად პროგრამა და ხელოვნებაც მას დაუმორჩილა". კრიტიკოსის აზრით, „ერის ცხოვრებაში არის ზოგჯერ ისეთი მომენტი, როდესაც ყველაფერი– თვით პოეზიაც – განსაზღვრულ მიზანს უნდა ემსახუროს. საერთოდ პოეზია, ხელოვნება ღირსია იმისა, რომ ის თავისუფალი იყოს, მაგრამ ერს მეტი მნიშვნელობა და ფასი აქვს, ვიდრე პოეზიას. როდესაც ერის არსებობა მსხვერპლს მოითხოვს, დეე პოეზია შეეწიროს ერს: გადარჩენილი და თავისუფალი ერი შექმნის ღირსეულ პოეზიას".

ქართველი ხალხი მიენდო რუსეთის ხელმწიფეს. მას თვით გიორგის ადარებდა. ერს მყუდრო, მშვიდობიანი ცხოვრება წყუროდა. ამას ჰქონდა გამართლება, რადგან გარეშე და შინაური მტერი მას მოსვენებას არ აძლევდა. მოლოდინი თითქოსდა გამართლდა. ერმა სიცოცხლე შეინარჩუნა. მაგრამ, როგორც ივანე გომართელი სამართლიანად აღნიშნავს „საშინელება იმდენად რუსულ რეჟიმში კი არ იყო, არამედ ხალხის სულიერ განწყობილებაში: მან რუსეთი შეიყვარა, ამით მთავრობას მისი პოლიტიკის წარმოება გაუადვილა და უფრო გაუნაყოფიერა. აი, ასეთს პირობებში ყოველისფერი უწყობდა ხელს – საშინელი რეჟიმი, ხალხის სულიერი განწყობილება, ახლობელი წარსულის მწარე გაკვეთილები რომ მშვიდი მოქალაქეობრივი ცხოვრების ჭერქვეშ ჩვენი ხალხი თანდათან გადაგვარებულიყო და მომკვდარიყო. და თუ ის ეროვნულად არ მოკვდა, აქ სწორედ პროგრამამ გააკეთა დიდი საქმე და სხვათა შორის, საპროგრამო პოეზიამ". ქართულმა მწერლობამ ერი სულიერად გაამტკიცა, გააძლიერა და ეროვნული შეგნება აამაღლა. „საქართველოში პოეზია არ მოკვდა; დამონებული, დანარცხებული საქართველო პოეზიაში იყო თავისუფალი, ამაყი, წელში გამართული. პოეზიამ გაიმარჯვა, სამშობლო განთავისუფლდა, აღსდგა და ეს გამარჯვება სრულებით ამართლებს ძველ პოეზიას".

პოეზიის დანიშნულების შესახებ თავის მოსაზრებებს გვთავაზობს ივანე გომართელი სტატიაში „ვარლამ რუხაძის პოეზია" (ჟურ: „ცისარტყელა. 1919, №1 გვ. 81), სადაც ერთხელ კიდევ წარმოჩინებულია ის დიდი ღვაწლი, რაც მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას მიუძღვის ერის წინაშე „როდესაც ქართველი ერი მონობის მძიმე ბორკილებს ატარებდა, პოეზიის მოვალეობა იყო: ხალხის გამოფხიზლება, ხალხის სულიერი ამაღლება, ხალხის შეკავშირება, განთავისუფლების იდეის გარშემო, თავის მიზნათ დაესახა. ჩვენი პოეზია ასეც მოიქცა და მან ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა." შემდეგ კრიტიკოსი უსაყვედურებს თავის თანამედროვე პოეტებს, რომ მათ ვერ გამოხატეს თავიანთ პოეტურ ქმნილებებში თავისუფლების ამაღლებული განწყობილება, ვერ დააკმაყოფილეს ხალხის სულიერი მოთხოვნილებანი. „ჩვენს პოეტებს, ყოველგვარი მიმდინარეობისას, ერთი დიდი ნაკლი ემჩნევათ სამშობლოს აღდგენამ ვერა ჰპოვა მათს გულში შესაფერი გამოხმაურება, ის აგიზგიზება, ის ენთუზიაზმი, რაც ასეთს დროს მოსალოდნელი და აუცილებელი იყო... ჩვენი პოეტების შემოქმედებას ჯერ კიდევ საგრძნობლად ატყვია დაღი წარსული, დანგრეული ცხოვრებისა."

გაზეთში „სახალხო საქმე" დაიბეჭდა „აკადემიური ასოციაციის" წარმომადგენლის, არჩილ ჯაჯანაშვილის, საყურადღებო სტატია „თავისუფალი საქართველო" (1918 წ. №398, გვ. 3), რომელშიც წარმოჩენილია ამაღლებული პათოსი, რომელიც თავისუფალი სამშობლოს მიმართაა გამოთქმული. დიდი ტანჯვა გადაიტანა ქართველმა ხალხმა, სანამ ის დაკარგულ სახელმწიფოებრიობას დაიბრუნებდა, მაგრამ დღეს სამართლიანობა აღდგა და ერის აღმშენებლობას მტკიცე ნიადაგი აქვს – ასეთია კრიტიკოსის მოსაზრება. „117 წელი მონობის უღელი გვედგა კისერზე. 117 წელიწადი ქართველი ხალხი ხელ-ფეხ შებორკილი ეგდო რუსეთის მოხელეების და ჟანდარმების ფერხთა წინაშე. 117 წელიწადი შებორკილი იყო ჩვენი სხეული, ჩვენი სული, ჩვენი ნებისყოფა. 117 წელიწადი მათრახებით, ციხეებით და სახრჩობელით უმასპინძლდებოდნენ თავისუფლებისათვის მებრძოლთ. მთელი ამ ხნის განმავლობაში დახშული გვქონდა ასპარეზი თავისუფალი კულტურული განვითარებისა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველი თავის სამშობლოში, თავის მიწა-წყალზე პირუტყვად იყო მიჩნეული, რომელიც თითქოს იმიტომ იყო გაჩენილი, რომ თავისი ძვლებითა, სისხლითა და ცრემლით, სხვების კეთილდღეობისათვის გაეპოხიერებინა ნიადაგი.

მაგრამ განვლო ამ შავ-ბნელმა დრომ! სამარცხვინო მონობისა და პირუტყვული არსებობის ხანაც შთაინთქა რუსეთის ნანგრევებში. ისტორიულმა ნემეზიდამ პასუხი მოსთხოვა იმათ, ვინც ჩვენს სისხლს სწოვდა 117 წლის განმავლობაში, ვინც ჩვენს უბედურებასა და მწუხარებაზე თავის ბედნიერებას და სიხარულს აშენებდა.

დღეს საქართველო თავისუფალია. ნახევარმა წელიწადმა უსარგებლოდ და უნაყოფოდ არ ჩაიარა, განვლილმა ნახევარმა წელიწადმა ქართველ ხალხს შეაყვარა

თავისუფლება, შეაყვარა დამოუკიდებლობა: ამის შემდეგ იგი უფრო მტკიცე ნაბიჯით ივლის, მეტს მხნეობას გამოიჩენს და ამაყად ქედმოღერებული გასწევს საერთო საკაცობრიო იდეალებისაკენ, სხვებთან ერთად და სხვებთან თანასწორად".

ამ პუბლიკაციებიდან ნათლად ჩანს კ. გამსახურდიას, ივ. გომართელისა და არჩილ ჯაჯანაშვილის ეროვნული პოზიცია.

უფრო მოკრძალებულია „აკადემიური ასოციაციის" პოეტთა წვლილი. ჩვენი სასიქადულო პოეტი იოსებ გრიშაშვილი ლექსში „საქართველოს ზადიკი" (გაზ. „სახალხო საქმე" 1918 წ. №242, გვ. 2) სიმბოლურად გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ბოლშევიკური რუსეთისადმი:

„მე დღევანდლამდე – ყველამ იცოდა–
მეჯავრებოდა წითელი ფერი;
ბევრჯერ მუზამაც ხომ შემიცოდა:
არ მომცა ლექსი გადასაწერი".

არაერთი უბნეობა ჩაიდინა რუსეთის თვითმპყრობელობამ ჩვენი ქვეყნის მიმართ, მრავალ უსამართლობას გვახვევდნენ თავს, რაც პოეტმა განაზოგადა და ასეთი სახით ჩამოქნა:

„და წამოესხა გლოვის პორფირი,
მძულდა ჩრდილეთი, ფლიდი, ორპირი,
მძულდა თვით ქართლის პატრონნება".

დამოუკიდებელი საქართველო დიდი იმედით ავსებს ი. გრიშაშვილს, პოეზია და სამშობლო ერთ მთლიანობაშია გააზრებული:

„და მეც დამკოცნის ხხვა ანგელოსი
და მეც დღეიდან დამეუფლება:
თავისუფლება საქართველოსი
და ჩემი ლექსის თავისუფლება!"

პოეტ ი. მჭედლიშვილის ლექსი „მეცხრამეტე გაზაფხულზე" (გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ. №459, გვ. 3), მართალია, მხატვრულად სუსტია, მაგრამ მასში ჩანს პატრიოტული სულისკვეთება, თავდადება სამშობლოსადმი, რომელსაც დამონებითა და განადგურებით ჩრდილოეთიდან ბოლშევიკური რუსეთი ემუქრება:

„კიდევ წამოყო ჯოჯოხეთმა ამაყად თავი,
ჩვენ თავზე ლამედ ჩამოჰკიდა ბორკილი მონის,
ალახვნა ბაგე ბოროტების ფიქრთა მდარავი
და პყვეის: „მხსვერპლო! ქართველების! კავკასიონის!"

პოეტში არ ქრება იმედი იმისა, რომ ქართველები შეძლებენ, ამ ბოროტებას დაუპირისპირდნენ, მტერი მოიგერიონ, როგორც ეს წინათ მრავალჯერ მომხდარა...

ასეთივე განწყობილებაა გადმოცემული ი. მჭედლიშვილის ლექსში „სიმღერა" (გაზ. „სახალხო საქმე", 1919 წ. №472, გვ. 2), რომელშიაც გამოხატულია სამშობლოსადმი თავდადება და მზადყოფნა, რომ სიცოცხლე შესწიროს მის თავისუფლებას...

პოეტი ილო მოსაშვილი ლექსში „იმედიანი ცრემლი" (ჟურ. „თეატრი და ცხოვრება", 1919. წ. №2, გვ. 7) სამშობლოს ბედისა და მისიის თავგანწირულ პიროვნებას, რომელიც, ჩვენი აზრით, ილიას უნდა გულისხმობდეს, ერთიან რაკურსში ჭვრეტს, ილიას უკვდავება ერის უკვდავებასთან ასოცირდება:

„ის აღარ არის, ის აღარა გვყავს –
ვინც ქვეყნად იყო ღმერთთა სიმბოლოდ,
ის აღარა გვყავს და იმის საფლავს –
დამჭკნარი ვარდი ამშვენებს მხოლოდ.
და აღარა გვყავს... მოჰკლეს წყვდიადზე
ერი ტანჯული კვლავ ცრემლად დნება
მაგრამ მოვა დრო და განთიადზე –
ის სამშობლოსთან მკვდრეთით აღსდგება".

დამოუკიდებელი საქართველოსადმი აღფრთოვანებას გამოთქვამს ვარლამ რუხაძე ლექსში „სიმღერა" (ჟურნალი „ცისარტყელა", 1919 წ. №1, გვ. 20). ერმა მონობის უღელი მოიცილა, ქვეყანას თავისუფლება დაეუფლა, წარსული სატანჯველი აღარ აწუხებს ერს:

„უკვე დაემხო ქვეყანა ძველი,
ბევრი კრუპები ძირს ჩამოსცვივდა,
და იქ, სადაც შხამს ანთხევდა გველი,
სიმართლის დროშა ამაღლდა წმინდა!"...

თავისუფლებამ მოიცვა ყველა, საჭიროა იმედიანად ვუცქიროთ მომავალს. ასეთია პოეტის ოპტიმისტური განწყობილება.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს მიუძღვნა ვარლამ რუხაძემ თავის ლექსი „საქართველოს დამოუკიდებლობის დღე". (ჟურ. „ცისარტყელა", 1920 წ. №4, გვ 9).

დუტუ მეგრელის ლექსი „უკანასკნელი ნატვრა", გამოხატავს იმ მძიმე პერიოდის გახსენებას, როდესაც ქვეყანას დაკარგული ჰქონდა თავისუფლება და მონობის უღელი ედგა:

„როს საქართველოს საშინელი დაუდგა დარი, –
თავისუფლების ცხოველ სხივით ველარ ტკბებოდა,
ღონემიხდილი, არც ცოცხალი და აღარც მკვდარი,
მძიმე უღელქვეშ ქედმოხრილი, იტანჯებოდა".

პოეტი სამშობლოს მომავალს იმედიანად უყურებს და თავის თავს მის მოჭირნახულედ თვლის. მას ენატრება თავისუფალი ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება, რომ გარეშე მტრებმა არ ხელყონ მისი წინსვლა:

„რომ არ ენახოს საქართველოს კვლავ ძაძი წყენის,
მის ცაზე მარად ბრწყინავს მზე უხვ–სხივოსანი,
აღარ მოაკლდეს შოთასებრი, გალობა ლხენის,
უკანასკნელი მე ვიყო მის სვედის მგოსანი!"...
(ჟურნ. „ცისარტყელა", 1919 წ. №1, გვ. 11–12)

პოეტი შიო მღვიმელი ლექსში „ძახილი" გამოხატავს ქართველი ერის ნება–სურვილს თავისუფლებისადმი ლტოლვისა, რომელსაც ძლიერი წინააღმდეგობების გადალახვა უხდება, რათა შეძლოს სანუკვარი მიზნის მიღწევა.

„ამაზე მეტი არ შეიძლება
აღარც მოთმენა, არც დაყოვნება:
როდემდის უნდა დარჩეს აბუჩად
ჩვენი სურვილი და ჩვენი ნება"...

სამშობლოს განსაცდელი ჩრდილოეთიდან ემუქრება, რაც ნათლად აქვს გააზრებული ი. გრიშაშვილს ლექსში „ველაბარი" (ჟურ. „ცისარტყელა", 1920 წ. №4, გვ. 6). პოეტი აცოცხლებს წარსულის სურათებს, იმ შავბნელ პერიოდს, რომელიც ქვეყანამ დაძლია, მაგრამ ახლა ყველაზე მძიმე განსაცდელის წინაშე დგას, რადგან მის თავისუფლებას საფრთხე ემუქრება. ამის მიზეზად პოეტი თვლის იმ ბეც პოლიტიკას, რომლის შედეგსაც ამჟამად იმკის.

„დღეს კი ქართველი გულში მუდამ წყევლას აჩაღებს,
და წყევლა იმას, ვინც ჩრდილეთის ველურ ყაჩაღებს
გაუღო კარი თერგდაღლეულ დარიალისა".

ასეთია ლიტ. დაჯგუფების, „აკადემიური ასოციაციის", პოეტთა მოკრძალებული წვლილი, რომელიც მათ შეიტანეს დამოუკიდებელი საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში და ხელი შეუწყვეს ეროვნული ცნობიერების ამაღლების კეთილშობილურ საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ალექსი ჭინჭარაული

# ვეფხისტყაოსნის ლექსიკიდან

I. ასმათისაგან ტარიელისთვის გამოგზავნილ წერილში ეწერა: „გიხმობს შენი მზე შენ, მისთვის მოსურვებულსა, მოდი, სჯობს მანდა ტირილსა, საქმესა **ბედით ვებულსა**" (409, 4/406,4)

ხაზგასმული ბოლო ორი სიტყვა მხოლოდ ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემაში დაიბეჭდა კომპოზიტად (**ბედით-ვებულსა**), ყველა სხვა გამოცემაში, მათ შორის ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის 1988 წლის გამოცემაშიაც, დაიბეჭდა **ბედით ვებულსა**. მარტო მ. წერეთელს გაუხდია საეჭვოდ ეს წაკითხვა: გაუკეთებია კონიექტურა **ბედითს**), ხოლო „ვებულსა"-ს ნაცვლად დაუბეჭდავს ოთხ ხელნაწერში არსებული **ვნებულსა**. აქ მიგნებულია, რომ საქმე გვაქვს არა სიტყვა **ბედ**-თან, არამედ სპარსულლი წარმომავლობის სიტყვა **ბედით-თან**, რაც ცუდს, ამაოს, უაზროს... ნიშნავს, მაგრამ ტექსტი ვერც ამან გაასწორა თუნდაც იმიტომ, რომ მას გვერდზე ამოუდგა ვითომ მისი სინონიმი „ვნებულსა".

საქმე ის გახლავთ, რომ შესიტყვება „საქმე ბედით-ვებული" სიტყვა **ტირილ-ს** განსაზღვრავს. ასმათი ტარიელს ეუბნება: მანდ ტირილს, ამაო, უსარგებლო ვაი-ვიშს სჯობია აქ მოხვიდეო. სხვათა შორის, ნესტანმა ასეთი საყვედური უფრო ადრე წერილით შეუთვალა ტარიელს. „**ბედითი ბნედა**, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია!" (380, 1/377,1). თუ დავაკვირდებით, ასმათის ნათქვამი არსებითად ნესტანის ნათქვამის პერიფრაზია. აქვე უნდა გავიხსენოთ მიჯნურობის რუსთველისეული „კოდექსის" ერთ-ერთი მუხლი: [მიჯნური] „ხამს თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს, არ **ბედითად** „ჰაი-ჰაი"-ს ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს" (29, 2/28,2).

ამრიგად, **ბედით-ვებული** კომპოზიტია და მისი მნიშვნელობა სტროფის შინაარსს შეესაბამება.

II. ქაჯეთის მოქალაქეთა ბანდიტური ჯგუფის ერთ-ერთი წევრი თავის თავგადასავალს უამბობს ახალგაცნობილ მეგობრებს და, სხვათაშორის, ამბობს: „დღისით, მზისით ვმეკობრობდით, ღამეთაცა ვიყვნით თევით" (1224,3). ვეფხისტყაოსნის ყველა ძველ თუ ახალ გამოცემაში ეს ორი ხაზგასმული სიტყვა იბეჭდება ცალ-ცალკე („დღისით,მზისით").

უძველეს ქართულ ძეგლებში არის ზმნიზედა „**დღის**"-ი დღისით, დღეს: „ოყოვოდა თავადი ტაძარსა მას შინა **დღისი** და ასწავებდა" (ლ. 24,37); „არა მოაკლდა მათ სუეტი იგი ღრუბლისა **დღისი**" (0, გამოსლ. 13,32). გვხვდება აგრეთვე ზმნიზედები **დღივ** და **დღითი, დღისით** კი მხოლოდ ნ. ჩუბინაშვილთან ჩნდება და ისიც ვეფხისტყაოსნის ზემომოყვანილი კონტექსტის დამოწმებით: „**დღისით, მზისით** დღის სინათლეში (ვეფხისტ. 1214), **днем, среди белого дня**" – წერს იგი. დ. ჩუბინაშვილი კი წერს: „**დღე- დღისით, მზისით среди белого дня**". აქ იგი პირდაპირ იმეორებს ნ. ჩუბინაშვილს, თორემ მისთვის **დღისით-მზისით** რომ კომპოზიტია, ჩანს სხვა სტატიიდან: „**დღივ, დღისით днем, დღისით- მზისით днем, за светло**". იგი ვეფხისტყაოსანს არ იმოწმებს, თუმცა ეს ლექსიკოგრაფები ვეფხისტყაოსნისეული შესიტყვების გადატანით მნიშვნელობას, როგორც ჩანს, გრძნობენ და დ. ჩუბინაშვილის ამ შესიტყვებას შებრუნებითაც ბეჭდავს: „**მზისით, დღისით среди белого дня**"... თუმცა დამოუკიდებლად **მზისით** ფორმა არც მაშინ არსებობდა და არც დღეს არსებობს. ქართულმა ენობრივმა ცნობიერებამ ახალი შინაარსის გადმოსაცემად შექმნა კომპოზიტი, **დღისით-ს** შეუწყვილა და შეურითმა **მზისით**. კომპოზიტ **დღისით-მზისით**-ს დიდი შოთა ხმარობს იმ გადატანითი მნიშვნელობით, რომელიც მას დღემდე შემორჩა: „**დღისით-მზისით** დღისით, დღის სინათლეზე, როცა გათენებულია. //გადატ. **აშკარადცხადად, თვალნათლივ, ყველას დასანახად** (ხაზი ჩვენია.ა.ჭ.). // ფიგურ. ცოცხლივ. დღისით-მზისით ჭამდენ იმას (=ხალხს) გაუმაძღარი სვავები (ს. მგალობ.)" (ქეგლ).

ამ სადავო სტრიქონის მეორე მუხლის პწკარედული თარგმანიც არ არის ზუსტი: **днем при солнечном свете мы разбойничали, по ночам бодрствовали** (ს. იორდანიშვილი). იგივეა ნათქვამი ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის ოქმში: „დღისით,მზისით ვმეკობრობდით (ვყაჩაღობდით), ღამეებსაც ვათევდით" („მაცნე", 1984 წ. №2, გვ. 193). მეორე მუხლი პირველი მუხლის აზრს ავითარებს და აქ უბრალოდ ღამეების თევაზე კი არ არის საუბარი, არამედ იმავე მეკობრობის ღამე გაგრძელებაზე. მეორე მუხლის ზუსტი თარგმანი დასტურდება ნ. ნათაძის სასკოლო გამოცემაში: „**ღამეთაცა ვიყვნით თევით** – ღამეებსაც ვტეხდით ხოლმე (ყაჩაღობაში)". „ვეფხისტყაოსანი", 1992, ძვ. 403).

ამავე სტროფში ეჭვს აღძრავს მეორე სტრიქონის მეორე მუხლი: „წაგვეყვანა მონა ასი, ყველაკაი **მისგან რჩევით**". რაკი რომაქ მეკობრეთა მეთაურია, ბუნებრივია, რომ თანამებრძოლებსაც თვითონ აარჩევდა და, ამდენად, ამის აღნიშვნა ზედმეტი ჩანს. ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ შვიდ ხელნაწერში, რომელთა შორის არის უძველესი თარიღიანი (1626 წლის) ხელნაწერიც, იკითხება: ყველაკაი **შიგან რჩევით**. მთის დიალექტებში **შიგნარჩევი, შიგით ნარჩევი, შიგით გამორჩეული** მრავალთაგან საუკეთესოს, რაიმე ნიშნით (სიმამაცე, სილამაზე...) გამორჩეულს ნიშნავს. ორიოდე მაგალითი ხევსურული და ფშაური პოეზიიდან: „ტირილმა გამამართვა გონიო, ხოცამა ქშრეულებისამაო, **შიგნარჩევების** მიდენამაო" (ვაჟ. III, 51, 9); „ფშაველთ ქალ **გამამირჩიეს** საფშაველოშიით **შიგითა**: „ნუ დაჰშლი ბაის ციხესა, ნუ ამოგვაგებ ჭირითა!" (ხევს. პოეზ. 122,4). სხვათაშორის, ამასვე ნიშნავს **ჰელით რჩევა**: „სევდამც მაგხვდების, ზურაბო, დაგლევდამც სისხლის წყალია! თრუსოს აწიენ ჰევსურნი, ჰელით არჩიენ ყმანია" (ხევს. პოეზ. 19 à, 2), „ღულისთავ ჰელით არჩევენ ვისაც ფურჩია სქვიანო" (ხევს. პოეზ. 4,1).

ეჭვის სხვა მიზეზიც არსებობს: თუ ავტოგრაფში იყო სრულიად გასაგები „**მისგან რჩევით**", გადამწერს რატომ უნდა შეეცვალა იგი „შიგან რჩევით"-ით? ალბათ ღირს ამ ფაქტებზე დაფიქრება.

## ფრთხილად, „დედაენაა"!

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სწავლების I საფეხური ცოდნის დიდი შენობის საფუძველთა საფუძველია. მასზეა დამოკიდებული განათლების შემდგომ ეტაპებზე წარმატება-წარუმატებლობა და სწორედ ამიტომ ძლიერ დიდი სიფრთხილე, პასუხისმგებლობა, ცოდნა და გულმოდგინება გვმართებს I წიგნის შედგენისას, რომლითაც ბავშვებს ვასწავლით წერა-კითხვას – განათლების ვრცელ გზაზე ამ ყველაზე უსაჭიროესსა და ურთულეს საქმეს. ოდითგანვე ამ წიგნის შექმნას კისრულობდნენ მხოლოდ ტიტანები, ისეთები, როგორებიც იყვნენ მსოფლიო პედაგოგიკის მამა იან ამოს კომენსკი, რუსული პედაგოგიკის კორიფე კონსტანტინე უშინსკი, ქართული პედაგოგიკის მესაძირკვლე იაკობ გოგებაშვილი და სხვა მისთანანი.

## „დედაენისადმი" მეტი სიფრთხილე და მოკრძალება გვმართებს!

საერთოდ, სწავლების, კერძოდ – დაწყებითი სწავლების ამ გენიალურ მკვლევართა ძიება წლობით გრძელდებოდა – დიდი იაკობის „დედაენა" თერთმეტი წლის დაუცხრომელი შრომის შედეგია. მან თავის საანბანო სახელმძღვანელოებში მოსინჯა ქართული წერა-კითხვის სწავლებისათვის სავარაუდებელი ყოველი მეთოდი: ჯერ ანალიზური (1865–1867 წლებში), შემდეგ სინთეზური (1968 წლიდან), თუმცა წინამორბედ საანბანო წიგნებთან შედარებით ეს სახელმძღვანელოები მრავალი თვალშისაცემი ღირსებით ხასიათდებოდა, მაგრამ ისინი – გენიალური შემოქმედის აზრით – მაინც არ იყო უნაკლო. ამიტომ ის კვლავ თვალმოუხუჭავად განაგრძობდა ძიებას, რის შედეგადაც 1876 წელს იშვა მისი უნიკალური „დედაენა", რომელიც შედგენილია ბგერით ანალიზურ-სინთეზური მეთოდით.

საქართველოს გასაბჭოების პირველ წლებშივე (1925 წლიდან) შეცვალეს ქართველთა უსაყვარლესი წიგნი „დედაენა" იმ ეპოქისათვის უფრო პრესტიჟული, მაგრამ ქართული წერა-კითხვის სწავლებისათვის სრულიად გამოუსადეგარი მთლიან სიტყვათა მეთოდით (მას ამერიკულ მეთოდსაც ეძახიან) შედგენილი საანბანო სახელმძღვანელოებით. 1925–1933 წლებში ამ მეთოდით რამდენიმე ავტორმა გამოსცა სახელმძღვანელო, მაგრამ სკოლებში ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოიკიდა ფეხი. ამიტომ ოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა დაადგინა – წერა-კითხვის შესასწავლად გამოეცათ იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" პრინციპებით, მეთოდითა და ხერხებით შემუშავებული „დედაენა", რომელშიაც ახალი ცხოვრების შესაბამისად შეცვლილი იქნებოდა მხოლოდ საკითხავი მასალა. ამ საქმეს ბრწყინვალედ გაართვეს თავი ფრიად განათლებულმა ახალგაზრდა პედაგოგებმა: ნინო ბოცვაძემ და ეკატერინე ბუჯანაძემ. ათეული წლების მანძილზე ქართველი ყმაწვილები მათი „დედაენით" სწავლობდნენ წერა-კითხვას.. შემდეგ ცხოვრებამ კვლავ მოითხოვა „დედაენაში" მცირე კორექტივის შეტანა და მისი საკითხავი მასალის რამდენადმე შეცვლა. რაც ჩვეული კეთილსინდისიერებით შეასრულა პროფესორმა ვალერიან რამიშვილმა, რომლის დამსახურება, საერთოდ, დაწყებით საფეხურზე მშობლიური ენის სწავლების მეცნიერულად დამუშავების საქმეში უდიდესია.

ახალმა ქართულმა ყოფამ ამჟამადაც მკვეთრად მოითხოვა სასკოლო სახელმძღვანელოების განახლება ან ახლის შექმნა. განახლების ამ ქარიშხალმა განსაკუთრებით სახიფათოდ შეუტია პირველ კლასსა და მის უპირველეს წიგნს– „დედაენას". რიგითი მასწავლებლებიდან დაწყებული ცნობილი სწავლულებით დამთავრებული – ყველა ცდილობდა, თავისი ცოდნა და გარჯა პატარების სამსახურში ჩაეყენებინა. მასწავლებელთა უმრავლესობამ კონსპირაცია ამჯობინა და თავიანთი წიგნები არ გაახმაურა, ზოგმა (მაგ.: ზურაბ ვახანიამ, ვახტანგ აბაიშვილმა) ცდუნებას ვერ გაუძლო და, მათი განცხადებით, სამინისტროს მიერ ნებადართული თავიანთი „დედაენები" კიდეც დაბეჭდა და სწავლებაშიაც გამოიყენა (საბრალო პატარები!..). რაც შეეხება ავტორთა ჯგუფის მიერ გამოცემულ მეტად გახმაურებულ და რეკლამირებულ „დედაენას" (ავტორები: ფსიქოლოგი მარიამ მირიანაშვილი, პოეტი დავით წერედიანი, მხატვარი ელგუჯა ბერძენიშვილი, ლიტერატორი ლალი ვაშაკიძე. ჯგუფის ხელმძღვანელი– ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ როდონაია), ის სერიოზული ნაშრომია, მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული და ძვირადღირებული; მისთვის სკოლებისაკენ სამინისტროსაც გზა დაულოცავს. თუმცა, თუ ავ ენებს დავუჯერებთ, რაიონებში ჩატანილი ამ სახელმძღვანელოებით სწავლება მასწავლებელთა დიდი მოწადინებითა და სურვილით არ უნდა ხდებოდეს!..

სამწუხაროა, რომ ამ და სხვა „დედაენებისთვის" ავტორებმა სათაური ვერ ან არ მოიფიქრეს. ეს ფორმითა და შინაარსით ულამაზესი სათაური ხომ იაკობისეულია და ყოველი ე.წ. „დედაენა" იაკობის უკვდავ „დედაენასთან" ასოცირდება, „დედაენასთან", რომელიც დღემდე პოეტთა შთაგონების წყაროდ და ხალხის უსაყვარლეს და უწმინდეს სიტყვად ითვლება. „დედაენას" ხომ ქართველმა ერმა ძეგლი აუგო!

1998 წლის 7 ნოემბერს საქართველოს პედმეცნიერების აკადემიის, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური მეცნიერების ეროვნული ინსტიტუტისა და ი. გოგებაშვილის მეცნიერებათა საზოგადოების მიერ თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (ინიციატორი საქ. პედმეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნათელა ვასაძე).

კონფერენციამ იმსჯელა საქართველოში ასე სახიფათოდ მომრავლებულ „დედაენებზე", მოუსმინეს მათ ავტორებსაც და ოპონენტებსაც. ამ შესანიშნავი ღონისძიების ბოლოს შეიმუშავეს გადაწყვეტილება, რომ განათლების სამინისტროსთან შეიქმნას „საექსპერტო კომისია", რომელიც დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით. ყოველ სასკოლო სახელმძღვანელოს მათი დასკვნითა და ხელდასხმით გაეხსნება გზა სკოლისაკენ.

საანბანო სახელმძღვანელოებზე წარმოდგენილი ამ მცირე ისტორიული ექსკურსითა და ამჟამინდელი ვითარების მოკლე მიმოხილვით ვცადე მკითხველი შემემზადებინა იმ ცნობის მოსასმენად, თუ დღეს იაკობ გოგებაშვილის პრინციპებით, მეთოდითა და ხერხებით შემუშავებულ „დედაენას" რომელი „დედაენები" უპირებენ სკოლებიდან გამოძევებას. ამჯე-

რად მოკლედ შევეხები ამ „დედაენათა" შორის ყველაზე პრესტიჟულს– ვახტანგ როდონაიას ჯგუფის მიერ შემუშავებულ „დედაენას".

თავიანთი „დედაენის" შესახებ მსჯელობისას ავტორები მიუთითებენ, რომ წიგნი შედგენილი აქვთ ი. გოგებაშვილისეული ბგერითი ანალიზურ–სინთეზური მეთოდით. ამ განაცხადმა ფრიად გამაკვირვა და დამარწმუნა, რომ მათ ქართული წერა–კითხვის სწავლებაში გამოყენებულ მეთოდებზე, კერძოდ, ბგერით ანალიზურ–სინთეზურ მეთოდზე ნათელი წარმოდგენა არა აქვთ. ცხადია, ამ წერილში არ ვაპირებ დრო დავკარგო ამ მეთოდთა არსის გარკვევაზე. ვფიქრობ, ამ წერილის წამკითხველი რამდენადმე მაინც იქნება გარკვეული მასში დასმულ სამსჯელო საკითხებზე. წიგნის ავტორებს კი მაინც შევახსენებ, რომ თავიანთ „დედაენაში" მათ გამოუყენებიათ სინთეზური მეთოდის ყველაზე ძველი და რთული სახეობის – ანბანური მეთოდის ფრაგმენტები შეწყვილებული მთლიან სიტყვათა მეთოდთან. მთლიან სიტყვათა მეთოდი, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოში ჩვენი საუკუნის ოც–ოცდაათიან წლებში მოსინჯეს, მაგრამ სკოლებში ის, რა თქმა უნდა, ვერ დამკვიდრდა, რადგან ჩვენს ღვთითკურთხეულ ენაში ზეპირი და წერითი მეტყველება იდეალურ შესატყვისობაში არიან. ეს მეთოდი კი იმ ენებისათვის იყო შემუშავებული, რომელთა წერა და მეტყველება ერთმანეთისაგან განსხვავდება. ამდენად ქართული წერა–კითხვის სწავლებაში მისი გამოყენების საჭიროება საერთოდ არ არსებობს. რაც შეეხება სინთეზური, კერძოდ, ანბანური მეთოდის გამოყენებას, ეს იმას დაემსგავსება, ადამიანს ხელთ ჰქონდეს ოქრო და მან ათეულობით წლის წინ გადაგდებული დაჟანგებული რკინის მოხმარება ისურვოს!




„ახალ დედაენაში" უგულებელყოფილია სწავლებაში უკვე სამი საუკუნის მანძილზე დაკანონებულ–დამკვიდრებული დიდაქტიკური პრინციპები, განსაკუთრებით – შეგნებულობისა და მისაწვდომობის. იქნებ ესენიც მოძველდა და ყავლი გაუვიდა?! იქნებ ექვსწლიანთა ფსიქიკა და გონებრივი შესაძლებლობა ამაღლდა იმ დონემდე, რომ სწავლებაში არანაირ დიდაქტიკურ პრინციპს აღარ საჭიროებს? ცალკეული ასო–ბგერები, ან უაზრო მარცვლები ("დინ", „მენ"...) ან პატარებისათვის გაუგებარი სურათები, რომელთა სახელწოდება თავკიდური ასოს შესასწავლად აქვთ წარმოდგენილი (მაგ., აფრა) ნამდვილად დაგვეხმარება კი კითხვის სწავლებაში? ჯერ ერთი, მეტად ძნელია, ბავშვებს თვით ამ საგნის არსი გავაგებინოთ, იმდენად უცხო და მიუწვდომელია მათთვის ეს საგანი (აფრა), გარდა ამისა ის კითხვის სწავლებასაც ვერ შეუწყობს ხელს, რადგან მასში წარმოდგენილი 3 ასო–ბგერიდან ორი (ფ, რ) მათთვის უცნობია.

„ახალი დედაენის" ავტორები თვალსაჩინოებაზე ისე მსჯელობენ, თითქოს სწავლების ეს დიდებული დიდაქტიკური პრინციპი მათ მიერ იყოს მიგნებული და ჩვენთვის შემოთავაზებული; ამ უკანასკნელი სამი საუკუნის მანძილზე მის უდიდეს ეფექტზე სწავლებასთან დაკავშირებულ ყოველ წიგნსა თუ სახელმძღვანელოშია მითითებული. ტყუილად კი არ უწოდეს მას „სწავლების ოქროს წესი" (ი.ა. კომენსკი)... ამიტომ ახალს მასზე ვერაფერს ვიტყვით. იქნებ კერძოდ მათ „დედაენაშია" პირველად წარმოდგენილი თვალსაჩინოება? იქნებ დიდ იაკობსა და საანბანო სახელმძღვანელოების შემდგომ ავტორებს ეს პრინციპი ნაკლებად ან ცუდად ჰქონდათ გამოყენებული? ვფიქრობ, ეს პირიქითაა! ექვსწლიანებისათვის თვალსაჩინოების გამოყენების სწორედ ისეთი ნიმუში შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს, რომელიც აქა–იქ „ახალ დედაენაში" გვხვდება (მხედველობაში გვაქვს მრავალი სურათის ერთ გვერდზე დახატვა, ვინაიდან ამ სიმრავლეში ბავშვი ითქვიფება და იკარგება, კერძოდ და გამორჩეულად ვერც ერთ მათგანზე აჩერებს ყურადღებას და, ამრიგად, თვალსაჩინოების გამოყენების მიზანი და სიკეთეც მიუღწეველი რჩება).

საკითხავი ტექსტები მთელი სასწავლო წლის მანძილზე, ძირითადად, ერთი თემატური ღერძითაა გაერთიანებული ("კითხვის მოტივაციის" მიზნით), რაც, ვფიქრობ, მოსწავლეთა შემეცნებითი დონისა და აღმზრდელობითი ინტერესებისათვის უფრო შემაფერხებელია, ვიდრე სასარგებლო. არა მოთხრობათა ნაწყვეტები ან ერთი ძაღლის – ბინგოს – მთელი თავგადასავალი (მართალია, საქმე ბინგოს ეხება, რომელიც, სახელის მიხედვით, უცხოელი ჩანს და ამის გამო მას ჩვენებურ პროვინციელ ყურშას ან მურიას ხომ არ გავუტოლებთ! ნიშნად დიდი პატივისცემისა, ბავშვებმა მას ბოლომდე ერთგული მეგზურობა უნდა გაუწიონ!), არამედ პირველკლასელებს წასაკითხად და შესასწავლად უნდა მივაწოდოთ ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი აღმზრდელობითი შინაარსის პატარ–პატარა ლექსები, მოთხრობები, იგავ–არაკები, ზღაპრები, რომლებშიაც მათთვის გასაგებ მრავალ საინტერესო თემაზე იქნება საუბარი და ყოველი მათგანი ეროვნული სულით იქნება გაჟღენთილი!..

ბგერითი ანალიზურ–სინთეზური მეთოდით წერა–კითხვის სწავლების ორი ხერხია ცნობილი: წერა–კითხვისა (წერის სწავლება რამდენადმე წინ უსწრებს კითხვას) და კითხვა–წერის (ჯერ აკითხებენ მოსწავლეებს და შემდეგ აწერინებენ). კ. უშინსკიმ თავის „დედაენაში" I ხერხი აირჩია, როგორც უფრო გამოსადეგი რუსული წერა–კითხვის დაუბრკოლებლად სწავლებისათვის; ი. გოგებაშვილმა კი ქართული ენის სპეციფიკისა და წერისა და კითხვის სწავლებასთან დაკავშირებულ ფსიქო–ფიზიოლოგიურ სირთულეთა გათვალისწინებით წერა–კითხვის სწავლებაში დანერგა კითხვა–წერის ხერხი, რადგან ჩვენი ხელნაწერი და ბეჭდური ასოები ძირითადად, ერთმანეთის შესატყვისნი არიან. კითხვა უფრო იოლი პროცესია, ვიდრე წერა. ამიტომ ასოს კონფიგურაციის გაცნობა, მისი ამოკითხვა ცალკე და სიტყვაში რამდენადმე წინ უნდა უსწრებდეს წერას, მაგრამ ეს წინსწრება ამჟამად განისაზღვრება ერთი გაკვეთილით, ან, უფრო ხშირად, რამდენიმე წუთით (მასწავლებელი ბავშვებს ბგერითი ანალიზურ–სინთეზური მეთოდით გააცნობს შესასწავლ ბგერას, ავარჯიშებს მის მკვეთრად წარმოთქმაში, აჩვენებს მის გრაფიკულ მოხაზულობას, ჯერ მოძრავი ასოთი, შემდეგ დაფაზე – სათანადო ახსნა–განმარტებით, შემდეგ

## ფრთხილად, „დედაენაა“!

წაუკითხავს ახლგაცნობილი ბგერა-ასოს შესასწავლად გათვალისწინებულ მასალას და მოსწავლეებსაც ავარჯიშებს მის კითხვაში. გაკვეთილის ბოლო წუთებში კი აწერინებს ახალგაცნობილ ასოს). მეორე გაკვეთილზე ტარდება ვარჯიში კითხვაში, მეტყველებისა და აზროვნების გასავითარებელი სხვა სამუშაოებიც და ბოლოს ახალშესასწავლი ასოს მონაწილეობით დაწერენ სიტყვას ან წინადადებას. მესამე გაკვეთილზედაც ყურადღების ცენტრში ახლადშესწავლილი ასოა – მოსწავლეებს კვლავ ვავარჯიშებთ კითხვაში (ამჯერად, სასურველია, მოსწავლეებს კითხვაში სავარჯიშოდ სხვა მასალა მივაწოდოთ, რადგან ორ გაკვეთილზე იმ უმარტივეს მცირე მოცულობის მასალას ბავშვები იზეპირებენ და კითხვაში ვარჯიშობისას კი არ კითხულობენ, არამედ ზეპირად ამბობენ. კითხვის შესწავლა კი მხოლოდ კითხვაში ვარჯიშით ხდება!) და ბოლოს ვაწერინებთ ახლადწაკითხული მასალიდან ამოღებულ ერთ პატარა წინადადებას. ასეთი მუშაობისას კითხვა წერის სწავლებაში გვეხმარება, წერა კი კითხვის უკეთ დაუფლებაში. მოსწავლეები ორივე სასწავლო სამუშაოს ხალისით, მონდომებით და, კარგი მასწავლებლის ხელში, ხარისხიანად ასრულებენ. აკი თვით „ახალი დედაენის“ ერთ-ერთი ავტორი, მ. მირიანაშვილიც ბრძანებს: „ამ ასაკის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თვისება არის ის, რომ ბავშვის აზროვნება „მოქმედებითია“. ამ ასაკში პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს ხელით მოქმედებასა და ინტელექტის განვითარებას შორის“.

„ახალი დედაენის“ ავტორებმა კი კითხვისა და წერის სწავლება ერთმანეთს მთელი სემესტრით დააშორეს, აქაო და პატარების ფსიქოლოგიური თავისებურებები ამას მოითხოვსო!

კითხვისა და წერის ცალ-ცალკე სწავლების რეციდივები საქართველოში ამ თხუთმეტიოდე წლის წინ გამოჩნდა (ამ ფაქტსა და თარიღს, როგორც მეტად „შთამბეჭდავ ჭეშმარიტებას“, ჩვენი ავტორები ხაზგასმით გვაუწყებენ!). მაგრამ ეს ფსიქოლოგიური თავისებურება მხოლოდ ახლა, ამ 15 წლის წინ აღმოაჩინეს მოსწავლეებში? ეს ვერ შენიშნეს ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ისეთმა კორიფემ, როგორიც იყო აკად. დიმიტრი უზნაძე, ან კიდევ ისეთმა დიდმა ავტორიტეტებმა, როგორებიც არიან პროფესორები: შ. ნადირაშვილი, შ. ჩხარტიშვილი, ა. მოსიავა და სხვანი? შ. მირიანაშვილისადმი უდიდესი მოკრძალებისა და პატივისცემის მიუხედავად, მე მათი უფრო მეტად მჯერა, რადგან ამის საბაბი თვით მან მომცა– ის ხომ ექვსწლიანთა ისეთ პირველ კლასში შედიოდა და **მთელი წლის მანძილზე ესწრებოდა– თურმე გაკვეთილებს, რომელშიაც 47–48 მოსწავლე იყო** (ეს მისი სიტყვებია!) და მან, როგორც ფსიქოლოგმა, ამ დანაშაულებრივ რეალობაზე განგაში არ ატეხა... პირიქით, ის თვითკმაყოფილებითა და სიამაყით გვარწმუნებს, რომ ასეთ ვითარებაში (როდესაც ცალკეულ მოსწავლეს 30-იოდე წამსაც ვერ უწილადებდა), მასწავლებელმა ფრიად სასურველ შედეგს მიაღწია (!).

ამ სტატიის ავტორი კათედრის სხვა წევრებთან ერთად რამდენიმე ხნის წინ დირექტორის მიწვევით გახლდათ ერთ-ერთ იმ სკოლაში, სადაც პირველკლასელებს I სემესტრში მხოლოდ კითხვა ესწავლათ და ახლა (მარტის თვე იყო) წერასაც სწავლობდნენ. ვეცდები, მეტად რბილად გაგაცნოთ ჩემი შთაბეჭდილება: კლასის 10–12 მოსწავლიდან ვერც ერთი ვერ კითხულობდა დამაკმაყოფილებლად, წერაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია – თვენახევარში ბავშვებისათვის ათიოდე ბგერა-ასო ესწავლებინათ, მაგრამ ყველას ვერც ერთი ბავშვი ვერ ცნობდა!. ძლიერ მეეჭვება – რომელიმე სხვა სკოლაში, თუნდაც იმავე სკოლა-პანსიონ „მერმისში“ ამ ხერხის გამოყენებით ვინმემ სასურველ შედეგს მიაღწიოს!

ერთგან „ახალი დედაენის“ ერთ-ერთი ავტორი თითქოს ქადილით აღნიშნავდა – პირველკლასელთა ყოველ გაკვეთილს ფსიქოლოგი ესწრებოდაო! რატომ, რა მიზეზით არ ენდო ის საგნის მასწავლებელს? ამა თუ იმ საგნის სწავლების მეთოდიკა ხომ თანაბრად მოითხოვს მისგან არა მხოლოდ საგნის (ქართული ენის, მათემატიკის...), არამედ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ფიზიოლოგიისა და სასკოლო ჰიგიენის ცოდნასაც. დაინტერესებულ პირებს უნდა შევახსენოთ, რომ უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ფსიქოლოგიას (კერძოდ, ბავშვთა ფსიქოლოგიას), ფიზიოლოგიას, პედაგოგიკას საკმაო რაოდენობით საათები აქვს დათმობილი, რათა მომავალი მასწავლებლები სწავლებისათვის საჭირო ამ აუცილებელი საფუძვლების ცოდნის უკმარისობას არ განიცდიდნენ. რაც შეეხება მეთოდისტებს, არა მგონია, პროფესიული პასუხისმგებლობის მქონე პატიოსანი მეთოდისტი მეცნიერების ამ დარგებს საჭირო ფარგლებში არ ფლობდეს! უფრო მეტად მოსალოდნელია შემდეგი – თუნდაც ბრწყინვალე ლიტერატორი ნაკლებად ერკვეოდეს სწავლების პირველი საფეხურის მრავალფეროვან პრობლემებში ან ფსიქოლოგს ზერელე წარმოდგენა ჰქონდეს პედაგოგიკის ისეთ უსაჭიროეს თემაზე, როგორიცაა სწავლების დიდაქტიკური პრინციპები (მისი ცოდნის გარეშე ხომ სრულფასოვანი სწავლება ვერანაირად ვერ შედგება!).

ამას წინათ გაზეთმა „ახალმა განათლებამ“ გამოაქვეყნა საკმაოდ ვრცელი სტატია სათაურით „საზოგადოებას ხომ მასწავლებელი აშენებს (ღია გაკვეთილები ლანჩხუთში)“ (ავტორი ა. ფირცხალაიშვილი). ამ წერილის მთავარი მიზანი მოსმენილი (თუ ნახული) ღია გაკვეთილების შედეგად განცდილი აღფრთოვანების გადმოცემა იყო.

დღევანდელი ღია გაკვეთილები რომ აღარაა „სასწავლო მუშაობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმა“, ეს ამ საქმით დაინტერესებულმა ყოველმა ადამიანმა იცის, რადგან ახლანდელ ღია გაკვეთილთა უმრავლესობა წარმოადგენს მასწავლებელთა მიერ შექმნილი და მოსწავლეთაგან გაზეპირებული მონტაჟის დემონსტრირებას. ყოველმა მოსწავლემ იცის თავისი როლი (თავისი სათქმელი), იცის, რომელ ინსცენირებაშია დასაქმებული, რომელი ლექსი სადამდე უნდა თქვას, რა წაიკითხოს, ვის რა შეკითხვა დაუსვას, ესა თუ ის სურათი ვინ და როგორ აღწეროს და სხვა მრავალი. ასეთი დადგმული სპექტაკლით და სანახაობით თავბრუდახვეული მნახველი ვერც მასწავლებლის შეაფასებს ობიექტურად, ვერც გაკვეთილის ავკარგიანობაზე შეიქმნის რეალურ წარმოდგენას. მას გაუცნობიერებელი დარჩება მოსწავლეთა კითხვისა თუ წერის ტექნიკა, აზროვნებისა თუ მეტყველების დონე, პროგრამის ფარგლებში დასმულ კითხვაზე პასუხის სწორად მოფიქრებისა თუ მსჯელობის უნარი და მრავალი სხვა; მაგრამ თუ მხოლოდ საყვარლად აჟღურტულებული პატარების „მსახიობურ“ შესაძლებლობებს შევაფასებთ, შეიძლება ზოგმა სხვა მაყურებელმაც ის დასკვნა გამოიტანოს, რაც ამ „გაკვეთილის“ ნახვის შემდეგ ერთ-ერთმა პასუხისმგებელმა მუშაკმა გააკეთა, როდესაც შეეხო ამ კლასში სახელმძღვანელოდ გამოყენებული „ახალი დედაენის“ შედეგს: „განათლების სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვან საქმედ ბოლო ორ წელიწადში ეს წიგნი მიმაჩნია“(!)

ახლა მსურს, დაწყებითი კლასების მასწავლებლებს მო-

გახსენო ჩემი აზრი იმაზე, საჭიროდ ვთვლი თუ არა ამჟამად მასობრივ სკოლებში მოქმედი „დედაენის" შეცვლას?

რა თქმა უნდა, ის ამჯერადაც უნდა შეიცვალოს, როგორც ადრე მრავალჯერ შეცვლილა, მაგრამ ცვლილება უნდა შეეხოს არა სახელმძღვანელოში რეალიზებულ სწავლების პრინციპებს, მეთოდსა და ხერხებს, რადგან ჯერჯერობით უკეთესი არაფის შეუმუშავებია, არამედ მხოლოდ საკითხავ მასალას. ეს მასალა უნდა გამრავლდეს და გამრავალფეროვნდეს როგორც საანბანო, ისე ანბანის შემდგომი პერიოდისათვის. ყოველი საანბანო მესამე გაკვეთილისათვის მე-11 ბგერა-ასოდან ბოლომდე ახალი საკითხავი მასალა უნდა გამოვიყენოთ, რათა ბავშვმა ის უცხველად წაიკითხოს (და არა წინა ორ გაკვეთილზე ათვისებული მასალა ზეპირად თქვას). საანბანო პერიოდის დამთავრების შემდეგ კი ყოველ გაკვეთილზე (და არა ყოველ დღე) პატარ-პატარა (ერთ-ორ სტროფიანი) ლექსების, მოთხრობების, იგავ-არაკების, ზღაპრების, ანდაზა-აფორიზმებისა და გამოცანების კითხვაში უნდა ვავარჯიშოთ ბავშვები. ასეთ შემთხვევაში ისინი კითხვასაც გამართულად ისწავლიან (ყოველგვარი ბორძიკისა და ჩათვლის გარეშე) და გარკვეულ ფარგლებში ინტელექტსაც აიმაღლებენ. I კლასში ყოველი გაკვეთილი სასწავლო წლის დასაწყისიდან ბოლომდე წერით უნდა დამთავრდეს (წინასაანბანო პერიოდში, ერთი თვის მანძილზე, მოსწავლეებს ამ თვალსაზრისით შერჩეულ სავარჯიშოებს ვაწერინებთ, 1 ოქტომბრიდან – ე.ი. საანბანო პერიოდიდან – კი მათ ყოველ გაკვეთილზე დავაწერინებთ ან ასოს, ან სიტყვას (იშვიათად), ან შესასწავლი მასალიდან ამოღებულ სამ-ოთხ სიტყვიან წინადადებას ერთი ან (სასწავლო წლის ბოლო თვეებში) ორი სტრიქონის მოცულობით.

ხშირად მიხდება გაკვეთილებზე დასწრება, მასწავლებელთა მუშაობაზე დაკვირვება. შედეგის შეფასება და კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო, ასეთი მუშაობით დამაკმაყოფილებელი დონის მასწავლებლებიც კი სასურველ შედეგს აღწევენ!

ამრიგად, ვფიქრობ, ამჟამინდელი (ი. გოგებაშვილის „დედაენის" საფუძველზე პროფ. ვ. რამიშვილის ავტორობით გამოცემული) „დედაენა" უეჭველად უნდა შეიცვალოს, ძირითადად, საკითხავი მასალის რაოდენობისა და ხარისხის ასამაღლებლად. თვალსაჩინოებასა და წიგნის პოლიგრაფიულ დონეზე აღარაფერს ვამბობ – ეს თავისთავად იგულისხმება.

**რუსუდან ლიპარტელიანი**

*საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების ცენტრალური ინსტიტუტის დაწყებითი სწავლების კათედრის დოცენტი*

# გააჩნია თუ არ გააჩნია

ქართულში არსებობს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა, რომლებიც, ჩვეულებრივ, უქონლობის გამოსახატავად უფრო იხმარება, ვიდრე მქონებლობისა. ეს ზმნებია: **გააჩნია, მოეპოვება, მოეძებება, აბადია**. უარყოფით ნაწილაკთაგან ისინი მხოლოდ არ ნაწილაკს იგუებენ: **არ გააჩნია, არ მოეპოვება, არ მოეძებება, არ აბადია**.

ამ ზმნებით გამოხატული მქონებლობა იმდენად მცირეა, კნინია, რომ თითქმის უქონლობას უტოლდება. ამიტომ ეს ზმნები დადებითი შინაარსით, უარყოფითი ნაწილაკის გარეშე, იშვიათად იხმარება და, თუ იხმარება, ისიც მხოლოდ კითხვით **რა** ან განუსაზღვრელ **რამე** ნაცვალსახელთან (რომელიც კითხვის, ეჭვის ქვეშ აყენებს რისამე ქონებას) ანდა სიცოტავის აღმნიშვნელ სიტყვებთან ერთად (შდრ.: იმას **რა გააჩნია, რა მოეძებება**... თუ **რამე აბადია**, თუ **რამე მოეპოვება**... **ცოტა რამ მოეძებება**...).

მაგრამ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ყოველთვის არ არის გათვალისწინებული ამ ზმნების სტილისტიკური თავისებურება. განსაკუთრებით ხშირია დარღვევები **გააჩნია** ზმნის ხმარებისას, აქ ორი მომენტი იქცევს ყურადღებას:

1. **გააჩნია** ზმნას ხმარობენ დადებითი შინაარსით. ასეთ შემთხვევაში მისი მნიშვნელობა უტოლდება **აქვს, ჰყავს** ზმნათა სემანტიკას: „ქართველ ხალხს **გააჩნია** (უნდა იყოს: აქვს) უდიდესი ნიჭი- მისცეს ქვას სიცოცხლე". „ახლა უკვე მას შესანიშნავი ახალი შენობა **გააჩნია** (უნდა იყოს: აქვს). „სახელმძღვანელოს მრავალი ღირსება **გააჩნია** (უნდა იყოს: აქვს)" და სხვა.

2. **გააჩნია** სიტყვისათვის მქონებლობის სიმცირე დამახასიათებელი სემანტიკური ნიშანია, ამიტომ **არ გააჩნია** ნეიტრალურ უქონლობას კი არ აღნიშნავს, არამედ იგი უქონლობის გამძაფრებული გამოხატულებაა. **არ გააჩნია** სემანტიკურად არ უდრის ნეიტრალური უქონლობის გამომხატველ გამოთქმებს – არა აქვს ან არა ჰყავს. უქონლობის სიმძაფრის გასაძლიერებლად **არ გააჩნია** გამოთქმასთან ერთად უქონლობა ხშირად ხაზგასმულია – ც -და, კი ნაწილაკებითაც: „შენს მეტი აღარავინ გამაჩნია დედამიწის ზურგზე" (ილია);

სრული უქონლობის ეს შინაარსი კარგად ჩანს იმ იშვიათ შემთხვევებში, როდესაც მართებულია **გააჩნია** ზმნის გამოყენება უარყოფითი ნაწილაკის გარეშე: „თუმცა ვისურვებდი, რომ ეს მომთხოვნელობა, პირველ რიგში, საკუთარი თავის მიმართ **გააჩნდეთ**". „თქვენ ქალაქს სწირავთ ყოველივე საუკეთესოს, რაც **გაგაჩნიათ**, და ამიტომ სამართლიანად ხდებით მისი მოქალაქეები": „კრიტიკა უნდა მიიღო ან არ მიიღო. **გააჩნია** სიმართლის ზომას".

მაშასადამე, ნეიტრალური უქონლობის გამომხატველ წინადადებებში დასაწუნია **არ გააჩნია** შესიტყვების გამოყენების ამგვარი შემთხვევები. „გერმანელებს მერვე საუკუნის II ნახევრამდე არ გააჩნდათ (უნდა იყოს: არა ჰქონდათ) წერის პრაქტიკა": დედ-მამა **არ გააჩნდა** (უნდა იყოს: არა ჰყაედა).

**„ქართული სიტყვის კულტურის საკითხების" VII წიგნის მიხედვით**

# მირბის, მიგვაფრენს უგზო-უკვლოდ სკოლის რეფორმა...

დროც იყო და საჭიროებაც მოითხოვდა, რომ განათლების სისტემის „ძლიერთ" სკოლის რეფორმა გაეტარებინათ, მაგრამ... „ეისაც გსურთ ჩვენთა ამბავთა ცნობა, გეისმინეთ ჭირში ფლობილთ" – აცხადებენ დღეს სკოლის პედაგოგები და არცთუ უსაფუძვლოდ.

„თუ სულის გადარჩენა გვინდა, ეს უნდა იყოს ქართული სკოლის, განათლების, ქართული კულტურის გადარჩენა", – ბრძანა საქართველოს პრეზიდენტმა („განათლება" №4 1994 წ.) და თუ განათლების სისტემის მუშაკნიც ეთანხმებიან ამას, იქნებ, მომავალში მაინც დროულად დაეხმარონ სკოლის მასწავლებლებს.

ალბათ, შემედავებიან, რას გულისხმობთ: ატესტაცია ხომ ჩატარდა, კვალიფიციური პედაგოგებით ხომ არის დაკომპლექტებული სკოლები; მეტი რაღა გნებავთო?

ჰა ბურთი და ჰა მოედანიო...

დიახ, საკვალიფიკაციო გამოცდები ჩატარებულია, ყველა კმაყოფილია. დიახ, „კრება დარჩა მხიარული"...

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად, წარილტენენ, გაჰქრნენ სიზმრებრივ ჩქარად" – ეს წარსული დროის ნოსტალგია არ გახლავთ უბრალოდ, ეს არის მონატრება ამ პერიოდისა, როცა სკოლებში ყოველი სასწავლო წლის დასაწყისისთვის პროგრამები რიგდებოდა, მეტნაკლებად განახლებული სახელმძღვანელოები გამოდიოდა, იბეჭდებოდა მეთოდური მითითებანი და ა.შ. მეტყვით, იმ დროშ ჩაილურის წყალი დალიაო და მართალიც იქნებით, მაგრამ... ხომ შეიძლება ელემენტური რამ გაკეთდეს სკოლებისთვის. ალბათ, შემეკითხებით, რა არის ეს ელემენტური, ასე რომ გვეხვეწებით პედაგოგებიო? მოგახსენებთ – პროგრამა. კონკრეტულად, ქართული ენისა და ლიტერატურის სასწავლო პროგრამა. უკანასკნელად მისი გამოცემა 1990–91 სასწავლო წელს მოხდა. თუ განათლების სამინისტრო, დახელოვნების ინსტიტუტთან ერთად, საზეიმო ვითარებაში იუბილის გადახდას უპირებს ამ პროგრამას, ნუ დაგვიმალავენ, ჩვენც, მასწავლებლებიც მივიღებთ ამ ზეიმში მონაწილეობას. არადა იმდენი თანხა იხარჯება არაფრისმთქმელი წიგნების გამოსაცემად... სექტემბერში ხომ ტესტების განახლებული ვარიანტებიც გამოვიდა. ვფიქრობ, აჯობებდა, ამდენი ქაღალდი თუ ენერგია სახელმძღვანელოების ან პროგრამების შედგენასა და გამოცემაში დახარჯულიყო, რამდენი წელია, ვერა და ვერ მოხერხდა ცვლილებების შეტანა და ამ პროგრამის მისაღები გამოცდების პროგრამასთან მიახლოება. შეიძლება, გაურკვეველი იყოს მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედების სწავლების საკითხი? ან წლების განმავლობაში არ გვქონდეს XI კლასის სახელმძღვანელო?

ოპონენტები თავს გაიმართლებენ, თანხები არ გვყოფნის, სახელმწიფოს უჭირსო. ეს ჩვენც კარგად ვიცით (კარგი ცხოვრების გამო არ გაფიცულან ქუთაისისა თუ ახალციხის პედაგოგები), მაგრამ ერთი რამ მინდა გკითხოთ: საიდან მოაქვთ თანხები იმ წიგნების დასაბეჭდად, რომლებიც მოსწავლეთათვის არის განკუთვნილი და რომლებშიც ქართული ლიტერატურის უძველეს თხზულებათა თარგმნილ-ადაპტირებულ-გამარტივებული ვარიანტებია მოცემული. ვგულისხმებ „შუშანიკის წამების", „აბო თბილელის წამების", „გრ. ხანძთელის ცხოვრების", „ვეფხისტყაოსნის" პროზაული „შედევრები".

ასეთი წიგნების ავტორთ მინდა ვკითხო: თუ რამდენიმე წლის წინათ, უფრო სწორად, იმ „უძრაობისა" თუ „განვითარებული სოციალიზმის" დროს (ვფიქრობ მათაც ამ პერიოდში აქვთ განათლება მიღებული), მოსწავლეებს კარგად ესმოდათ და გრძნობდნენ ამ ნაწარმოებთა მთელს მშვენიერებას, ახლა რა მოხდა? და თუ ეს ასე არ არის, მაშ, რა საჭიროა ქართულიდან ქართულადვე „თარგმნილი" ასეთი თხზულებები?

გაკვირვებას და გაოცებას იწვევს განათლების სამინისტროს პოზიციაც ეს უზარმაზარი სისტემა თავისი რეალური და არარეალური სტრუქტურებით, რატომ არ გამოხატავს თავის პოზიციას? ასეთი წიგნების გამოცემა უნდა ხდებოდეს მეთოდსაბჭოს დასკვნით და მათ მეთოდური მითითებაც აუცილებლად უნდა ახლდეს. ბუნებრივად მებადება კითხვა განათლების სამინისტროს მუშაკების მიმართ: სკოლის რეფორმა მარტო პედაგოგთა ატესტაციას გულისხმობდა? მარტო საკვალიფიკაციო გამოცდებით უნდა შემოფარგლულიყავით? თუ... მინდა შეგახსენოთ, საქმე ეხება სკოლებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებას, უკაცრავად, მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას. იქნებ, ამ ფორმულირებამ უფრო აგიჩუყოთ გული და მიხვდეთ, რომ... თუმცა რას უნდა მიხვდეთ... ისე მაინც გაფართხალდით, იქნებ, იგრძნოთ, რომ იქ „ზემოთ", ცოცხლები ხართ და თუ ჯერ კიდევ სული გიდგათ, მინდა ისევ პრეზიდენტის სიტყვები შეგახსენოთ: „ბავშვის განათლება საღვთო საქმეა" (ე. შევარდნაძე „საქ. რესპუბლიკა" №154, 1994 წ. 1 სექტემბერი).

**მარინა კარტოზია**
**პედაგოგი**

# დედაენის სიყვარულით

დედაენისადმი სიყვარული, პატივისცემა ოჯახიდან იწყება. ამ სიყვარულისა და პატივისცემის განმტკიცება, გაღრმავება ჩვენი სკოლის საპატიო მისიაა. უპირველესი საფიქრალ-საზრუნავი სიტყვიერების მასწავლებლისა ეს უნდა იყოს. საბედნიეროდ, გვყავს ასეთი პედაგოგები და იზრდებიან XXI საუკუნის ქართველები – უზომოდ შეყვარებულნი ქართულ ენასა და ლიტერატურაზე. ამის ერთ-ერთი მაგალითი მეოთხეკლასელი ყმაწვილის აქ წარმოდგენილი საკლასო-საკონტროლო ნამუშევარია.

### "ჩემის კაცობის გვიიგვინი" (ლექსის განხილვა)

ეს ლექსი ნამდვილად შესანიშნავია! იგი გამოირჩევა ფშაური გამოთქმებით: „მოვკვდე, კაცთ ხელი არ მინდა"; ან „არ მიღალატო, ოცნებავ, მნახოდი მალი-მალეო". ეს ფრაზები ლექსს კი არ აუშნოებს, პირიქით, ალამაზებს. ეს ლექსი მარტო კუთხური გამოთქმებით კი არ გამოირჩევა, არამედ ლამაზი სიტყვებით და მიმართვებითაც: „შენგან ნაშობი ოცნება გულს ლახვრად გავიყარეო", „მზის სხივებიეთ ბრწყინავენ, რაც მე ცრემლები ვღვარეო", „ჩემს ცრემლს უბეში ინახავ", „არ მიღალატო, ოცნებავ", „მარტო შენ მნახე, გულზედაც მიწა შენ მომაყარეო". აქ განა ლახვრით თავის მოკვლაზეა ლაპარაკი, ან მბრწყინავ ცრემლებზე, ან ცრემლის უბეში შენახვაზე, ან ოცნების ღალატზე და იმ ოცნებაზე, რომელსაც შეუძლია კაცს მიწა მიაყაროს! არა, ეს ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით ნამდვილი უაზრობაა, ხოლო თუ მის აზრს ჩავწვდებით, მაშინ ეს სიტყვები ოქროდ იქცევა, იმ ოქროდ, რომლითაც, მართალია, ვერაფერს იყიდი, მაგრამ ცხოვრებაში გამოგადგება და ეს ოქრო კი თითქმის ყველაზე მთავარია ადამიანის ცხოვრებაში.

**საბა იორდანიშვილი**
***თბილისის მე-6 გიმნაზიის IV კლასის მოსწავლე***




ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით ბევრი მტკივნეული საკითხია მოსაგვარებელი. ეს პრობლემები აწუხებთ ჩვენი განათლებისა და მეცნიერების მესვეურებს, განსაკუთრებით კი – მასწავლებლებს. თბილისის 180-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის **ირინე ტაბატაძის** წერილები სწორედ ამ საკითხებზე ფიქრის შედეგია. ეს წერილები 1996 წლიდან მოყოლებული პერიოდულად ქვეყნდებოდა პრესაში, ამჯერად კი ცალკე კრებულად გამოიცა: **„მოზარდს რომ ენა უყვარდეს"** (გამომცემლობა „ინტელექტი", რედაქტორი- ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ავთანდილ არაბული). წიგნი უთუოდ გამოადგება ყველას, ვინც ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესებით არის დაინტერესებული.

## მოვუსმინოთ პატარებს

### ვაგრძელებთ ჩვენს რუბრიკას და გთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს, რომლებიც ჩვენმა მკითხველებმა მოგვაწოდეს

* * *

2 წლის ნინი დედასთან ერთად შინ სამარშრუტო ტაქსით ბრუნდებოდა.

– სად მივდივართ?– იკითხა ნინიმ.

– სახლში, – უპასუხა დედამ.

ნინიმ დანარჩენ მგზავრებს გადახედა და დედას მიუბრუნდა:

– ესენი ჩვენთან მოდიან?

**მაკა ჭუმბურიძე (ნინო ნიკვაშვილის დედა)**

* * *

ზოგიერთი ხოჭო იკბინება – უთხრეს პატარა ილიას.

– ზოგიორი?– იკითხა მან.

**თინა ცერაძე**
**(ილია შათირიშვილის დედა)**

* * *

პატარა თეკლას უთხრეს: შენ მალე საშუალო სკოლაში უნდა წაგიყვანოთო. თეკლა ჩაფიქრდა და ითხოვა, კარგ სკოლაში წამიყვანეთო.

**ნანა ხოჭოლავა**
**(თეკლა მაჭავარიანის დედა)**




1975 წელს აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ გამოსცა XII საუკუნის ასტროლოგიური თხზულება „ეტლთა და შჳდთა მნათობთათჳს". ხელნაწერი დასურათებულია. აკადემიკოს ა. შანიძის აზრით, თხზულება „იმავე საუკუნეში უნდა იყოს თარგმნილი არაბულიდან ან სპარსულიდან და რამდენადმე გადმოკეთებული ქართველი მკითხველისათვის. ეს იქიდან ჩანს, რომ აქ მწიგნობართუხუცესებზე, კათოლიკოსებზე და ეპისკოპოსებზედაც არის საუბარი, აგრეთვე ეკლესიებზე და მონასტრებზედაც და მღვდლები საპატიო პირებთან ერთად არის დასახელებული, ხოლო მაჰმადიანთა სასულიერო პირებზე არსად არ არის ერთი სიტყვა". ვფიქრობთ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეულ ამ გამოცემის გახსენება. ტექსტს გადმოვბეჭდავთ თითქმის უცვლელად და გამოვაქვეყნებთ შესაბამისი თვეების მიხედვით.

## ვერძი, რომელსა [ არაბულად] ჰქჳან ჰამალი

სახელითა ღმრთისაჲთა.

ვერძისა ბურჯი ცეცხლისაჲ არს და დღისაჲ არს და მხურვალი და ჴმელი არს. მამალი არს და აღმოსავლეთისაჲ არს და მარიხისა



სახლი არს და მზისა შარაფი არს, გრილი არს [და საპა] ტიოდ ნებითა საჯდომი არს, ჴელმწიფეთა და მოლაშქრეთა ბურჯი არს და ოცდაათი დარა[ჯაჲ] არს და თჳითო დარაჯაჲ სამოცი დაყოფაჲ არს..

და სამშაბათი დღე მისი არს.

ჴელისუფალთაგან არს მჴედელი და მექონდრაქე (რომლისა თარგმანი არს „კასაბი") და მჴედელი რეალისაჲ და ჰაჯამი. და ხეთაგან რაჲცა მაღალია, და რკინაჲ და ტყჳაჲ მისი არს. და ოდეს მზე ამას ბურჯსა შიგან იყოს, [ადრე] აღმოჰჴდების და გჳანად [ჩ]აჰჴდების.

და ფერთაგან თეთრი წითლად გამოსჭურდეს, მისი არს.

ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი იყოს ყოვლისა საქმისა წინამხედველი, ჴორც-შუენიერი და ტანწყლიანი, პირ-მხიარული და თუალ-კეკლუცი და პირ-ჭორფლიანი, ანუ პირსა ნიშანი იყოს ყუავილისაჲ, და თმა-გრუზი და ბელატი, და ყურ-დიდი და თუალ-ჟღვჟავე ანუ თუალ-მაჩხი; და წჳნი წურილნი, და მრავლის მეტყუელი. და წჳსა ანუ მჴარსა ნიშანი იყოს და კაცი უხჳ იყოს და შაჰვისა და ტანის სამოსისა კეკლუცისა მოყუარე იყოს და მხიარული და ცოტაჲთა სიტყჳთა ადრე გამწყრალი და ცოტაითვე სიტყჳთა ადრე დამშჳდებული. და მტერთა ზედა გულის ნებასა ეწიფოს.

ესე ვერძისა ბურჯი სამ-ნაწილი არს: პირველი ნაწილი მარიხისაჲ არს, მეორე მზისაჲ არს, მესამე მთიებისაჲ არს. ვინცა ათ დარაჯამდის იშვას, მარიხისაჲ არს: ვინცა ოც დარაჯამდის იშვას, მზისაჲ არს, და ვინცა ოცდაათ დარაჯამდის იშვას, მთიებისაჲ არს. თუ [მარიხისა ნაწილსა ზედა შობილ იყოს] მწჳთური და ამპარტავანი. და თუ მთიებისა ნაწილსა ზედა შობილ იყოს, შაჰვის მოყუარე, დედათა მოყუარე და მგოსანთ მოყუარე იყოს ანუ თჳთ იცოდის მგოსნობაჲ.

და მისსა სიცოცხლესა შიგან სამი ფათერაკი შეემთხჳოს: პირველი წყლისაგან, მეორე და[კოდილობისაგან. მესამე] სნეულებისაგან და ორშაბათი არ აშუნდეს. და ვინცა მეცხრამეტესა დირაჯასა ზედა იშვას, კაცი ბედიანი იყოს.

## ჲ. კჳროჲ, რომელსა არაბულად ჰრქჳან თავი

კუროჲსა ბურჯი მთიებისაჲ არს სახლი და მთოარისა შარაფი. და მიწისაჲ არს და ღამისაჲ არს და დედალი არს და გრილი და ჴმელი არს და სევდისაჲ არს. და რაჲ მზე ხუთმეტ დარაჯამდის მივიდეს, შუა გაზაფხული არს და ადრე აღმოჰჴდების და გვიანად ჩაჰჴდების. და ნახევარხმაჲ და შვილნი მცირედ და ბუნებად პამოჲ. და ესე ბურჯი დედათა მთავა[რ]თაჲ არს და ქალწულთაჲ. კაცისა ასოთაგან ყელი მისი არს და ჴარჴაჱოი. და ქალაქთაგან – ჰამიანი და საქურდეთი და ალექსანდრიაჲ და ჰირე. მთანი კავკასიანი და გილიკიაჲ და ტარსონი და ადგილთაგან ვენახნი და წალკოტნი და ტყენი და ველნი, რომელ მთასა ახლოვიდენ. და მიწანი და თესულნი. ჴელისუფალთაგან: მკერვალი, ხარაზი. და სულიერთაგან რაჲცა ჭლიკიანი არს. და სამოსელთაგან ბისონი და ძოწეული და ფერთაგან თეთრი, რომელ ლურჯად გამოსჭჳრდეს. დღეთაგან პარასკევ[ი მი]სი არს. ხეთაგან – რომელიცა მაღალი არს.

ვინცა ამას ეტლსა ზედა იშვას, კაცი ტან-მაღალი იყოს და არ დია გრძელი, პირ-მწყაზარი და თუალ-შავი, შუბლი დიდი იყოს და ფართოჲ,



წარბთა რომელ თმაჲ აკლდეს. და პირსა ზედა ნიშანი იყოს, ანუ თავსა ანუ მჴარსა ჴმა-მსხუილი იყოს. დედათა მოყუარე და ქჱქლუცთა მოყუარე, თავისა პატივისა მოყუარე და არვისი შემაწუხებელი. და ზოგი ტანად მოკლეცა იქმნების და ძჳრის მოჴსენე არ იყოს. და რაჲცა უთხრას, დამჯერე იყოს. თავისა მეყვისნი უყუარდენ და მათთჳს კარგისა მოქმედი იყოს. და ვისთჳსცა კარგი იყოს და მან ნაცვალი არ მიაგოს.

ესე კუროჲსა ბურჯი სამ-ნაწილი არს: ათ დარაჯამდის ოტერიდისაჲ არს, ოც დარაჯამდის მთოარისაჲ არს, ოცდა[ათ დარაჯ]ამდის ზუალი[საჲ] არს.

ვინცა ოტერიდისა ნაწილსა ზედა იშვას, ღრმაი კაცი იყოს და [...] ანუ მხატვარი და ყოველსავე ზედა ჴელ-მარჯუე იყოს. და თუ მთოარ[ისა ნაწ]ილსა ზედა იშვას, პირ-მრგუალი, ქჱქლუცი და მღაღობელი იყო[ს და მხი]არული. და თუ ზოჰალისა ნაწილსა ზედა იშვას, კაცი მძიმე ი[ყოს და] ზარმაცი და საქონელისა შემნახავი. და ფათერაკი მისი ცეცხლისაგან და სნებისაგან იყოს. ვინცა მესამესა დარაჯასა ანუ მეთოთხმეტესა ანუ მეთექუსმეტესა ანუ ოცდამეშჳდესა იშვას, ბედიანი იყოს და სამშაბათი დღე არ აშუნდეს.

### ვერძისათვის

- **ვერძი** – მამალი ცხვარი.
- **ბურჯი** – ეტლი, ზოდიაქო.
- **მჴურვალი** – ცხელი.
- **მარიხი** – მარსი.
- **შარაფი** – „საპატიოდ ნებითა საჯდომი".
- **დარაჯაჲ** – გრადუსი (გეოგრაფიული)
- **დაყიყაჲ** – მინუტი (გეოგრაფიული). ერთი გრადუსი 60 მინუტს შეიცავს
- **ჴელისუფალი** – ხელობის მცოდნე.
- **პაჯამი** – სისხლის გამომშვები, ხელის გამხსნელი.
- **გამოჭჳრვა** – გამოჭვრეტა, გამომზერა.
- **ტან-წყლიანი** – ტანადი.
- **პირჭროფლიანი** – ჭორფლიანი.
- **თმა-გრუზი-ხუჭუჭთმიანი.**
- **ბელატი** – მელოტი, უთმო.
- **თვალ-ქუვთავი, თვალმაჩხი** – ჭრელთვალება.
- **შაპვაჲ** – გულისთქმა, დიდი სურვილი, ვნება.
- **აშუენდეს** – საბედნიერო იქნება, კარგის მომტანი იქნება.
- **ორშაბათი არა აშუენდეს** – ორშაბათი კარგს არ მოუტანს, მისთვის ცუდი დღეა.

### კუროსათვის

- **კუროჲ** – ხარი.
- **მთიები** – ცისკრის ვარსკვლავი („ესე არს აფროდიტი"), ასპიროზი.
- **კაცისა ასოთაგან** – ადამიანის სხეულის ნაწილთაგან.
- **ჴარჴაჱოი** – ხორხი.
- **წალკოტი** – ყვავილნარი, ბაღი.
- **ჴელისუფალთაგან** – ხელობათაგან.
- **მკერვალი** – მკერავი.
- **ხარაზი** – ფეხსაცმლის მკერავი
- **ჭლიკიანი** – ჩლიქიანი.
- **ბისონი** – ძვირფასი ქსოვილი („არს ფერი ბისონისა ელვარე და ნაკვერცხლის ფერი").
- **ძოწეული** – წითელი ტანსაცმელი (პორფირი).
- **პირ-მწყაზარი** – სახემშვენიერი.
- **ძჳრის მოჴსენე არ იყოს** – მიმტევებელი იყოს.
- **მეყჳსი** – მოყვასი.
- **ოტერიდი** – ვენერა.
- **ზუჰალი** – სატურნი.
- **მღაღობელი** – ხუმარა, მასხარა.
- **საქონელი** – ქონება.

# „კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა!“

## მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ქართული ენის კაბინეტი – “ქართული ენის „საუნჯე“ – 30 წლისაა

დღეს თავისუფლად შეგვიძლია ვისაუბროთ იმ ეპოქაზე, როდესაც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ფიქრი „ზედმეტი“ იყო, ხოლო მშობლიური ენის სახელმწიფო ენად დაკანონება და მისი ზნეობისათვის ზრუნვა– ლამის დანაშაული, რადგან საბჭოთის „დიად“ მიზანს ამგვარი ფიქრი და ასეთი საქმე აბრკოლებდა. ასეთ დროს რა დიდი გაბედულება და სითამამეა ქართული ენის კაბინეტის შექმნა, ვფიქრობთ, ნათელია.

ოცდაათი წლის წინ, 1969 წელს, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში გაიხსნა პირველი ასეთი კაბინეტი. სასახლის ღვაწლმოსილი თანამშრომლების– ფაცია პაიჭაძის, ანო კასრაძის, ლოლო ჯორბენაძის წამოწყებას მხარი დაუჭირა აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ. განხორციელდა იმ დროისათვის ძალზე თამამი იდეა. ქართული ენის კაბინეტის შექმნისთანავე მასთან ჩამოყალიბდა საკრებულო – „ქართული ენის საუნჯე“.

ოცდაათი წლის მანძილზე ამ კაბინეტში მუშაობა არ შეწყვეტილა. თაობა თაობას ცვლიდა. 1969 წელს დაწყებული საქმიანობა ფართოვდებოდა, ღრმავდებოდა. ტრადიციულად ტარდებოდა რესპუბლიკური შეკრება–სემინარები, ენისმოყვარულთა მხიარული ასპარეზობანი, კონკურსები; შემკრებლობითი მუშაობის გასაშლელად ტარდებოდა საზაფხულო ექსპედიციები. სად აღარ იყვნენ „საუნჯელები“. მოიარეს ამერ-იმერი: რაჭა, მესხეთ–ჯავახეთი, ხევსურეთი, თუშეთი, ქართლი, იმერეთი, აჭარა, სამეგრელო... მუშაობაში ჩაება მთელი საქართველო. შეკრება–სემინარები უკვე რაიონებში ტარდებოდა: ასპინძაში, შემდგომ – ზუგდიდში, მომდევნო – ბათუმში... ვინძლო აღდგეს ეს ტრადიცია. ამ შეკრებებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. საჯაროდ წარმოდგენილი მასალა, მათი ანალიზი, განხილვა ბევრს მატებდა მათ ნორჩ ავტორებს. უფროს მეგობართა– ენათმეცნიერთა– შენიშვნები და მოსაზრებანი, მათი გულისხმიერი დამოკიდებულება აგულიანებდა და ხალისს მატებდა არა მარტო მოსწავლეებს, მათ ხელმძღვანელებსაც. იზრდებოდა და ღრმავდებოდა ინტერესი მშობლიური ენისადმი, ძლიერდებოდა მის სიღრმეებში წვდომის სურვილი. ამას კი დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა.

ენისმოყვარულთა „მხიარული ხუთჭიდი“, ენის სიწმინდის დაცვის საგუშაგოები, მშობლიური ენის ქომაგის სახელის მოსაპოვებლად ჩატარებული კონკურსები, ყველაფერი გაახსენეს და მოაგონეს ახლანდელმა „საუნჯელებმა“ თავის წინამორბედებს, უფროს მეგობრებს – ენათმეცნიერებს, კაბინეტის წარსული და აწმყო გააცნეს მშობლებს და სტუმრებს.

ასევე ეწერა მოსაწვევ ბარათში:

„ქართული ენის „საუნჯე“ 30 წლის წინ შეიქმნა.

ერთად აღვნიშნოთ ეს დღე!“

უშუალო და თბილი, ახლობლური და მშობლიური გარემო კრავდა და აერთიანებდა სტუმარსაც და მასპინძელსაც. ყველა ერთნაირად დამუხტული იყო. უმცროსკლასელებმა რამდენიმე სახალისო გრამატიკული თამაში გაასცენიურეს. ასეთი მასალა უხვად არის ამ კაბინეტში. ეს კი ქალბატონ ანო კასრაძის დამსახურებაა.

უფროსკლასელებმა მცირე ნაწყვეტით, მათივე შექმნილი სპექტაკლიდან „მედეა“, კიდევ ერთხელ გაიმეორეს ის სიტყვები, რომელთა ჭეშმარიტებასაც მხოლოდ დედაენის შემწეობით თუ ჩასწვდება ადამიანი. ერთსულსავით დაუარა მთელ დარბაზს ჩურჩულით ნათქვამმა: „სამშობლო არ დაგავიწყდეთ! სამშობლო უმთავრესია!“

იყო მოგონებები... ლამაზი წარსულის გახსენება... გონიერულად მოფიქრებული მონტაჟით კარგად წარმოჩინდა 30 წლიანი ისტორია კაბინეტისა, რა გაკეთდა და რა კეთდება...

რომ არა ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ამ კაბინეტის საქმიანობა ასე ვერ გაფართოვდებოდა და ამ სახეს ვერ მიიღებდა. ეს თანამშრომლობა კვლავაც გრძელდება. უფროს მეგობართა საბჭო კვლავაც აქტიურად მუშაობს...

კაბინეტი თანამშრომლობდა და თანამშრომლობს რესპუბლიკის სხვადასხვა სკოლასთან, მასწავლებლებთან...

კაბინეტში ბოლო წლების მანძილზე ტრადიციად დამკვიდრდა ღონისძიებათა ციკლი – „მწერალი, მოქალაქე, პიროვნება“. სწორედ ღონისძიებათა ამ ციკლს უძღვება მწერალი როსტომ ჩხეიძე.

ქართული ენის კაბინეტის გამგემ რუსუდან ყიფიანმა ყველა „საუნჯელის“ სურვილი გაანდო დამსწრე საზოგადოებას – საკრებულო „ქართული ენის საუნჯეს“ არნოლდ ჩიქობავას სახელი მიენიჭოს. გადაწყდა: ამიერიდან საკრებულო არნოლდ ჩიქობავას სახელს ატარებს!

ომახიანად ჟღერდა ახლანდელი „საუნჯელების“ ხმა:

„ჩვენ უნდა შევძლოთ,
და კიდევაც შევძლებთ,
კვლავ იძლიეროს ენამ ქართულმა“...

მათ ბანს აძლევდა ვაჟთა ვოკალური გუნდი (ხელმძღვანელი ბადრი ტუღუში), რომელთა შესრულებით არაერთი ხალხური სიმღერა გაისმა იმ დღეს.

ეს დღე იყო დასტური იმისა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სასახლის ქართული ენის კაბინეტის 30 წლიანი ტრადიცია ღირსეულად გრძელდება.

თ. ლონდაძე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02.C. №4 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე პროფ. გ. კვარაცხელია) მიანიჭა

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი

ცირა გობეჯაშვილს

**დისერტაციის თემა:** ფერის აღმნიშვნელ ლექსემათა სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი სვანურ ენაში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. ი. ჩანტლაძე

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. ა. ჭინჭარაული

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. მ. ქურდიანი, დოც. ე. სოსელია.

**წამყვანი ორგანიზაცია:** ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 23 თებერვალს.**

• • •

თბილისის ი. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დარგის P.10.02.C. №6 სადისერტაციო საბჭომ (თავმჯდომარე აკად. **თ. გამყრელიძე**) მიანიჭა

**ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის** სამეცნიერო ხარისხი

დარეჯან კუხიანიძეს

**დისერტაციის თემა:** „უსწორო კარაბადინის" XIII საუკუნის ხელნაწერი და მისი მნიშვნელობა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. ქ. დანელია

**კონსულტანტი:** პროფ. ზ. ჭუმბურიძე

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. გ. გოგოლაშვილი

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. დ. მელიქიშვილი, დოც. ი. ქურქაძე

**წამყვანი ორგანიზაცია:** კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 24 მარტს.**

ნანა ინაურს

**დისერტაციის თემა:** ანთროპონიმთა სისტემა თანამედროვე ინგლისურ ენაში

**სამეცნიერო ხელმძღვანელი:** პროფ. ნ. კირვალიძე

**საბჭოს ექსპერტი:** პროფ. რ. ენუქიძე

**ოფიციალური ოპონენტები:** პროფ. ი. მერაბიშვილი, დოც. თ. შიოშვილი

**წამყვანი ორგანიზაცია:** სულხან-საბა ორბელიანის სახ. თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი.

დისერტაციის დაცვა გაიმართა **1999 წლის 24 მარტს.**




გამოვიდა „მოკლე მუსიკალური ლექსიკონი". შედგენილი **ანზორ თამარაშვილის** მიერ. ლექსიკონი მოიცავს მუსიკასთან დაკავშირებულ ტერმინებს, საკრავების სახელწოდებებს, ცნობებს საყოველთაოდ ცნობილ კომპოზიტორებზე, მუსიკოსებსა და მომღერლებზე. ლექსიკონი ბევრ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის და დიდ დახმარებას გაუწევს ამ საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს. წიგნის რედაქტორია ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ქ. კაკობაძე. გამომცემლობა „დემი".

18 მარტს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ გამართა საჯარო სხდომა, მიძღვნილი აკადემიკოს აკაკი **შანიძის** დაბადების 112 წლისთავისადმი. სხდომაზე მოხსენებებით გამოვიდნენ: ზ. სარჯველაძე, მზ. შანიძე, თ. ცქიტიშვილი, ს. მეტრეველი, თ. ჭუმბურიძე, თ. ცოფურაშვილი, ნ. შარაშენიძე.

სხდომის შემდეგ შედგა აკადემიკოს აკაკი შანიძის ბიუსტის პრეზენტაცია. ბიუსტის ავტორია ცნობილი მოქანდაკე ბ. ავალიშვილი, რომელმაც თავისი ნაწარმოები საჩუქრად გადასცა უნივერსიტეტს.

**საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების პრეზიდიუმმა პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით იაკობ გოგებაშვილის მედლითა და საქართველოს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური საზოგადოების საპატიო სიგელით დააჯილდოვა ი. გოგებაშვილის სახელობის ეროვნული ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, დოცენტი ლია ჯეიშვილი.**

**ვულოცავთ!**

დასრულდა გამოცემა წმ. იოანე ოქროპირის თხზულებისა **„თარგმანებაჲ მათეს სახარებისაჲ"**. 1998 წელს გამოვიდა მესამე წიგნი ამ უმნიშვნელოვანესი გამოცემისა.




წმ. იოანე ოქროპირის წმ. ეფთვიმე მთაწმინდელისეული თარგმანი გამოსაცემად მომზადდა ათონის ხელნაწერთა შემსწავლელ ლაბორატორია „ორიონში" (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი).

ტექსტი უძველესი ხელნაწერების მიხედვით გამოსაცემად მოამზადეს: **მერაბ ბაბუხადიამ, ლილი ბასილაიამ, ნინო დობორჯგინიძემ, დარეჯან თვალთვაძემ, თინათინ კარსანიძემ, მანანა მაჩხანელმა, ნინო შარაშენიძემ, ნანა შულღაძემ, თამარ ცოფურიშვილმა, თინათინ ცქიტიშვილმა.**

გამოცემის რედაქტორია მზექალა შანიძე, გამომცემელი – ვლადიმერ წამალაშვილი.

**გამოთხოვება**

# ნინო ვაჩნაძე



ენათმეცნიერების ინსტიტუტმა დიდი დანაკლისი განიცადა – მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი **ნინო (ნუნუ) ვაჩნაძე**. თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებისათვის, სადაც ნ. ვაჩნაძემ 40 წელზე მეტი იმუშავა, მისი გარდაცვალება მეხის დაცემის ტოლფასია. ნ. ვაჩნაძე იყო განყოფილების სული და გული.მისი ძირითადი თანამშრომელი, მისი მშვენება და სიამაყე.

ნუნუ ვაჩნაძე იყო ადამიანის პატიოსნებისა და მაღალი ზნეობის ნიმუში, ზრდილობიანობის, თავმდაბლობისა და მოკრძალებულობის განსახიერება, ქართველი ქალის უმწიკვლო ყოფაქცევის, სათნოებისა და კდემამოსილების ეტალონი, საიმედო, გულისხმიერი და გულწრფელი კოლეგა, კეთილსინდისიერი შრომისა და დისციპლინიანობის მაგალითი. ნუნუს ჰქონდა დიდი პროფესიული ცოდნა, ნათელი, გამჭრიახი გონება, სწრაფი მოსაზრების უნარი, შესაშური მეხსიერება. თავისი შესანიშნავი ადამიანური თვისებებით, ისევე როგორც ოჯახური წარმოშობით, ნუნუ ვაჩნაძეს შეეძლო ამაყი ყოფილიყო, იყო კი უაღრესად მორიდებული, მოკრძალებული, თვინიერი და გულჩვილი. თავისი ბუნებით ნუნუ ვაჩნაძე ალტრუისტი იყო, არაფრად მიაჩნდა და თითქმის სულაც მივიწყებული ჰქონდა საკუთარი პირადი ინტერესები, მაგრამ უშურველად, უანგაროდ ეხმარებოდა ყველას, ვისაც კი მისი დახმარება და შველა სჭირდებოდა– ახლობელი იქნებოდა თუ შორეული, თუნდაც სულაც უცნობი.

თარგმნითი ლექსიკონების განყოფილებაში ნ. ვაჩნაძე მუშაობდა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების შედგენაზე. მის მიერ შესრულებული სამუშაო ყოველთვის სანიმუშო იყო და მას პრაქტიკულად რედაქტორის კალამი არც სჭირდებოდა. საქმის ღრმა ცოდნით, შრომისმოყვარეობით, სანიმუშო დისციპლინით, უმწიკვლო ყოფაქცევით, გულკეთილობითა და გულისხმიერებით მოპოვებული ჰქონდა ინსტიტუტის თანამშრომელთა დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი.

ნუნუ ვაჩნაძე იყო ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი. დამახასიათებელია თვით ამ სამეცნიერო ხარისხის მოპოვების ისტორიაც. ნუნუს მიერ განყოფილებაში წაკითხული ერთი სამეცნიერო მოხსენების ინსტიტუტის აუდიტორიის წინაშე გატანას დიდი ბრძოლა დასჭირდა... ნუნუ წინააღმდეგი იყო: არ მიაჩნდა ღირსად თავისი მოხსენების ფართო აუდიტორიის წინაშე წასაკითხად გატანა: კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა და ინსტიტუტის დირექტორის აკად. ქ. ლომთათიძის ჩარევა დაგვჭირდა იმისათვის, რომ ნუნუს მიერ ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე წაკითხული და სპეციალისტების მიერ მოწონებული მოხსენების ტექსტი სათანადოდ შევსებული, გაერცობილი სახით საკანდიდატო დისერტაციად ყოფილიყო წარდგენილი. როგორც მოსალოდნელი იყო, ნუნუმ დისერტაცია წარმატებით დაიცვა. ამ ნაშრომის დაბეჭდვაზე ხომ სულ თავს იკლავდა- ვის სჭირდება ჩემი ნაშრომიო. დიდი ბრძოლით ნუნუს დისერტაციის დაბეჭდვა მაინც მოხერხდა და ქებაც დაიმსახურა სამეცნიერო ნაშრომების ისეთი მკაცრი შემფასებლის მიერ, როგორიც ბ–ნი არნოლდ ჩიქობავა იყო.

ამ ისტორიის ფონზე როგორ არ გაგახსენდება ნუნუს მამა ბ–ნი სიმონი. როცა მას ჰკითხეს, კი მაგრამ, სადოქტორო დისერტაციას რატომ არ იცავთო, მან უპასუხა: თავი დამანებეთ, რომელი შახმატოვი მე ვარ, რომ დოქტორის სამეცნიერო ხარისხს გამოვედევნოო, არადა ბ–ნი სიმონ ვაჩნაძე თავისი დიდი ერუდიციით, ფართო განსწავლულობით, საქმის ღრმა ცოდნით თავისი დროის მრავალ მეცნიერებათა დოქტორზე გაცილებით მაღლა იდგა. როგორც რუსული ენის, კერძოდ, მისი ისტორიის სპეციალისტი სიმონ ვაჩნაძე იყო უდიდესი ავტორიტეტი, გამორჩენილი კოლორიტული ფიგურა ჩვენში. მაგრამ ამასთან იყო უაღრესად თავმდაბალი.

ასე, რომ ყოველგვარ ზომიერებას გადაჭარბებული ნუნუს თავმდაბლობა და მოკრძალებულობა სულაც არ იყო შემთხვევითი. იგი იყო თავისი სახელოვანი მშობლების ღირსეული შვილი.

ნუნუ ვაჩნაძეს ჯერ კიდევ ბევრი, ძალიან ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენს ლექსიკოგრაფიაში. ჩვენდა სავალალოდ არ დასცალდა. ულმობელმა სენმა გამოგვტაცა მისი უბიწო სიცოცხლე.

წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი, მრავალი წლის განმავლობაში განუწყვეტელი მძიმე შრომით დაშვრალი კეთილშობილი ადამიანი. წავიდა და დაგვიტოვა გაუნელებელი გულისტკივილი და უზომო მწუხარება.

მშვიდობით ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ჩვენო საყვარელო კოლეგა, ჩვენო დაუვიწყარო ნუნუ. ზეცის სასუფეველში დამკვიდრებულიყოს შენი უმანკო სული!

**არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის თარგმნითი ლექსიკონების განყოფილება**



ილუსტრაცია
გალაკტიონის ლექსისა
„ლურჯა ცხენები“

მხატვარი
გია ლაშხი


X B